საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №124 (2497) შაბათი, 31 მაისი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი. თბილისის გარეთ 45 თეთრი.

„ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანას, სადაც ადამიანის უფლებები უზენაესი იმპერატივის რანგშია აყვანილი“

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოხსენება საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 27 მაისის სხდომაზე

ბატონო პარლამენტარებო!

დღევანდელი გამოსვლა პირველი ცდაა იმისა, რომ განვახორციელოთ კონსტიტუციის მოთხოვნა – ყოველწლიურად ქვეყნის პრეზიდენტმა პარლამენტსა და მოსახლეობას წარუდგინოს მოხსენება ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ამჯერად პროცედურა გარკვეულად დაირღვა. საქმე ის არის, რომ ბიუჯეტთან დაკავშირებით შეიქმნა სიძნელეები, რომელთა გამოც წლის დასაწყისში საჭირო გახდა პრეზიდენტის მოხსენებით გამოსვლა პარლამენტის წინაშე. ის მოხსენება, გარკვეულწილად, პოლიტიკური ანგარიშის მომენტებსაც შეიცავდა. ამის შემდეგ საჭირო იყო ინტერვალი. ამასთან, თავისთავად, პრობლემებთან იყო დაკავშირებული საჭირო მასალის თავმოყრა, ანალიზი და შესაბამისი დასკვნების მომზადება.

კონსტიტუციური მოთხოვნის შესაბამისად, დღეს ვაქვეყნებ საქართველოს პრეზიდენტის მიმართვას – მოხსენებას ხალხისა და პარლამენტისადმი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ.

მოგეხსენებათ, კონსტიტუცია ამ ნაწილში საკმაოდ მკაცრ და კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებს როგორც პრეზიდენტს, ისე ხელისუფლების ყველა შტოს. ამ მოთხოვნათა სათანადო დონეზე შესრულება უაღრესად შრომატევად სამუშაოს, მიმდინარე პროცესთა ყოველმხრივ გამოწვლილვით ანალიზს საჭიროებს, რაც დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვდა ჩვენგან. თითოეულ დეპუტატს, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს ჰქონდეს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია სახელმწიფოებრივი ცხოველქმედების ყველა სფეროს, ყველა ასპექტის შესახებ.

როგორი უნდა იყოს მოხსენების, მიმართვის წარდგენის წესი მომავალში, რომ გაუგებრობანი ვადებთან დაკავშირებით არ განმეორდეს? მოხსენება მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ – წლის ბოლომდე, როგორც კონსტიტუციით არის გათვალისწინებული. მოხსენება ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე.

ასეთი წესის დამკვიდრება ხელს შეუწყობს საპრეზიდენტო, აღმასრულებელი ხელისუფლების პარლამენტთან და კონსტიტუციურ სასამართლოსთან მუშაობის პრაქტიკის სრულყოფას და ქვეყანაში ახალი დემოკრატიული ტრადიციის ჩამოყალიბებას.

იხ. მე-2 გვ.

პარლამენტი

ახალი გადაწყვეტილება აფხაზეთთან დაკავშირებით

30 მაისს საქართველოს პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე განიხილა და მიიღო დადგენილება აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით მყოფი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შემდგომი ყოფნის თაობაზე.

როგორც დოკუმენტის პროექტის განხილვის დაწყების წინ პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, დღეს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მყოფი სამშვიდობო ძალები სრული სტაგნაციის მდგომარეობაში არიან. პრაქტიკულად ჩაშლილია დევნილებისა და ლტოლვილების დაბრუნების პროცესისათვის ყველანაირი მექანიზმისა და პირობების შექმნა, რასაც ითვალისწინებდა თანამეგობრობის ქვეყნების სახელმწიფოების მეთაურთა 28 მარტის შეხვედრის გადაწყვეტილება. ვერ მოხერხდა კონფლიქტის ზონაში თანამეგობრობის ეგიდით განლაგებული რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების რეალურად ამოქმედება. ამის გამო პარლამენტის ფრაქციებმა, პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა დაიწყეს კონსულტაციები წარმოდგენილი დოკუმენტის შექმნასთან დაკავშირებით.

პარლამენტში ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარლამენტს გარეთ დარჩენილი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც. პირველად საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორიაში პარლამენტის დოკუმენტს საფუძვლად დაედო ამომრჩევლების – 30 ათასი საქართველოს მოქალაქის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით შემოტანილი პროექტი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილების ძირითადი მოთხოვნა ასეთია: **მიმდინარე წლის 31 ივლისამდე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა 1997 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებათა საბოლოოდ შეუსრულებლობისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში არსებითი პროგრესის მიუღწევლობის შემთხვევაში მიზანშეუწონლად იქნეს მიჩნეული აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით მყოფი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში გამოყენება და პირველი აგვისტოდან დაიწყოს მათი გაყვანის პროცესი კონფლიქტის ზონიდან.**

საგულისხმოა, რომ ანალოგიური პოზიცია ჩამოაყალიბა საქართველოს პრეზიდენტმა თავის მიმართვაში პარლამენტის და საქართველოს მოსახლეობისადმი 27 მაისის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო აგრეთვე მიმართვა აფხაზი ხალხის, აფხაზეთის [illegible], რომელშიც პარლამენტი მოუწოდებს აფხაზ ხალხს ერთობლივი ძალისხმევით არ დაეუშვათ ძალადობისა და საბრძოლო მოქმედების განახლება და გაეცნობიერთ, რომ შერიგების გზა – ერთადერთი გზაა, რომელიც მშვიდობიან თანაცხოვრებამდე მიგვიყვანს.

საქინფორმი.

პარლამენტის დადგენილება და მიმართვა ხვალ გამოქვეყნდება.

აკრძალული ზონა

გაიხსნა ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონია

ჩვენი საზოგადოებრიობა და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები სერიოზულ შეშფოთებას გამოხატავდნენ საქართველოს სასჯელის აღმასრულებელი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ვითარებისა და საყოფაცხოვრებო პირობების მოუწესრიგებლობის გამო.

ეს პრობლემა თანდათანობით გვარდება. ძირეული რეკონსტრუქციის შემდეგ 30 მაისს გაიხსნა ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონია, რომელშიც ნორმალური პირობებია არასრულწლოვანთა ცხოვრებისა და სწავლისათვის – სანიმუშოდ მოწყობილი საგნობრივი კაბინეტები და საკლასო ოთახები ნებისმიერ სკოლას შეშურდება. ფართო დასაძინებელი ოთახები და კვების ბლოკი ნორმალურ ყოფით პირობებს უქმნის არასრულწლოვანებს.

დიდ დარბაზში გამოფენილია არასრულწლოვანთა ნახატები და ნაკეთობანი. კოლონიის ეზოში არსებული პატარა ეკლესია მოზარდთა სულიერ განწმენდას ემსახურება.

გახსნაზე მოვიდნენ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში რუსუდან ბერიძე, შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე, განათლების მინისტრი თამაზ კვაჭანტირაძე, პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში თემურ გიორგაძე, თბილისის მერი ბადრი შოშიტაიშვილი, გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დემურ მიქაძე, მწერლები, მეცნიერები, ცნობილი სპორტსმენები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

არასრულწლოვანთა კოლონიის აღდგენაში, რომლის სახსრები ძირითადად შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაიღო, აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეწარმეებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

საქინფორმი.

სურათებზე: კოლონიის გახსნის დღეს.

ბესიკ კეზერაშვილის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ინფორმაცია

მოძმე სომხეთში

გუშინ დამთავრდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ოთხდღიანი ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში.

მისმა უწმინდესობამ ილია მეორემ და სრულიად სომეხთა კათალიკოსმა გარეგინ პირველმა გამართეს ერთობლივი საზეიმო ლოცვები და ქადაგებები წმინდა ეჩმიაძინის საკათედრო ტაძარში, ერევნის წმინდა სარქისის ტაძარში, ხორ ვირაპის სამონასტრო კომპლექსში. თითქმის ყველა გამოსვლასა თუ ქადაგებაში მისმა უწმინდესობამ ილია მეორემ ყურადღება გაამახვილა ეკლესიის როლზე ამიერკავკასიის ქვეყნებში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. კათალიკოსებმა გვირგვინებით შეამკეს გენოციდის მსხვერპლთა მემორიალი, დაათვალიერეს ერევანში მშენებარე გრიგოლ განმანათლებლის სახელობის საკათედრო ტაძარი, აგრეთვე ერევანთან მდებარე ქართული ეკლესია.

ვიზიტის პროგრამით გაიმართა შეხვედრები: სომხეთის პრეზიდენტთან ლევონ ტერ-პეტროსიანთან, ეროვნული კრების თავმჯდომარესთან ბაბკენ არარქციანთან, პრემიერ-მინისტრთან რობერტ ქოჩარიანთან, სამეცნიერო-კულტურული წრეების და ფართო საზოგადოების წარმომადგენლებთან. გაიმართა კულტურული ღონისძიებები.

იასტრჟემბსკის უსაფუძვლო არგუმენტები

საქართველოს არავითარი უფლება არა აქვს მოითხოვოს მონაწილეობის მიღება შავი ზღვის ფლოტის გაყოფაში. განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა სერგი იასტრჟემბსკიმ პარასკევს კრემლში გამართულ ბრიფინგზე.

მან აღნიშნა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების 1992 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით, შავი ზღვის ფლოტის გაყოფის საკითხი მხოლოდ რუსეთისა და უკრაინის საქმეა. გარდა ამისა, როგორც პრესმდივანმა თქვა, საქართველომ 1991 წელს ცალმხრივად მოახდინა ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზის ნაციონალიზაცია და თავის განკარგულებაში მიიღო სამხედრო ტექნიკური ქონების ნაწილი და ინფრასტრუქტურა. თავისი ღირებულებით ეს გაცილებით აღემატება იმ სამხედრო ხომალდებს, რომელთა ბაზირების ნავსადგური იყო ფოთი, თქვა ს. იასტრჟემბსკიმ.

ამრიგად, აღნიშნა მან, როგორც სამართლებრივი, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოს პრეტენზია უსაფუძვლოა.

„რუსეთის მხარის მიერ მოყვანილ არგუმენტებს საფუძვლიანს ვერ ვუწოდებთ, უკეთეს შემთხვევაში ისინი შეუმოწმებელია და ვერ დაარწმუნებს საქართველოს ხელმძღვანელობას უარი თქვას თავის კანონიერ უფლებაზე მოითხოვოს ყოფილი საბჭოთა კავშირის შავი ზღვის ფლოტის კუთვნილი წილი, იმ ფლოტისა, რომლის შექმნაშიც, საქართველომ, როგორც შავიზღვისპირა ქვეყანამ, საგრძნობი წვლილი შეიტანა“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანმა ვახტანგ აბაშიძემ.

მან აღნიშნა, რომ 1992 წლის იანვარში საქართველო არ იყო დსთ-ს წევრი და, შესაბამისად, არ შეეძლო მიეღო მონაწილეობა შავი ზღვის ფლოტის გაყოფის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. საქართველო შემდგომშიც არ შეერთებია დსთ-ს ამ გადაწყვეტილებებს.

ვახტანგ აბაშიძის განცხადებით, 1992 წელს რუსეთმა საქართველოს ხელისუფლებასთან კონსულტაციებისა და შეთანხმების გარეშე გაიყვანა ფოთიდან სამხედრო გემები. „რაც შეეხება თავად ქალაქ ფოთს და, შესაბამისად, ფოთის ნავსადგურს, მათი საქართველოსადმი კუთვნილება, საბედნიეროდ, ჯერ არავის ეჭვქვეშ არ დაუყენებია“, – თქვა ვახტანგ აბაშიძემ.

მაშინ კი გვეშველება!

„იბერიის“ კორესპონდენტს სახელმწიფო კომპანია „საქენერგოდან“ აცნობეს, რომ დამუშავებულია რამდენიმე პროექტი ხუდონჰესის მშენებლობის დასასრულებლად. უცხოელმა ინვესტორებმა გამოთქვეს აღნიშნულ მშენებლობაში მნიშვნელოვანი თანხების ჩადების სურვილი. ვარაუდობენ, რომ ხუდონჰესის ამოქმედება დაახლოებით 90 პროცენტით გადაწყვეტს საქართველოს ენერგოპრობლემას.

ამერიკა – საქართველო – აზერბაიჯანი

მაკონის პროგრამით გათვალისწინებულია საქართველოს გავლით ამერიკიდან აზერბაიჯანის ალუმინის ქარხნისათვის ბოქსიტების გადაზიდვა, – განუცხადეს რკინიგზის დეპარტამენტში „მოამბე-ექსპრესის“ კორესპონდენტს.

„ჩაძირული“ საზღვაო დეპარტამენტი

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, სერიოზული ნაკლოვანებებია საზღვაო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის საქმეში. საზღვაო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფი გემებით ტვირთების გადატანა თითქმის აღარ ხდება. საზღვაო სანაოსნოს ზარალმა მიმდინარე წლის ოთხ თვეში 2,5 მილიონი დოლარი შეადგინა.

„ჰუსეინ ბიძია, ნენეს უთხარი...“

საქართველოში 1600 დეზერტირია, ისინი დაისჯებიან კანონის მიხედვით. მაგრამ გასარკვევია დეზერტირობის მიზეზები. ჩვენ შევამოწმეთ რამდენიმე სამხედრო ნაწილი, ერთ-ერთში 300 კაცის ნაცვლად 162 აღმოჩნდა, – განაცხადა გუშინ პროკურატურაში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ ბადრი ბიწაძემ. ხშირია შემთხვევები, როდესაც ჯარში გაწვეულია ავადმყოფი ახალგაზრდა. იყო ისეთი ფაქტიც, როცა სხვა ქვეყნის მოქალაქე გაიწვიეს.

ყალბი სამხედრო ბილეთის გაცემისათვის დაკავებულია მცხეთის რაიონის კომისრის მოადგილე.

სეტყვას და გვალვას კალიაც მოჰყვა

წინა ორი გვალვიანი წლის შემდეგ, ბუნებამ თითქოს მოწყალება მოიღო – გაზაფხული ერთობ წვიმიანი გამოდგა კახეთში. თუმცა, ყველგან არა: გვალვისა და ქარისაგან დიდ ფართობებზე დაზიანდა საშემოდგომო ნათესები საგარეჯოს, სიღნაღის, დედოფლისწყაროს რაიონებში. თავისთავად სასურველ წვიმას ხშირად თან ახლავს სეტყვა, რომელმაც რეგიონში ასობით ჰექტარზე გაანადგურა ვენახი. მაგრამ ის, რაც ამ დღეებში დაატყდათ თავს გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებს, მოულოდნელიც არის და შემაშფოთებელიც – აზერბაიჯანიდან შემოსეულმა კალიამ პირწმინდად გადაძოვა ნათესები შეიდას ჰექტარზე. კალიის გუნდები სულ უფრო მეტ ფართობს ედება და თუ დროულად არ განხორციელდა საჭირო სამუშაოები, საეჭვოა, რამე გადარჩეს.

შვილის დანაშაულისა გამო

გუშინ, 30 მაისს, დაახლოებით 12 საათზე საქართველოს პროკურატურის შენობაში განყოფილების პროკურორმა ნუკრი ასათიანმა თავის სამუშაო ოთახში სამსახურებრივი იარაღით სცადა თვითმკვლელობა. შემთხვევის გახმაურებისთანავე მას აღმოუჩინეს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. ნ. ასათიანი ჰოსპიტალიზებულია, მას გაუკეთდა გულის ოპერაცია.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც იძიებს გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატი.

წინასწარი მონაცემებით, თვითმკვლელობის მცდელობა განაპირობა ნ. ასათიანის ვაჟიშვილის მიერ რამდენიმე დღის წინათ მძიმე დანაშაულის ჩადენამ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა - საქინფორმმა, „მოამბე-ექსპრესმა“, „იბერიამ“, ჩვენმა კორესპონდენტებმა.

საქართველოს კანონი

„ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ., № 12-13, მუხ. 248) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში სიტყვის „სადაზღვევო“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „შენატანები“.

2. მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) ფიზიკურ პირთა მიერ მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება.“

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი,
1997 წლის 14 მაისი.

საქართველოს კანონი

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 12 ნოემბრის კანონის (პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., № 29-30/5) მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს სიტყვები:

„გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი,
1997 წლის 14 მაისი.

შევეწიროთ

ერის მთლიანობის სიმბოლო



წმინდა სამების სამონასტრო კომპლექსის მშენებლობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, როგორც ერის მთლიანობის სიმბოლომ. ცხადია, ამას გრძნობს ქართველი საღად მოაზროვნე საზოგადოება, ამიტომ შემოწირულობების რაოდენობამ გარკვეულწილად იმატა.

წმინდა სამების სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას შეეწივნენ:

„საქართველოს ბანკის“ სათავო აპარატი	– 1000 ლარი
თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა	– 1000 ლარი
„საქართველოს ბანკის“ ახალციხის ფილიალი	– 10 ლარი
„საქართველოს ბანკის“ ამბროლაურის ფილიალი	– 10 ლარი
საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი	– 12 ლარი
გ. კინტერაია	– 43 ლარი
ეთერ სვანიძე	– 5 ლარი
ოქროპირ ჩალაძე	– 5 ლარი

ყულაბებიდან შემოსული თანხები:

სასტუმრო „მეტეხი“	– 40 ლარი და 10100 რუსული რუბლი
„საქართველოს ბანკი“ (ჩუღურეთის რაიონი)	– 2 ლარი და 5 თეთრი
სუპერმარკეტი „ბაბილონი“	– 83 ლარი და 25 თეთრი
კაზინო „ფილარმონია“	– 2 ლარი
სასტუმრო „საქართველო“	– 16 ლარი და 70 თეთრი
კაზინო „ივერია“	– 9 ლარი
რესტორანი „ბერიკონი“	– 4 ლარი
კაზინო „ბერიკონი“	– 18 ლარი
„საქართველოს ბანკი“ (ისნის რაიონი)	– 3 ლარი.

უკანასკნელ საათს

ჩიტა. 30 მაისს იმიერბაიკალის სამხედრო ოლქის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში რიგითმა ევგენი გორბუნოვმა ავტომატით დახოცა თავისი მეთაური და ხუთი ჯარისკაცი, რის შემდეგაც მიიმალა. შეიარაღებულ ჯარისკაცს ეძებენ მილიციისა და ფედერალური უშიშროების სამსახურის თანამშრომლები.

კიევი. გუშინ აქ გაიმართა უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმასა და რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის შეხვედრა. დღეს, მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ რუსეთისა და უკრაინის მეგობრობის და თანამშრომლობის ფართომასშტაბიან ხელშეკრულებას.

პეტროპავლოვსკი. გუშინ ავაჩის ყურეში ჩაიძირა ატომური წყალქვეშა ნავი, რომელიც 20 მეტრ სიღრმეზე ჩაეშვა და ახლა ფსკერზე დევს. მიმდინარეობს სამუშაოები სუბმარინის ამოსაღებად.



მოსკოვი. გუშინ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი გამოვიდა ტრადიციული რადიომიმართვით მოსახლეობისადმი, რომელშიც გააშუქა 27 მაისს ხელმოწერილი რუსეთ-ნატოს ხელშეკრულება.

ჯაკარტა. ინდონეზიის მმართველმა ბლოკმა – გოლკარმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა პარლამენტის არჩევნებში. წინასწარი მონაცემებით მას ხმა მისცა 60 მილიონმა ამომრჩეველმა, ანუ მონაწილეთა 75 პროცენტმა.

ჯოკარგალა. დღეს ჩეჩნეთის დედაქალაქში მიმდინარეობს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩევნები, აგრეთვე დამატებითი არჩევნები ჩეჩნეთის პარლამენტში დარჩენილ 17 ადგილზე. დღესვე უნდა მოეწყოს ქალაქ ჯოჰარგალას მერის არჩევნები, რომლის პოსტზე პრეტენზიას აცხადებს შვიდი კაცი, მათ შორის, ჯოჰარგალას ახლანდელი მერი ლეჩი დუდაევი და უმაღლესი საპრეზიდენტო საბჭოს წევრი ტურპალ ალი ატგერიევი.

ბრიუსელი. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ნატოს წევრებმა და „სამშვიდობო პარტნიორობის“ პროგრამის მონაწილე ქვეყნებმა შექმნან ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკა
№124. შაბათი, 31 მაისი, 1997 წელი.

„ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანას, სადაც ადამიანის უფლებები უზენაესი იმპერატივის რანგშია აყვანილი“

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოხსენება საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 27 მაისის სხდომაზე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. პირველი გვ.

ხელისუფლების საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებაა კონსტიტუციური წყობილების შემდგომი განმტკიცება.

კონსტიტუცია ჩვენი სახელმწიფოებრიობის იურიდიული და პოლიტიკური საფუძველია, ხოლო იმ გარემოებამ, რომ ძირითადი კანონის მიღება მოხდა დემოკრატიული პროცედურის სრული დაცვის, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა ფართო დისკუსიის, განსხვავებული აზრის მაქსიმალური გათვალისწინების პირობებში, ამ ფუძემდებელ დოკუმენტს შესძინა ჭეშმარიტად „დიდი საზოგადოებრივი შეთანხმების“, სოციალური ჰარმონიის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტის ფუნქცია.

კონსტიტუციის ანუ „დიდი საზოგადოებრივი შეთანხმების“ დაცვა პრეზიდენტის, საკონსტიტუციო სასამართლოს, პარლამენტის, მართლმსაჯულების, თითოეული მოქალაქის, მთელი საზოგადოების მოვალეობაა.

რა თქმა უნდა, მომდევნო წლები იქნება საქართველოს კონსტიტუციის შემდგომი სრულყოფის ეტაპი. მოგეხსენებათ, ობიექტური მიზეზების გამო კონსტიტუციაში არსებობს იურიდიული ხარვეზი – მისაღებია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავი „ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის“ შესახებ, აგრეთვე რამდენიმე ორგანული კანონი. ეს ხარვეზი უეჭველად უნდა შეივსოს, მაგრამ ყველას კარგად უნდა გვქონდეს გაცნობიერებული, რომ ნებისმიერი დამატების შეტანა კონსტიტუციაში, ანუ ქვეყნის ძირითად კანონში, ამჟამად არსებული ხარვეზის შევსება უნდა მოხდეს მხოლოდ ზემოხსენებული დიდი საზოგადოებრივი შეთანხმების პირობათა დაცვით, კონსტიტუციური წყობილების საფუძველთა რევიზიის გაუწევლად.

კონსტიტუციურ მოთხოვნათა სახელმწიფოებრივი განხორციელების თვალსაზრისით კი ჩვენი მიზანია დავამყაროთ კონსტიტუციური წესრიგი და კანონიერება სახელმწიფოში, უწინარესად, უზენაეს ხელისუფლებაში, რადგანაც მთავრობა და ხელისუფლება, რომელიც სამართლითა და კანონით არ არის შეზღუდული, კანონის უზენაესობას არ იცავს, სოციალურად საშიშია დემოკრატიის, ხალხისა და საზოგადოებისათვის.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კონსტიტუციის ერთ-ერთი უდიდესი ღირსება ის არის, რომ მასში ნათლად არის ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივ-იურიდიული მექანიზმი.

პარლამენტისა და ხალხისადმი პრეზიდენტის ყოველწლიური მიმართვის მთავარი საზრისი ის არის, რომ დასაბამი მიეცეს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების საერთო-სახალხო დემოკრატიულ კონტროლს, საერთო-სახალხო დისკუსიას ამ თემაზე.

კონსტიტუციურად დადგენილია, რომ ადამიანის ბუნებრივი უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც მოქმედი სამართლით, წინასწარ არის შეზღუდული საპრეზიდენტო და აღმასრულებელი ხელისუფლება, თვით პარლამენტიც, საკონსტიტუციო სასამართლო, მუნიციპალური ხელისუფლება, ელექტორატიც კი, რადგან დემოკრატია არ ნიშნავს ინდივიდის დათრგუნვას, ხოლო „ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც სხვა ადამიანის თავისუფლება იწყება“.

პარლამენტმა, რომელიც ხალხის მანდატით იყო აღჭურვილი, მიიღო კონსტიტუცია. პრეზიდენტი, პარლამენტი და საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის სრულფასოვანი მოქმედების გარანტს წარმოადგენენ.

სასურველია, ყოველწლიურად გამოქვეყნდეს პრეზიდენტის, პარლამენტისა და სასამართლო ხელისუფლების ერთობლივი დასკვნა, ანალიზი ქვეყანაში ყველა იერარქიულ დონეზე კონსტიტუციის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის შესახებ. ეს წინადადება შეიძლება მივიღოთ, შეიძლება – არა, მაგრამ, ვფიქრობ, იგი განხილვას იმსახურებს.

დღეს უკვე შეიძლება სრული დარწმუნებით ითქვას: საქართველოს კონსტიტუცია ჯანსაღად მობილი ორგანიზმია, რომელიც ცოცხლობს და რეალურად მოქმედებს. მისი მეშვეობით შენდება საქართველოში სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება, საბაზრო ეკონომიკა, გაიმართა დემოკრატიული არჩევნები, შეიქმნა პარლამენტი, საპრეზიდენტო და აღმასრულებელი ხელისუფლება, მთავრობა, ჩამოყალიბდა სასამართლო ხელისუფლება, საკონსტიტუციო სასამართლო.

როგორც სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირი, განსაკუთრებით აღვნიშნავ ამ პროცესში სწორედ პრეზიდენტის პასუხისმგებლობასა და როლს.

წინამდებარე მოხსენებაში ჩამოყალიბებული ამოცანები გამომდინარეობს პრეზიდენტის პოლიტიკური პროგრამიდან, კონსტიტუციის დაცვის ინტერესებიდან და საპრეზიდენტო რესპუბლიკის, საპრეზიდენტო ხელისუფლების მოქმედების ერთგვარ პროგრამასაც შეადგენს. ამდენად, მათ არსებითი მნიშვნელობა აქვთ სტრატეგიული საპრეზიდენტო პროგრამის შესრულებისათვის.

* * *

1997 წელს საპრეზიდენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა საბიუჯეტო პოლიტიკის ოპტიმალურად განხორციელება და მაკროეკონომიკური, სტრუქტურული გარდაქმნების სამწლიანი პროგრამის ხორცშესხმა.

მიმდინარე წელი ამ სამწლიანი პროგრამის შესრულების მეორე წელია.

პარლამენტის მიერ, ხანგრძლივი დისკუსიის შედეგად დამტკიცებული, ამჟამად უკვე მოქმედი ბიუჯეტი სინთეზური პროდუქტია სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებისა. იგი ცხარე საპარლამენტო დებატების შედეგად იქნა მიღებული. მისი ძირითადი პარამეტრები, მიჯნები თქვენთვის კარგად არის ცნობილი.

მიღწეულ ეკონომიკურ პროგრესს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს ეროვნული თვითშეგნებისა და თვითდამკვიდრების თვალსაზრისითაც. ბიუჯეტის ციფრები და პარამეტრები გვარწმუნებენ, რომ ქართულ სახელმწიფოს, საქართველოს ხალხს შესწევს უნარი გადაწყვიტოს ურთულესი პრობლემები, გამოვიდეს უმძიმესი კრიზისიდან და, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთარი ხელით და ნიჭით შექმნას ახალი რეალობა.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის საკითხები ჩვენ დეტალურად განვიხილეთ, ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია შევჩერდე მიმდინარე ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების ზოგიერთ პარამეტრზე.

ბევრი რამ თქვენთვის ცნობილია, მაგრამ რადგან ჩვენს დებატებში მონაწილეობენ ტელემაყურებლები, რადიომსმენელები, შეიძლება მათთვის ზოგიერთი ციფრი ყურადღებას იმსახურებდეს. ამასთან, ამ ციფრებს და ტენდენციებს, რომელთა შესახებაც მოგახსენებთ, არ განვიხილავ როგორც თვითმიზანს. ეს არის იმედისმომცემი ციფრები და ტენდენციები, ხოლო იმედი დღეს ჩვენს საზოგადოებას ძალიან სჭირდება.

საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირების 1996 წლისა და მიმდინარე წლის განვლილი თვეების ძირითადი შედეგები მიუთითებენ იმაზე, რომ ისინი მთლიანობაში შეესაბამება საპრეზიდენტო ეკონომიკურ პროგრამას. კერძოდ, მოხერხდა ქვეყანაში დაწყებული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესის ყოველმხრივი განმტკიცება და ამის შედეგად კრიზისული პროცესების შემდგომი განვითარების შეჩერება, საერთო ეკონომიკური აღმავლობისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის თანდათანობითი გაუმჯობესების დაწყება.

ქვეყანაში თვისებრივად გაჯანსაღდა კრიმინოგენული სიტუაცია, რის შედეგადაც მეწარმეს, საერთოდ, მოსახლეობას, შეექმნა სამეწარმეო საქმიანობის დაწყების გარკვეული გარანტიები.

1996 წელი შემობრუნების წელი იყო სამეურნეო შედეგების მიხედვითაც. კერძოდ, ამ წელს ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტი რეალური განზომილებით 11 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს; ხოლო 1997 წლის პირველ კვარტალში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტი შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 9 პროცენტით აღემატება. ამასთან, 1996 წელს ნავარაუდევი იყო 29-პროცენტიანი წლიური ინფლაცია, მაშინ, როცა რეალურად ამ მაჩვენებელმა 13,5 პროცენტი შეადგინა, ხოლო 1997 წლის პირველი კვარტალის საშუალო თვიური ინფლაციის დონე 1,2 პროცენტია, მაშინ, როცა ვვარაუდობდით 3-პროცენტიან დონეს.

1997 წლისათვის ნავარაუდევია მთლიანი შიდა პროდუქტის 10,2-14,1 პროცენტით ზრდა, ხოლო ინფლაციის წლიური ტემპი უნდა შევინარჩუნოთ 10-12 პროცენტის ფარგლებში; ეს არის ჩვენი ვარაუდი და მიზანი.

1996 წელს სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა 107,7 პროცენტი შეადგინა, წინა წლის 13,5 პროცენტით დაცემის ნაცვლად, ხოლო 1997 წლის პირველ კვარტალში ზრდის ტემპი 109 პროცენტია.

ამავე დროს, ჩვენი სამრეწველო პოტენციალი კვლავ მნიშვნელოვანწილად არასრულად გამოიყენება. კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ჯერჯერობით არსებული სამრეწველო პოტენციალის მხოლოდ 25 პროცენტს ვიყენებთ. ამ მხრივ რესურსები ძალიან დიდია.

აგრარულ სექტორში გასულ წელს გაუმჯობესდა თითქმის ყველა ძირითადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი, რაც, საბოლოო ჯამში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 6 პროცენტიანი ზრდით გამოიხატა.

საკრედიტო რესურსების სიმწირის გამო კვლავ მეტად მცირეა კაპიტალური მშენებლობის მასშტაბები. აქ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ინვესტიციების უფრო ინტენსიურად მოზიდვამ, რის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

1996 წლისა და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ძვრებია მომსახურების სფეროს დარგებში, რომელიც მართლაც ერთ-ერთი წამყვანი სფერო გახდა ჩვენი მეურნეობისა და ეკონომიკისათვის. ამასთან, სასურველისაგან ჯერ ისევ შორსაა მომსახურების ხარისხი, დონე და კულტურა. ამ პრობლემის გადაჭრაზე ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა დასაქმების სფეროში. კერძოდ, 1996 წელს ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში დამატებით დასაქმდა 189 ათასი კაცი (ეს ციფრი, ალბათ, კიდევ დაზუსტებას მოითხოვს). 1997 წლის პირველ კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობა 25-30 ათასი კაცით გაიზარდა და 1,8 მილიონი კაცი შეადგინა. ამასთან, სტატისტიკური აღრიცხვის მოწესრიგების, პარამეტრების დაზუსტების შედეგად, სავარაუდოა ამ მაჩვენებლის ზრდა. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ უმუშევრად ძნელია ჩავთვალოთ თვითდასაქმებული მოსახლეობა. მხედველობაში მაქვს ბაზრობები, ინდივიდუალური მეწარმეობა, საკუთარი მიწის ნაკვეთის მფლობელი მოსახლეობა. ამ უკანასკნელთა კატეგორიებს უნდა მიეკუთვნოს სტატისტიკის თანახმად დაუსაქმებელი მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი. როგორც მოგეხსენებათ, მიწის მფლობელი გახდა მილიონზე მეტი ოჯახი.

მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული **სახელმწიფო ქონების პრივატიზაციაში.** კერძო საკუთრებაში გადაეცა 9600-მდე მცირე პრივატიზაციის ობიექტი, დაფუძნებულია 1050-მდე სააქციო საზოგადოება. სახელმწიფომ ვაუჩერის საშუალებით მოსახლეობას გადასცა 154 მილიონი დოლარი ღირებულების სახელმწიფო ქონება. ამ გზით დაახლოებით 500 ათასი კაცი გახდა მესაკუთრე.

საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის საფუძველზე ქვეყანაში ფაქტობრივად მიღწეული იქნა ეკონომიკური და ფინანსური სტაბილიზაციის დასახული დონე. არსებითია ის გარემოება, რომ **1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები წინა წელთან შედარებით 2,3-ჯერ გაიზარდა.** მინდა დავაზუსტო, რომ შეიძლება აბსოლუტურ მოცულობაში ეს ძალიან დიდი თანხა და სახსრები არ არის, მაგრამ, თავისთავად, ეს არის ეკონომიკის ზრდის უპრეცედენტო ტემპი.

1997 წელს გათვალისწინებულია საგადასახადო შემოსავლების თითქმის 2-ჯერ გადიდება. მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში საგადასახადო შემოსავლები 1995 წლის 3,6 პროცენტიდან 1996 წელს – 5,4 პროცენტამდე გაიზარდა. 1997 წლისათვის დაგეგმილია 8,8 პროცენტი, ხოლო 1998 წლისათვის ნავარაუდევია 9,3 პროცენტი.

დღეისათვის არსებული ვითარების გაანალიზებით **პრაქტიკულად წარმატებით შესრულდა საქართველოში ეკონომიკური რეფორმების პირველი ეტაპის ამოცანები.** მაგრამ რეფორმებმა ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა საკმარისი ადეკვატური ასახვა მოსახლეობის რეალურ შემოსავლებზე, მათი ცხოვრების დონეზე. ჯერ კიდევ მწვავეა სოციალური პრობლემები. ამჟამად დღის წესრიგში დგება ეკონომიკური რეფორმების გაღრმავებისა და ახალ ეტაპზე გადასვლის აუცილებლობა.

ამ ეტაპზე რეფორმების ძირითადი მიმართულება უნდა გახდეს: ყველა დონის ბიუჯეტისათვის ინვესტიციური და ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ხასიათის მინიჭება, სახელმწიფო ინვესტიციების მარეგულირებელი როლის ამაღლება საქართველოში მეწარმეობის განვითარებისა და სამეურნეო კომპლექსის სტრუქტურული სრულყოფის მიმართულებით; მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის არსებული ქონებრივი დიფერენციაციის შემცირება და თითოეული ოჯახის საბაზრო ფასების არსებული დონის შესაბამისი მსყიდველუნარიანობის უზრუნველყოფა; პრივატიზებული საწარმოების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა; ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის ჩამოყალიბება; მონოპოლიური დარგების რესტრუქტურიზაცია – კერძოდ, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში, კომუნალურ მეურნეობაში, და მათში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება; მსხვილი სახელმწიფო საწარმოების, მათ შორის, ენერგეტიკული, მეტალურგიული კომპლექსების რესტრუქტურიზაცია, რომელიც უნდა გახდეს წარმოების სფეროს დაჩქარებული განვითარებისა და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების წანამძღვარი; საჭიროა გაკოტრების შესახებ კანონის და სხვა კანონების სრულფასოვანი ამოქმედება, სასამართლო რეფორმის განხორციელება, ახალი კანონების მიღება. ყველა ეს ღონისძიება, საბოლოო ანგარიშით უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის შემოსავლების გადიდებასა და მათი ცხოვრების დონის რეალურ ამაღლებას.

ცნობისათვის: დღეისთვის საშუალო ხელფასი საბიუჯეტო ორგანიზაციებში 40 ლარია (საკმაოდ დიდი წილი ამ თანხისა მოდის სამართალდამცავ ორგანოებზე), კერძო სექტორში 100 ლარზე მეტი (ჩემი ვარაუდით – ცოტა უფრო მეტიც უნდა იყოს. ამას დაზუსტება სჭირდება).

საშუალო პენსიები ომის მონაწილეთათვის, თქვენი გადაწყვეტილების შესაბამისად 60 ლარს შეადგენს, ხოლო შრომის პენსია 12 ლარია. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მცირეა.

ორიოდე სიტყვა საქართველოს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრებისა და მიმართულებების პროექტზე.

1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრებისა და მიმართულებების პროგნოზი გამომდინარეობს ქვეყნის საფინანსო და ზოგადეკონომიკური პოტენციალის რეალისტური შეფასებიდან და ამასთან, მაქსიმალურად ასახავს მიმდინარე ეტაპზე ეკონომიკური პოლიტიკის წინაშე მდგარ ამოცანებს. ვფიქრობ, მომავალი წლის ჩვენი ბიუჯეტის და მთელი ეკონომიკის განვითარების პარამეტრები საკმაოდ საინტერესოა. კერძოდ, ვეცდებით, ინფლაციის წლიური დონე 10 პროცენტს არ აღემატებოდეს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა მომავალი წლის საქართველოს ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები.

ამავე დროს, საინტერესოა ისიც, რომ საქართველოს კრებსითი ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლებისა და გრანტების მისაღები საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 1047,3 მლნ. ლარს, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 13,1%-ს. **აღნიშნული თანხა 28%-ით აღემატება წლევანდელ დამტკიცებულ დონეს.**

თქვენი ყურადღება განსაკუთრებით მინდა მივაპყრო იმას, რომ **ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების** საკუთარი შემოსავლების მოცულობა განისაზღვრება 234,9 მლნ. ლარით, რაც წლევანდელ დაგეგმილ დონესთან შედარებით 35 პროცენტით მეტია.

1996 წლის ბიუჯეტების შესრულების პროცესში წამოჭრილმა პრობლემებმა, ასევე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის დონის ობიექტურმა შეფასებამ უფრო რეალისტური ხასიათი მიანიჭა საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში გამოყენებულ კრიტერიუმებს, დაადასტურა არსებული შესაძლებლობების უფრო ზუსტი შეფასების აუცილებლობა. ეს გარკვეულ ტენდენციას ასახავს.

მე ასეც ვთქვი მთავრობის სხდომაზე, რომ **მიმდინარე წელი, ისე როგორც მომავალი, უნდა იყოს ტერიტორიული, ადგილობრივი ბიუჯეტების სრულყოფის, მათთვის სათანადო სტიმულების შექმნის წელი.**

საგულისხმოა, რომ საკუთარი შემოსავლები ბიუჯეტში თანდათანობით იზრდება. ჩვენ 1996 წელს დავიწყეთ 65 პროცენტით, 1997-ში გავედით თითქმის 75%-მდე და ვვარაუდობთ, რომ გაისად საკუთარი შემოსავლები შეადგენს 85%-ს. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ 1998 წელი გაცილებით უკეთესი მაჩვენებლებით დამთავრდება.

აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ, მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა და იმისა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტის პარამეტრების შემუშავებას ძალზე ფრთხილად, წინდახედულად მივუდექით, მაინც ვახერხებთ სოციალური დაცვის ღონისძიებათა დაფინანსების გაზრდას 48-49%-ით. მხედველობაში მაქვს ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, სპორტი და ა.შ. ამ მიზნით გათვალისწინებულია 155 მლნ. ლარი. თავდაცვის ღონისძიებებზე, მიუხედავად გარკვეული შეზღუდულობისა, დაიხარჯება 84,8 მლნ. ლარი (მთლიანი ხარჯების 8,5%), ანუ 1997 წლის დაგეგმილ მაჩვენებელზე 10%-ით მეტი.

ამასთან, საჭიროა შემდგომი მუშაობა ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე, შესაბამისი მექანიზმების მომავალი წლის ბიუჯეტში ასახვის მიმართულებით. ეს ეხება ცენტრალურსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის **შემოსავალთა განაწილების ოპტიმიზაციას,** უკეთესი ინვესტიციური გარემოს შექმნასთან დაკავშირებული ბერკეტების გაძლიერებას, ახალი საბიუჯეტო რეზერვებისა და რესურსების გამონახვას, – განსაკუთრებით ჩრდილოვანი ეკონომიკის საფინანსო კონტროლისადმი დაქვემდებარების ხარჯზე, სახელმწიფოს მოსახლეობის წინაშე არსებული ვალდებულებების **ეტაპობრივი** დაფარვის მექანიზმის შემუშავებას, საფინანსო აღრიცხვა-ანგარიშგების სრულყოფასა და მრავალ სხვა საკითხს, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება შესაბამისი საპარლამენტო სტრუქტურების აქტიური მონაწილეობით.

უფრო დეტალურ ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით მოისმენთ ბატონ მიხეილ ჭკუასელის გამოსვლაში, რომელიც, ალბათ, უახლოეს მომავალში შედგება.

რაც შეეხება მიმდინარე წლის 5 თვის შედეგებს, მიუხედავად ცნობილი სიძნელეებისა, რომლებითაც წლის დასაწყისში ხასიათდებოდა ქვეყნის სახალხო მეურნეობა და ეკონომიკა, მდგომარეობა უმჯობესდება. ხუთი თვის, განსაკუთრებით, ნახევარი წლის შედეგები, ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის ნაწილების შესრულების თვალსაზრისით, მთავრობის ვარაუდით, ნორმალური უნდა იყოს. შეიძლება გვქონდეს გარკვეული გადახრები, მაგრამ პრინციპულად საკონტროლო დავალებები, რომლებიც დაამტკიცა პარლამენტმა, პროგნოზების თანახმად, უნდა შესრულდეს. ჩვენ შევეცდებით, რომ ამოცანა რეალურად გადავწყვიტოთ.

* * *

1997 წელს და მომდევნო წლებში საქართველოს ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა კორუფციასთან შეურიგებელი ბრძოლა. დღეს ერთ-ერთ პირველ საკითხად თქვენთან ერთად სწორედ ეს საკითხი მინდა განვიხილო.

ამ სოციალური სენისა და უმძიმესი სახელმწიფოებრივი მანკისაგან თუ არ განვიკურნეთ, ზედმეტია ლაპარაკი საქართველოში დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და მოქალაქეთა ჰუმანიტარული თუ სოციალური უფლებების დაცვაზე.

კორუფცია აუძლურებს და ალპობს სახელმწიფოებრივ მექანიზმს, არყევს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების, საზოგადოებრივი მართლშეგნების საფუძვლებს, საფრთხეს უქმნის ქვეყანაში სტაბილურობასა და უშიშროებას.

იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც გვეკისრება ერისა და ქვეყნის წინაშე, ჩვენ დაუნდობელი უნდა ვიყოთ და ვიქნებით კიდეც ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კორუფცია უმძიმესი სახელმწიფოებრივი მანკია.

მიუხედავად სიძნელეებისა, რომლებსაც წავაწყდებით მომავალშიც, გაწმენდის პროცესი დაწყებულია. ოღონდ ყველას უნდა ესმოდეს, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისას ხელისუფლება შეიძლება მხოლოდ უტყუარ ფაქტებს დაეყრდნოს და არა მორალურ ხმებს ან ჭორებს.

ამ პირობებში განსაკუთრებით იზრდება იმ სტრუქტურათა პასუხისმგებლობა, რომლებმაც კანონის საფუძველზე უშუალოდ უნდა განახორციელონ ხალხისა და ხელისუფლების ნება, გაწმინდონ ყველა სახელმწიფოებრივი რგოლი კრიმინალური ელემენტებისაგან. ვგულისხმობ, უწინარესად, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამინისტროს, სასამართლო ხელისუფლებას, პროკურატურას, სხვა სამართალდამცავ ორგანოებს. საზოგადოება უპირველესად სწორედ მათგან ელის კონკრეტულ ძალისხმევასა და შედეგს. რა თქმა უნდა, მათ უნდა დაიწყონ საკუთარი თავით, საკუთარი სისტემებით, საკუთარი სამინისტროებით და, ვფიქრობ, ისინი ამ პრობლემის გადაწყვეტას შეძლებენ.

დიდი როლი შეასრულა პარლამენტის მიერ შექმნილმა სპეციალურმა ანტიკორუფციულმა კომისიამ. სამწუხაროდ, ამ კომისიის ყველა დასკვნა ჯერჯერობით სათანადოდ არ იქნა გაზიარებული თუ გააზრებული სხვადასხვა უწყების მიერ.

რა მაღალი რანგისა და სტატუსის სახელმწიფო მოხელეც უნდა იყოს, – თუ ის მხილებული იქნება კორუფციაში, უნდა გასამართლდეს თანამდებობის მიუხედავად. აქ გამონაკლისი არ შეიძლება არსებობდეს.

კორუფციის მასაზრდოებელი წყაროა ჩრდილოვანი ეკონომიკა, აღურიცხავი, დამალული შემოსავლები; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აბსოლუტურად დამალული შემოსავალი არ არსებობს; შემოსავლის დაფარვის ფაქტების 90 პროცენტი ქრთამთან და გამოძალვასთან არის დაკავშირებული.

აღურიცხავი, დაფარული საგადასახადო თუ საბაჟო შემოსავლების მოცულობა ბიუჯეტთან მიმართებაში, ჩემი გამოანგარიშებით, 20%-ზე მეტია. ზოგიერთები კიდევ უფრო დიდ ციფრებსაც ასახელებენ. თანხების ეს მასა კორუმპირებულთა ჯიბეებში ილექება. საქმე მარტო უდიდესი ეკონომიკური ზარალი როდია. უბედურება ის არის, რომ გრძელდება და ღრმავდება საზოგადოების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის გახრწნა და გადაგვარება. გაბედულად უნდა ვთქვათ ამის შესახებ.

აქედან გამომდინარე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა განვიხილოთ როგორც, ერთი მხრივ, საზოგადოებაში, სახელმწიფოში ჯანსაღი მორალური და ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნის, და, მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების, ბიუჯეტის დამატებითი მნიშვნელოვანი შემოსავლების წყარო.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა ოჯახის და ყველა მოქალაქის ინტერესებს შეესაბამება, რადგან არ არსებობს ჭეშმარიტი დემოკრატია მაღალი ზნეობისა და მორალის გარეშე, ისევე, როგორც არ არსებობს სახელმწიფოს და თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა ძლიერი ბიუჯეტის, სწორი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გარეშე.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოების კორუმპირებულ ნაწილთან ბრძოლა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე შეიარაღებული ბანდების, პროფესიონალი მკვლელებისა და ტერორისტების იზოლირება. როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენ ეს გამოცდა ჩავაბარეთ და ჩავაბარეთ წარმატებითაც.

გაიხსენეთ, როგორ შეზანზარდა საქართველო, როცა კახეთის საზოგადოებამ, თელავის თეატრში შეკრებილმა, მთელი საქართველოსთვის შემოკრა ზარი. როცა შენობაში კრება მიმდინარეობდა, ათასობით ადამიანი თოხებით, ფიწლებით ხელში ქუჩაში გამოვიდა და შეიარაღებული ბანდებისაგან განთავისუფლება მოითხოვა: ან თქვენ, მთავრობა გააკეთებთ ამას, ან ჩვენ, ხალხი გავუსწორდებით მათ, ვინც ჩვენს ოჯახებს აწიოკებს, ოფლით მონაპოვარ ლუკმა-პურს გვართმევს, მშვიდობიანი ცხოვრებისა და შრომის საშუალებას არ გვაძლევსო.

ასე იყო ქართლში, სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში და სხვა რეგიონებში.

შვებით ამოისუნთქა სამეგრელომ, რომლის მოსახლეობის მიმართაც სხვადასხვა ჯურის პოლიტიკანებმა და პოლიტიკაში ფეხმოკიდებულმა ქურდ-ბანდიტებმა უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს.

კორუმპირებული ადამიანები საშიშნი არიან იმითაც, რომ მათ ჩვენს შორის, სამთავრობო თუ საპარლამენტო კაბინეტებში მოიკალათეს, ზოგმა ხალხის ნდობაც მოიხვეჭა, კეთილი და გაჭირვებულთა დამხმარე ადამიანის სახელიც დაიმკვიდრა. ამიტომ იოლი არ არის მათი მხილება.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. როგორც ჩანს, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა დაკარგა რწმენა, რომ ხელისუფლება შეძლებს ამ პრობლემის გადაწყვეტას. ჩვენ, ყველამ ერთად, უნდა დავუმტკიცოთ ხალხს, ჩვენს თანამემამულეთ: უიმედობა გამართლებული არ არის, ხელისუფლებას შესწევს ძალა და უნარი ბოლო მოუღოს კრიმინალთა თარეშს არა მარტო ქუჩებში, არამედ სახელისუფლო კაბინეტებშიც.

ოღონდ ამ პრობლემას კიდევ ერთი წახნაგი აქვს: არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის დაშვება, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა გადაიზარდოს მასობრივ რეპრესიებად, სახელმწიფოს „პოლიციურ ყაიდაზე“ მოწყობად, ადამიანის უფლებების დარღვევად. კანონიერებისათვის ბრძოლა – კანონიერი გზებითა და საშუალებებით! – ასეთი უნდა იყოს ჩვენი პრინციპი.

* * *

1994 წლიდან, მას შემდეგ, რაც შეიქმნა ელემენტარული პირობები, საქართველოში დაიწყო რადიკალური რეფორმა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სფეროებში.

თუ გადაჭარბებული არ არის ამის თქმა (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ვართ ამის ავტორი

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

„ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანას, სადაც ადამიანის უფლებები უზენაესი იმპერატივის რანგშია აყვანილი“

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოხსენება საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 27 მაისის სხდომაზე

რეფორმათა ერთობლიობას უკვე ეწოდა „ქართული რეფორმაცია“, რომლის მიზანია ქართული სახელმწიფოებრიობის ახალი საფუძვლის შექმნა, თვისებრივად ახალი, პროგრესული სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბება.

1997 წელს რეფორმათა პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება ეკონომიკის, სახელმწიფოებრივი მშენებლობის, ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით. ეს არ არის აბსტრაქტული პროცესი, რეფორმათა გაღრმავება სავსებით კონკრეტულ, სასიკეთო ნაყოფს გამოიღებს თითოეული ოჯახის, თითოეული ადამიანისთვის. ქართული რეფორმაციის მიზანია ადამიანის კეთილდღეობა, ინდივიდის პოტენციურ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოვლენისათვის საჭირო პირობებისა და ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

* * *

ჩვენი საქმიანობის ბევრი ნაკლი და ხარვეზი „თეორიული დეფიციტის“ შედეგია. ეს ეხება ხელისუფლების ყველა შტოს და იერარქიულ დონეს.

ცხოვრებაში შემოდის ახალი ტიპის ბიუროკრატი, რომელიც ცდილობს თავისი სუბიექტური მენტალიტეტით, უთეორიო „ვიწრო პრაქტიციზმით“, „ვიწრო პრაგმატიზმით“ შეცვალოს მეცნიერება, თეორია, მეთოდოლოგია, ეროვნული და მსოფლიო გამოცდილება. ეს სოციალურად საშიში მოვლენაა. დიდი ილიასი არ იყოს: არც მხოლოდ წიგნებიდან გამოხედვა ვარგა, მაგრამ უწიგნურობა მთლად დამღუპველია.

ხელისუფლების მიერ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პრაქტიკული პროგრამის სწორ გააზრებაზე დიდად იქნება დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს ბედი ამ საუკუნის ბოლოს და შემდეგ საუკუნეში.

პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლების გაძლიერების პრობლემა დღეს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ჩვენი ხელისუფლებისათვის.

ქვეყანა, როგორც იტყვიან, მოსულიერდა, სახელმწიფო შეიქმნა, კონსტიტუცია მივიღეთ, დავიწყეთ ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ბუნებრივია, ყველას გვსურს დავინახოთ მომავლის კონტურები, შევიცნოთ, როგორი იქნება XXI საუკუნის საქართველო, როგორ გვესმის ეროვნული ცნობიერება თანამედროვე ეპოქაში და როგორ გავამთლიანოთ, ავაღორძინოთ იგი?

როგორი უნდა იყოს ჩვენი უძველესი ერის წვლილი მომავლის ცივილიზაციაში?

ვეერთგულოთ აზროვნების საკუთარი სკოლის მონაპოვართა შერწყმას საკაცობრიოსთან თუ გადავეშვათ პრაგმატიზმის ტალღებში და უარი ვთქვათ ჩვენს სულიერებაზე, უმდიდრეს კულტურულ მემკვიდრეობაზე, ათასწლეულობით რომ ყალიბდებოდა, როგორც საკუთარ, აზიურ თუ ევროპულ კულტურათა გასაოცარი სინთეზი?!

არის თუ არა საჭირო ეროვნული, სახელმწიფო იდეოლოგია, დღეს ეს ერთ-ერთი სადისკუსიო თემაა ჩვენი საზოგადოებისათვის.

მიუხედავად უამრავი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემის არსებობისა, გასული წელი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ხელისუფლებამ, მთავრობამ დაიწყო კონკრეტული მუშაობა ახალი საქართველოს იდეური და სულიერი საყრდენების განსამტკიცებლად. ერთი მხრივ, ვცდილობდით ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე გადაგვედგა რეალური ნაბიჯები კულტურის, მეცნიერების გადასარჩენად, რამეთუ ყოველი ერის, ყოველი ქვეყნის არსებობის უზენაესი დანიშნულება კულტურის შექმნაა, კულტურის შემოქმედებაა და, მეორე მხრივ, დავიწყეთ მუშაობა ეროვნული მსოფლმხედველობის, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების კონცეფციის შესამუშავებლად. ახალ ქართულ სახელმწიფოს, რომელიც ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას და ტრადიციებს ეყრდნობა, უდავოდ, უნდა გააჩნდეს მკაფიო ორიენტირები თავისი რაობის, თავისუფალ ხალხთა და ქვეყანათა მსოფლიო თანამეგობრობაში თავისი ადგილის, განვითარების გეზისა და მიმართულებათა თაობაზე როგორც მიმდინარე ეტაპისათვის, ასევე ხილული და შორეული ისტორიული პერსპექტივისათვის.

ასეთი ეროვნული მსოფლმხედველობა, ასეთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების კონცეფცია უნდა დაეფუძნოს ჩვენი ისტორიისა და თანამედროვეობის უნიკალურობას, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს კონსტიტუციას. ასეთი მსოფლმხედველობა უნდა ეყრდნობოდეს და ითვალისწინებდეს საქართველოს მოსახლეობის მრავალეროვნულობას, სახელმწიფოებრივი მოწყობის თავისებურებებს, სხვადასხვა რელიგიური მრწამსის ადამიანების მშვიდობიანი თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში, სახელმწიფო კანცელარიაში სპეციალურმა ჯგუფმა, პრეზიდენტის მითითების შესაბამისად, უკვე დაიწყო მუშაობა აღნიშნულ პრობლემებზე. ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობენ მეცნიერები, ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, იურისტები, მწერლები, შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლები. არიან დეპუტატებიც. მე ვთხოვ ყველა თქვენგანს, შესაძლებლობის ფარგლებში მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში.

ჯგუფის წევრები ყურადღებით ადევნებენ თვალს ეროვნული მსოფლმხედველობის და იდეალების თაობაზე მასმედიის ფურცლებზე მიმდინარე დისკუსიას და ბევრი მათგანი, თავადაც მონაწილეობს აღნიშნულ დისკუსიაში.

ერთი რამ მკაფიოდ უნდა ითქვას: ჩვენი მიზანი არ არის რაიმე ფორმით იდეოლოგიზებული და დოგმატური დოქტრინის შექმნა და მისი თავს მოხვევა საზოგადოებისათვის. იდეოლოგიზებული სახელმწიფოების დრო წარსულს ჩაბარდა. რა გინდ კეთილშობილი ზრახვებით უნდა იყოს ნაკარნახევი, ძალადობა საზოგადოებაზე ან მის ნაწილზე, აზროვნებისა და შემოქმედების, საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროში უკუეფექტს და ყოველთვის სასურველის საწინააღმდეგო შედეგს იძლევა.

გაგრძელება. იხ. მეორე გვერდი.

ჩვენ დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანას ვაშენებთ, სადაც ადამიანის უფლებები უზენაესი იმპერატივის რანგშია აყვანილი.

ქართული ეროვნული სახელმწიფო შენდება ადამიანისათვის, მოქალაქისათვის, მისი მისწრაფებების ხორცშესხმის ხელშეწყობისათვის და არა — პირიქით.

დემოკრატიულ საქართველოში ადამიანი არასდროს იქნება მიზნის მიღწევის საშუალება. სწორედ ამიტომ ვაცხადებთ მთელი პირდაპირობით და სერიოზულობით, რომ საქართველოში არ იქნებიან, არასდროს არ იქნებიან პოლიტპატიმრები, არ იქნება დევნა შეხედულებებისათვის, ადგილი არ ექნება რელიგიურ შეუწყნარებლობას.

ჩვენ ვერ გავუწევთ ვერანაირ შეღავათს ფუნდამენტალისტურ ცნობიერებას. პირიქით, ქართველური ჰუმანიზმი უნდა გახდეს დოგმატიზმსა და ყოველგვარ ფუნდამენტალიზმზე ამაღლებულობის მთავარი არგუმენტი.

სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც ვაშენებთ, უნდა გახდეს კეთილგანწყობისა და ძმური კონტაქტების გაღრმავების საწინდარი ჩვენი მეგობრებისა და მეზობლებისათვის, ხოლო მისი პრინციპები, კონსტიტუციაზე დაფუძნებული და კონსტიტუციიდან გამომდინარე, უნდა წარმოადგენდეს საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების, ეროვნული უმცირესობებისათვის საკუთარი პიროვნული და ეროვნული ღირსების, საკუთარი პიროვნული და ეროვნული იდეალებისა და მიზნების რეალიზაციის აბსოლუტური გარანტიის საფუძველს.

მე მჯერა, რომ ჩვენ შევუქმნით ყველას საუკეთესო პირობას თავიანთი პიროვნული და ეროვნული მისწრაფებების რეალიზაციისათვის. ის ეროვნული მსოფლმხედველობა, გნებავთ, ეროვნული მსოფლგაგება, ეროვნული ფილოსოფია, რომელიც უდავოდ უნდა ჩამოყალიბდეს (ძირითადი კონტურები მაქვს მხედველობაში) და რომლის შექმნაშიც ყველა ჩვენგანმა, ყველა მოქალაქემ, განსაკუთრებით, ახალგაზრდობამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, ჩვენი თავისუფლებისა და სუვერენიტეტის მძლავრი საყრდენი გახდება.

საქართველოს, ქართველი ერის, ქართული ცივილიზაციის ისტორია, ქართული ეზოთერული ცოდნა, ქართული მითოსი, ქართული მართლმადიდებელი ქრისტიანობის ისტორია, სახელმწიფოებრიობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის გამოცდილება, რუსთაველის ფილოსოფია, ილიას მოძღვრება, ხალხის, რიგითი მოქალაქეების გმირული ცხოვრება და მოწამეობა, ქართველი მოაზროვნეების მემკვიდრეობა, საქართველოს დიდთა მეფეთა, ქართველი პოლიტიკოსების თავდადებული მოღვაწეობა — ის ამოუწურავი და უკიდეგანო, უშრეტი საგანძურია, რომლის ჩამოქნაც ეროვნულ სახელმწიფოებრივ მსოფლმხედველობად სავსებით შეგვიძლია და წლების განმავლობაში მას უნდა მივაღწიოთ.

ამასთან დაკავშირებით — ერთი კონკრეტული წინადადება.

უნდა შევისწავლოთ სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაარსების შესაძლებლობაც, რომელიც სახელმწიფო დაკვეთით შეიმუშავებს და მეცნიერულად გადაწყვეტს სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების, საბაზრო ეკონომიკის ფორმირების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. აუცილებელია ამ მიმართულებით საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის გააქტიურებაც.

* * *

ზოგადი, სახელმწიფოებრივი კონცეფცია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული კონცეპტუალური ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს. ამდენად, აუცილებელია სრულვყოთ საპრეზიდენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციონირების მოქმედი პროგრამები და ეს პროცესი, პრაქტიკულად, უკვე მიმდინარეობს.

მე, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, პრეზიდენტს, ისევე როგორც ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს, მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, არ მაკმაყოფილებს აღმასრულებელი ხელისუფლების, მთავრობის საქმიანობის დონე. იქმნება და გამოიცემა ბევრი დოკუმენტი, გამოდის კანონები, ბრძანებულებები, კანონქვემდებარე აქტები, შედეგი კი ხშირად მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. უფრო ღრმად უნდა გავაანალიზოთ დადებითი და უარყოფითი ტენდენციები ხელისუფლების საქმიანობაში, რათა ნაკლები შეცდომა დავუშვათ და განვამტკიცოთ საზოგადოების თვალში ხელისუფლების ავტორიტეტი. ხელისუფლების ავტორიტეტი სახელმწიფოებრივი ფორმირების აუცილებელი კომპონენტია.

პარლამენტმა მიიღო კანონი „აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ“. ეს, უდავოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც დააჩქარებს აღმასრულებელი ხელისუფლების სრულყოფას, მისი ქმედუნარიანობის გაზრდას.

ამ მიმართულებით ნაყოფიერად იმუშავა იუსტიციის სამინისტრომ ხელისუფლების სხვა სტრუქტურებთან ერთად.

ჩვენ არ გვეშინია საკუთარი საქმიანობის კრიტიკული შეფასებისა. არ გვეშინია, რომ ხელისუფლების საქმიანობის თვითკრიტიკულ ანალიზს „ხელზე დაიხვევენ“ პოლიტიკური ოპონენტები (ეს ჩვეულებრივი მოვლენაა) და თავიანთ არგუმენტაციას გააძლიერებენ.

ხელისუფლება გულწრფელი უნდა იყოს ხალხთან, ამომრჩეველთან. ხალხი კი ბრძენია და არ შეცდება.

* * *

ხელისუფლების ნორმალური ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საპრეზიდენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობას პარლამენტთან კონსტიტუციის საფუძველზე.

აქვე აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ურთიერთობა პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის, ესე იგი, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პარლამენტს შორის, კარგად ვითარდება. მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, წინააღმდეგობისა, სადავო საკითხებისა, საკითხების ჩავარდნისა და ა.შ. ჩვენში იზრდება და ყალიბდება ის კულტურა, რომელსაც ჰქვია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების ურთიერთობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

რა თქმა უნდა, პარლამენტის უმთავრესი საზრუნავია კანონშემოქმედებითი პროცესის სრულყოფა, კონსტიტუციასთან კანონების შესაბამისობის უზრუნველყოფის პრაქტიკის გაუმჯობესება. საჭიროა სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს რეალურად არსებული იურიდიული ბაზის შემდგომი სრულყოფა. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ კანონები რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მიღებული და სრულყოფილი ფენომენია. ჩვენ უკვე გვიხდება მიღებულ კანონებში კორექტივების შეტანა და ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს.

მე უკვე ვთქვი, რომ საკმაოდ საინტერესო ურთიერთობა ჩამოყალიბდა პარლამენტსა და პრეზიდენტის ხელისუფლებას შორის. ამავე დროს, მიმაჩნია, რომ საერთო ეროვნული კონსენსუსის მიღწევა ქვეყნის მასშტაბით დღევანდელი საზოგადოებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

რაკი პოლიტიკური კონსენსუსის, კონსტრუქციული თანამშრომლობის კეთილისმყოფელ ატმოსფეროს შევეხე, ერთი უაღრესად მწვავე და დელიკატური პრობლემის შესახებაც მინდა ვილაპარაკო. მინდა გავიხსენო მანიფესტი, რომელიც რესპუბლიკის მოედანზე გამოვაქვეყნე, როცა ქვეყანას სამოქალაქო ომის შავი ღრუბელი ჩამოაწვა. მე მას შერიგების მანიფესტი დავარქვი (ეს დოკუმენტი იმდენად საინტერესოდ მიმაჩნია, რომ ახლაც რომ გამოაქვეყნოს იგი რომელიმე ჩვენმა გაზეთმა, ალბათ, ზედმეტი არ იქნება).

მაშინ ეს მანიფესტი საზოგადოებამ გარკვეული იმედით მიიღო. იყვნენ სკეპტიკოსებიც, რომელთაც მიაჩნდათ, რომ სამოქალაქო მშვიდობა და საყოველთაო შერიგება შეუძლებელია, კიდევ უფრო მეტ მსხვერპლს მოგვიტანსო. ნაწილობრივ ეს სიფრთხილე საფუძველს მოკლებული არ იყო. ყველას გახსოვთ, რამდენიმე ხნის შემდეგ დედაქალაქზე, კერძოდ, ტელევიზიაზე შეიარაღებული ანტისამთავრობო ძალების მიერ ორგანიზებული შეტევა.

ავანტიურა, რა თქმა უნდა, ჩაიშალა, ისევე, როგორც ჩაიშალა, მარცხით დამთავრდა სამოქალაქო ომის ინსპირატორთა სისხლიანი ლაშქრობები.

მიუხედავად ამისა, თვით მანიფესტის იდეებმა, მისმა დებულებებმა იმოქმედეს, განსაკუთრებით ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში. მე პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ათეულ ათასობით ადამიანმა, რომლებიც მერყეობდნენ და უჭირდათ გარკვევა, საით, რომელ მხარეს უნდა გადახრილიყვნენ და ბარიკადების რომელ მხარეს დამდგარიყვნენ, დაიკავა თავისი პოზიცია და ეს, შეიძლება ითქვას, ისტორიული შემობრუნება იყო.

მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ ეროვნული და საერთო სახელმწიფოებრივი ზავი ჯერ კიდევ გარანტირებული არ არის. საზოგადოების გათიშულობის და დაპირისპირების კვალი იმდენად ღრმა იყო და არის, რომ მისი დაძლევა დროს, მოთმინებას, სახელმწიფოს გაძლიერებას, ცხოვრების დემოკრატიული ნორმების დამკვიდრებას მოითხოვდა. ამ მხრივ ჩვენ საოცრად მოკლე დროში, ნამდვილად ისტორიული ნაბიჯები გადავდგით.

მიუხედავად ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა, ჩემი ღრმა რწმენით, მოვიდა დრო, როცა კვლავ უნდა დავაყენოთ დღის წესრიგში საბოლოო ეროვნული შერიგების, საზოგადოებაში აგრესიული ანტაგონიზმის დაძლევის პრობლემა.

ლაპარაკი არ შეიძლება იყოს პოლიტიკურ შეხედულებათა და ინტერესთა ნიველირებაზე.

პოლიტიკურ მოძრაობათა მრავალფეროვნება, პოლიტიკური პლურალიზმი დემოკრატიის არა მარტო ნიშანი, არამედ მისი განვითარების აუცილებელი პირობაა.

მხედველობაში მაქვს მტრული, შეურიგებელი ანტაგონიზმის დაძლევა და არსებული წინააღმდეგობათა პოლიტიკური პაექრობის, პოლიტიკური პლურალიზმის სფეროში გადატანა.

ხომ არ დადგა დრო, დავამთავროთ საზოგადოების გათიშვის პროცესი, როგორც ახლა ჩვენშია მიღებული, „ზვიადისტებად“, „შევარდნაძისტებად“ და ა.შ. ჩვენ ხომ ერთი ქვეყნის, ერთი ხალხის შვილები ვართ; ჩვენ ხომ მივიღეთ კონსტიტუცია, რომელიც არა მარტო უფლებებს გვაძლევს, არამედ ქვეყნის სამსახურსაც გვავალდებულებს.

ვერ დავიჯერებ, რომ ეგრეთ წოდებული „ზვიადისტების“ უმრავლესობას საქართველოს მტრობა ჰქონდეს ჩაფიქრებული. დავა და შეურიგებლობა იმ გზებზეა, რომლებითაც უნდა მივიდეთ ბედნიერ საქართველომდე.

მე ვსვამ კითხვას: ბევრი რამ, რაც გუშინ დაპირისპირებულობის თვალსაზრისით რეალობას წარმოადგენდა, ხომ არ იქცა ანაქრონიზმად?

ვაცხადებ, ხელისუფლება გადადგამს ნაბიჯს შერიგებისა და ეროვნული თანხმობისაკენ, ნდობისა და ურთიერთგაგებისაკენ. მოდით, ვითანამშრომლოთ, მათ შორის, ვითანამშრომლოთ ხელისუფლების სტრუქტურებშიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ ყველანი დავიცავთ კონსტიტუციას, გავუფრთხილდებით დემოკრატიულ მონაპოვარს, ერთად ვიშრომებთ და ვიბრძოლებთ საქართველოს საკეთილდღეოდ. მე ყველას ხელს ვუწვდი, ვინც ამ პრინციპს გაიზიარებს. პრაქტიკულ ნაბიჯებსაც პირველი გადავდგამ.

* * *

1997 წლის საპრეზიდენტო პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა საპრეზიდენტო, აღმასრულებელი ხელისუფლების სასამართლო ხელისუფლებასთან, საკონსტიტუციო სასამართლოსთან ურთიერთობათა სრულყოფა, შეიძლება ითქვას, ამ ურთიერთობათა სისტემის შექმნა.

სასამართლო ხელისუფლების დაფუძნებამ, კონსტიტუციური პრინციპის განხორციელებამ ახალი ამოცანები დააყენა ხელისუფლების სამივე შტოს წინაშე.

თავს ნებას მივცემ დღევანდელ გამოსვლაში ცოტა უფრო დეტალურად შევჩერდე სასამართლო რეფორმის ძირეულ საკითხებზე, რადგანაც ფართო გაგებით სასამართლო რეფორმა ხანგრძლივი პროცესია და მას კიდევ გარკვეული დრო და ბევრი ფუნდამენტური საკითხის განხილვა დასჭირდება.

ამ რეფორმამ არსებითი გავლენა უნდა მოახდინოს არა მხოლოდ საკუთრივ სასამართლოების ფუნქციონირებაზე, არამედ სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ტემპზე. თქვენ იცით, რომ სასამართლო რეფორმის ძირითადი პრინციპები ჯერ კიდევ საპრეზიდენტო პროგრამაში იქნა გაცხადებული და ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაო უკვე შესრულებულია.

ეს არის, პირველ ყოვლისა, პარლამენტისა და პრეზიდენტის მიერ გამოცემული ის ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან სასამართლო ხელისუფლების დემოკრატიზაციის საკითხებს. ამასთან, განსაკუთრებით საგულისხმოა ის წვლილი, რომელიც ამ საქმეში შეაქვს 1993 წელს ჩემი ბრძანებულებით შექმნილ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიას, რომელიც მიმდინარე წლის ბოლომდე დაასრულებს სამუშაოს. ამ კომისიამ, სპეციალისტებმა, მეცნიერებმა ძალიან დიდი სამუშაო გასწიეს, რისთვისაც მე მათ მადლობას ვუხდი.

ამ დღეებში პარლამენტს განსახილველად წარვუდგინე კანონპროექტი საერთო სასამართლოების შესახებ, რომელშიც ახლებურად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არის გააზრებული სასამართლო მოწყობისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ფუძემდებელი იდეები.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, აქაც გათვალისწინებულია ხელისუფლებათა გამიჯვნის, ხელისუფლების განშტოებათა ურთიერთკონტროლისა და ურთიერთგაწონასწორების სამართლებრივი მექანიზმები. კანონპროექტი ითვალისწინებს სასამართლო სისტემის მნიშვნელოვან რეორგანიზაციას და სასამართლო ხელისუფლების ქმედუნარიანობის იურიდიულ გარანტიებს.

უზენაეს და რაიონის სასამართლოებთან ერთად, კანონპროექტი ითვალისწინებს ჩვენთვის სრულიად ახალი ინსტიტუტის — **სააპელაციო სასამართლოს** შექმნას, რომელიც მეორე ინსტანციის სასამართლო იქნება. საქართველოში შეიქმნება ორი სააპელაციო სასამართლო.

საერთო სასამართლოების ახალი კანონი უფრო განავრცობს და განამტკიცებს სასამართლო საქმიანობის ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა უფლების სასამართლო წესით დაცვა, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი მორჩილება, სასამართლოს წინაშე თანასწორობა და სხვ. ეს დეკლარაციული ხასიათის დებულებები არ არის, პირიქით, კანონპროექტი ითვალისწინებს მათი რეალიზაციისა და უზრუნველყოფის საიმედო გარანტიების ერთობლიობას.

ახლებურად იქნება მოწყობილი საქართველოს უზენაესი სასამართლო, სრულიად ახალი ფუნქციური დანიშნულება დაეკისრებათ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს. უზენაეს სასამართლოში საქმეები განიხილება საზედამხედველო წესით, კასაციით, კანონით გათვალ-ისწინებულ შემთხვევებში — აგრეთვე პირველი ინსტანციით. რა თქმა უნდა, ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიიღებთ ამ კანონპროექტს.

მნიშვნელოვანი სიახლეებია საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხების რეგულირების მხრივაც. დისკუსიების დროს ნათელი გახდა, რომ ეს სულაც არ არის მეორეხარისხოვანი საკითხი. კანონპროექტით გათვალისწინებულია **უზენაესი სასამართლოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის შექმნა**, რომლის თავმჯდომარეც დაინიშნება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს — საქართველოს იუსტიციის საბჭოს თანხმობით. ის ფაქტი, რომ სასამართლო დეპარტამენტი იუსტიციის სამინისტროდან უზენაეს სასამართლოში გადადის, სრულიადაც არ ლახავს იუსტიციის სამინისტროს ფუნქციებსა და დანიშნულებას. მას დარჩება კანონშემოქმედებითი საქმიანობის უფართოესი არეალი, კადრების მომზადების ფუნქციები. გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტროს მომავალში დაემატება სასჯელთა აღმასრულებელი სისტემის მართვის ფუნქციებიც.

კანონპროექტით გათვალისწინებულია — და ეს მართლაც სიახლეა — პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს — **საქართველოს იუსტიციის საბჭოს** შექმნა, რომელიც თანაზომიერად დაკომპლექტდება აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან. იუსტიციის საბჭოში შევა თორმეტი იურისტი და მათი უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება სამი წლით. იუსტიციის საბჭოს ძირითადი ამოცანა იქნება მოსამართლეთა თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატურების საკონკურსო წესით შერჩევა, სასამართლოს ორგანიზაციული საქმიანობის კოორდინაცია და კანონით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტა. მე თავს უფლებას ვაძლევ ასე დეტალურად შევჩერდე ამ საკითხზე, რადგან მიმაჩნია, რომ ის ჩვენი საზოგადოებისათვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მწვავე საკითხია.

იუსტიციის საბჭოში შეიქმნება ადმინისტრაციული კოლეგია, რომელსაც ექნება კანონით გათვალისწინებული წესით დისციპლინური დევნის აღძვრის უფლებამოსილება. აუცილებლობის შემთხვევაში კი, იუსტიციის საბჭო შეიმუშავებს წინადადებებს მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

მინდა გულწრფელად მოგახსენოთ, რომ ყოველგვარი რეფორმა და, ბუნებრივია, პირველ ყოვლისა, სასამართლო რეფორმა, შესაძლოა უშედეგო და უშინაარსო აღმოჩნდეს, თუ იმთავითვე არ იქნა სათანადოდ გააზრებული საკუთრივ მოსამართლეების, სასამართლო აპარატის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების, დამოუკიდებლობისა და მატერიალური უზრუნველყოფის, სასამართლო სისტემაში კორუფციის ამოფხვრის და ამ მოთხოვნათა რეალიზაციის შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმები.

სწორედ ამიტომ, გადაუდებელ აუცილებლობად მიგვაჩნია კადრების შერჩევის შესაბამისი სისტემის შექმნაც. მოსამართლე დაინიშნება ათი წლის ვადით, მას უნდა ჰქონდეს პარლამენტის წევრთან მიახლოებული ხელფასი, გარანტირებული იქნება მისი დამოუკიდებლობა, მაგრამ ამ მაღალი სტატუსით და დიდი უფლებამოსილებით მუშაობისათვის კანდიდატმა უნდა გაიაროს იუსტიციის საბჭოს საგამოცდო კომისია და სპეციალური სასწავლო კურსი იუსტიციის საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით. გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს მოსამართლეთა დისციპლინური კოლეგიების ზედა და ქვედა პალატების არსებობას, რომლებიც განიხილავენ მოსამართლეთა მიმართ აღძრულ დისციპლინურ საქმეებს.

სასამართლოს და მოსამართლის დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის კანონპროექტში გათვალისწინებულია მოსამართლეთა თვითმმართველობის მოდელი მოსამართლეთა კონფერენციის სახით, რომელსაც ზუსტად განსაზღვრული, საკმაოდ მნიშვნელოვანი კომპეტენცია ექნება.

დარწმუნებული ვარ, სასამართლო რეფორმა წარმატებით განხორციელდება და სასამართლო დაიმკვიდრებს საპატიო ადგილს დემოკრატიული სახელმწიფოს სახელისუფლო სტრუქტურებში. მოსამართლეებმა უნდა მოიპოვონ პირუთვნელი არბიტრების ავტორიტეტი და ყოველმხრივ იზრუნონ საზოგადოების ნდობისა და მხარდაჭერის მოსაპოვებლად. მიმაჩნია, რომ კანონპროექტის პარლამენტში განხილვის შემდეგ ჩვენ შევქმნით რეალურ საფუძველს ამ მიზნების მისაღწევად.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ მთელი ეს ძალიან დიდი, ფაქიზი და პასუხსაგები მუშაობა მიმდინარეობს არა მარტო აღმასრულებელ ხელისუფლებაში, არამედ პარლამენტის შესაბამის კომიტეტებშიც, სპეციალისტებთან ერთად. განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი იმ კომიტეტის ძალზე სასარგებლო და კონსტრუქციულ თანამშრომლობას ყველასთან და, მათ შორის, პრეზიდენტთან, რომელსაც ბატონი მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობს.

* * *

სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნება საპრეზიდენტო პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი, სასიცოცხლო ამოცანაა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ნათელი და მკაფიო პრიორიტეტის დასახვა. ერთმნიშვნელოვნად უნდა განისაზღვროს, რას ვესწრაფვით და რა არის ჩვენი მიზანი ამ სფეროში.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ამ კითხვას ამომწურავ პასუხს ვერ გავცემთ.

ჩვენი კონსტიტუციის კონცეპტუალური მონახაზები საშუალებას გვაძლევს სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობის მრავალვარიანტული, მრავალწახნაგოვანი სისტემები დავამუშაოთ. ასეთი საქმიანობა მიმდინარეობს. ბევრი რამ მოწმდება პრაქტიკით, ექსპერიმენტებით. ჩვენ უარს არ ვამბობთ ტერიტორიული მოწყობის იმ ფორმებზეც, რომლებმაც პრინციპში გაამართლეს. სწორედ მოდერნიზებული ძველი სისტემის ბაზაზე (რაიონები, ქალაქები, თემები, დაბები და ა.შ.) გაიმართება ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები. დიდი გულისყურით ვადევნებთ თვალყურს პრეზიდენტის რწმუნებულთა

(გაგრძელება მეოთხე გვერდზე)

საქართველოს რესპუბლიკა
№124. შაბათი, 31 მაისი, 1997 წელი.

„ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანას, სადაც ადამიანის უფლებები უზენაესი იმპერატივის რანგშია აყვანილი“

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოხსენება საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 27 მაისის სხდომაზე

საქმიანობას განვლილ ეტაპზე. მოვიდა დრო, განვაზოგადოთ ის, რაც უკვე გვაქვს.

შემდგომ სრულყოფას მოითხოვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და მისი ადგილი ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს, საქართველოს სისტემაში.

მზადდება მრავალვარიანტული პროექტები აფხაზეთის სტატუსთან, ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით. ამ საკითხებს დღეს პარლამენტის მსჯელობის საგნად, ალბათ, ვერ გავხდით, რადგანაც მიმდინარეობს მოლაპარაკების ურთულესი პროცესი, რომელშიც უფრო გაბედულად უნდა ჩაერთონ პარლამენტის სტრუქტურებიც.

მრავალვარიანტული პროექტები გულისხმობენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის, ისეთს, როგორიცაა „ასიმეტრიული ფედერაცია“, ან „ფედერაციული უნიტარიზმი“ და ზოგიერთი სხვა.

ფაქტი ერთია. როგორი მოდელიც უნდა ვაღიაროთ ჩვენი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საფუძვლად, ეს იქნება ერთიანი, განუყოფელი დემოკრატიული სახელმწიფო.

რა შეიძლება ითქვას აფხაზეთთან დაკავშირებით. მზად ვართ დაუყოვნებლივ განვაახლოთ ყველა დონის და ყოველგვარი შემადგენლობის დელეგაციათა მოლაპარაკება, მათ შორის, ორმხრივი ქართულ-აფხაზური დიალოგი. არაერთხელ განმიცხადებია და ახლაც ვადასტურებ: 1. ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში აფხაზეთს ექნება უფართოესი ავტონომია, როგორსაც კი თანამედროვე მსოფლიო სტანდარტები ითვალისწინებენ. 2. ლტოლვილთა დაბრუნება მოხდება ეტაპობრივად, მაგრამ შემჭიდროებულ ვადებში, ამ უდიდესი აქციისათვის მატერიალური, ფინანსური ბაზის მომზადების კვალობაზე, ერთობლივი ღონისძიებებით, რეგიონში წესრიგის აღდგენის პარალელურად. ასევე ერთობლივი ზრუნვით, ძალების სათანადო მობილიზაციით გამოვრიცხავთ ტერორიზმის, დივერსიების, ანგარიშსწორების ფაქტებს. ასეთი საქმიანობის გამოცდილება საქართველომ დააგროვა სხვადასხვა რეგიონებში შექმნილი ვითარების განჯანსაღების დარგში. 3.მივაღწევთ მნიშვნელოვანი სახსრების გამოყოფას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნებისაგან აფხაზეთის ეკონომიკის, სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის. ამის წანამძღვრები არსებობს. 4. დავამთავრებთ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის აღდგენა-განვითარებას, რის საფუძველზეც აფხაზეთი, ისევე, როგორც საქართველოს მრავალი სხვა რეგიონი, სტაბილურად მომარაგდება ელექტროენერგიით. 5. ლტოლვილების მასობრივი დაბრუნების კვალობაზე დაჩქარებული ტემპებით წარიმართება რუსეთისა და ამიერკავკასიის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის და ავტომაგისტრალის აღდგენა, რაც მგზავრთა და ტვირთების დიდ მასებს გაატარებს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და – პირიქით. აღსანიშნავია ამ მაგისტრალების აღდგენით რუსეთის, განსაკუთრებით მისი სამხრეთ რაიონების დაინტერესება. ეს აქცია დიდ შემოსავალს მოუტანს აფხაზეთს, ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებს, სომხეთს, აზერბაიჯანს, თურქეთს, მრავალ სხვა ქვეყანას. 6. შეიძლება განვიხილოთ საკითხი საყოველთაო ამნისტიის გამოცხადების შესახებ იმ ადამიანთა მიმართ, რომლებმაც ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობა მიიღეს საომარ ოპერაციებში, აქედან გამომდინარე, მთელი შედეგებით.

ვარიანტი, რომელიც ბატონმა ვლადისლავ არძინბამ ბოლო დროს შემოგვთავაზა თავის საჯარო გამოსვლაში, მიუღებელია. ის რუსეთ-ჩეჩნეთის ხელშეკრულების მოდელს გვთავაზობს. მინდა განვმარტო: რადიკალურად განსხვავებულია ჩეჩნეთისა და აფხაზეთის პრობლემები ამ ეტაპზე. ჩეჩნეთი რუსეთიდან გასვლისთვის იბრძვის, აფხაზი ლიდერები რუსეთის შემადგენლობაში შესვლისთვის, რაც თანამედროვე მსოფლიო წესრიგის პირობებში წარმოუდგენელია, ფანტასტიკის სფეროდანაა.

7. სამშვიდობო ძალების შესახებ: სამწუხაროდ, საზოგადოებრივი აზრი, განსაკუთრებით ლტოლვილთა მასების დამოკიდებულება, უკიდურესად უარყოფითია. თუ დარჩენილ დროში (და დარჩა სულ რაღაც ორიოდე თვე) არ შესრულდა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილება, საკონტროლო ზონის გაფართოებისა და ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ, ამ ზონაში სამშვიდობო ძალების შენარჩუნება შეუძლებელი იქნება. მე არ ვფიქრობ, რომ მათ გასვლას საომარი ოპერაციების ფატალური დაწყება უნდა მოჰყვეს, უფრო სწორად, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე არ იქნება. აფხაზებს ომი არ უნდათ, ეს მათთვის თვითმკვლელობაა. ომი არც ჩვენ გვინდა. გვეყო ამდენი მსხვერპლი და ნგრევა. გამოსავალი ერთია: დაიწყოს აქტიური შერიგების პროცესი ქართველებისა და აფხაზებისა.

8. მე შესაძლებლად მიმაჩნია სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა სამშვიდობო ძალების გასვლისთანავე, ან მათ გასვლამდეც გაეროს ეგიდით, ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენელთა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების შემადგენლობით (რუსეთი, აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია). არ გამოვრიცხავ ასეთ კონფერენციაში თანამეგობრობის იმ ქვეყნების მონაწილეობას, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ.

მეთვალყურეთა სტატუსით კონფერენციაზე შეიძლება მოვიწვიოთ ჩრდილოკავკასიის ხალხთა იმ ლიდერების წარმომადგენლები, რომლებმაც 1992 წლის სექტემბერში რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებთან, ვლადისლავ არძინბასთან ერთად, ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას.

9. რუსეთის სამშვიდობო მისია, ასეთი შეკრების ორგანიზაციის პირობებში არათუ არ შემცირდება, არამედ – პირიქით. რუსეთს შეუძლია იკისროს ასეთი შეხვედრის მთავარი ორგანიზატორის და, თუ გნებავთ, კონფერენციის მონაწილეთა მასპინძლის როლიც.

გაგრძელება. იხ. მესამე გვერდი.

ასეთია ზოგიერთი პრინციპული პოზიცია აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. ორი ხალხის შერიგებას ალტერნატივა არ გააჩნია.

გუშინ, დავით აღმაშენებლის ძეგლის გახსნაზე დიდი გულისყურით ვუსმენდი ბატონ ლორიკ მარშანიას გამოსვლას. უნდა გითხრათ, რომ ეს იყო ბრძნული გამოსვლა. ამავე დროს, ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს არც ერთი თაობა არავითარ პირობებში არ შეეგუება ქვეყნის გახლეჩას და ყოველგვარი მოქმედება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით საერთაშორისო ნორმების ფარგლებში მოთავსდება.

რაც შეეხება საკითხს ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ. ამ ტრაგედიის გენეზისი განსხვავებულია აფხაზეთის კონფლიქტისაგან. იმის შესახებ, თუ რამდენად არის საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება პასუხისმგებელი მომხდართან დაკავშირებით, მე უკვე განვაცხადე და ამ საკითხს ახლა აღარ დავუბრუნდები.

სიმართლე განკურნების აუცილებელი პირობაა. რა თქმა უნდა, სისასტიკეს, დაუნდობლობას ადგილი ჰქონდა ორივე მხრიდან. სხვათა შორის, დაზარალდა ოსი მოსახლეობა თბილისში, ბორჯომის ხეობაში, ქართლის ზოგიერთ რაიონში. მინდა სწორად გამიგოთ: ეს სამარცხვინო ლაქაა ჩვენს სინდისზე. რაკი სიტყვამ მოიტანა, ისიც მინდა შევახსენოთ, რომ ვლადიკავკაზში, სადაც ოს ლტოლვილთა ძირითადი მასებია, საკმაოდ გაბოროტებული და გამწარებული ადამიანები, რამდენიმე ათასი ქართველი ცხოვრობს, ფუნქციონირებს ქართული სკოლა. არც ერთ ქართველს იქ თმის ერთი ღერიც კი არ ჩამოვარდნია. ესეც ფაქტია. ესეც სიმართლეა.

ახლა როგორ უნდა მოვიქცეთ? ამ კონფლიქტში საქმე უფრო წინ წაწეულია. რუსეთის დიპლომატიამ, სამშვიდობო ძალებმაც, აფხაზეთისაგან განსხვავებით, ბევრი გააკეთეს სასიკეთო პროცესის დასაწყებად. პრეზიდენტ ელცინის ხელმოწერა ორ უმთავრეს დოკუმენტზეა. შედეგიანად გვეხმარება ეუთო. მისი ოფისის გახსნა ცხინვალში კარგის მომასწავებელია.

მნიშვნელოვანი იყო ბატონ ზურაბ ჟვანიას შეხვედრები „ნიხასის“ წარმომადგენლებთან. ბევრი სასარგებლო აზრი გამოითქვა ლუდვიგ ჩიბიროვისა და ჩემს შეხვედრაზე ვლადიკავკაზში. ბევრი კარგი სიტყვის თქმა შეიძლება ახსარბეკ გალაზოვზე. თქვენთვის ეს ახალი არ არის. მე მითქვამს ამის შესახებ. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ თვით მოსახლეობაში დაიწყო შერიგების პროცესი. დაიწყო ოსთა და ქართველთა სულიერი ნათესაობის საუკეთესო ტრადიციების აღდგენა. პროცესი თვით მოსახლეობამ დაიწყო სათანადო ადმინისტრაციების ხელშეწყობით. ბევრი ჩვენი სამინისტრო კიდევ უფრო აქტიურად იმუშავებს ცხინვალში. ბევრს აკეთებს შიდა ქართლის ადმინისტრაცია, მაგრამ ყველაფერი ეს საკმარისი აღარ არის. ვფიქრობ, მომწიფდა პირობები უფრო აქტიური დიალოგისა და მოქმედებისათვის.

მოვიდა დრო, ვიფიქროთ ჩემი და ლუდვიგ ჩიბიროვის, სხვა ხელმძღვანელების შეხვედრაზე. ჩემთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს ცხინვალში ჩასვლა და ყველა მტკივნეული საკითხის ერთობლივი განხილვა. საკითხები კი უამრავია. ეს არის გზები, სკოლები, საავადმყოფოები, ენერგეტიკა და სხვა მრავალი.

არ ვლაპარაკობ სტატუსის საკითხზე. ეს თავისთავად იგულისხმება. დროა, სერიოზულად ვიფიქროთ მხარის რეაბილიტაციაზე. საერთაშორისო ორგანიზაციები მხარდაჭერას გვპირდებიან. რა თქმა უნდა, ჩვენ მივესალმებით ჩიბიროვის თბილისში ჩამოსვლას. ასეთი რეგულარული კონტაქტები გაგვიადვილებს საუბარს და, საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილების მიღებას ამ რეგიონის სტატუსის შესახებ.

* * *

ახალი საქართველოს, ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას. უფრო მეტიც, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოუყალიბებლად შეუძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება.

პრეზიდენტის საინაუგურაციო პოლიტიკურ პროგრამაში, მოხსენებებში კონსტიტუციის შესახებ, თავად კონსტიტუციაში, კანონებში მოცემულია სამოქალაქო საზოგადოების დეფინიცია, კონცეფცია, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის რეალური კონსტიტუციური პროგრამა.

ეს პროგრამა სრული ძალით უნდა ამოქმედდეს. თუ ჩვენ გვინდა სამოქალაქო საზოგადოების შექმნა, საჭიროა ამ დარგში მსოფლიო გამოცდილების ათვისება.

სამოქალაქო საზოგადოება ფართო გაგებით – ეს არის საქართველოს სუვერენული ხალხი, ქართველი ერი, ელექტორატი, ეროვნული უმცირესობები. საჭიროა მათი პრობლემების უკეთ გადაწყვეტა, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პოლიტიკურ პარტიებთან, პროფკავშირებთან, ოპოზიციასთან ხელისუფლების ურთიერთობის აქტუალური პრობლემების მოგვარება.

სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურაში შედის ჩვენი ეროვნული მეცნიერება: მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და დარგობრივი აკადემიები, მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, არქიტექტორთა, თეატრის მოღვაწეთა და სხვა შემოქმედებითი ორგანიზაციები, პრესა, ტელევიზია, გამომცემლობები, ფონდები, ქალთა მოძრაობა, ახალგაზრდული ორგანიზაციები, სხვა გაერთიანებები.

ამავე დროს, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ფორმალურად თითქმის ყველა ეს ორგანიზაცია ტოტალიტარულ საზოგადოებაშიც არსებობდა. ამდენად, მთავარია არა თვით მათი არსებობის ფაქტი, არამედ შინაარსობრივი დატვირთვა – ის, თუ რამდენად შეესატყვისება მათი მოქმედება საკაცობრიო იდეალებს, ადამიანის უფლებებს, დემოკრატიის მარადიულ ღირებულებებს.

მართალია, საქართველოში არ გაგვაჩნია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და ფუნქციონირების გამოცდილება, მაგრამ ქართულ კულტურას, ქართულ ცივილიზაციას ტრადიციულად მოსდევს ყველა ის ჰუმანისტური კომპონენტი, რომლებისგანაც შედგა სამოქალაქო საზოგადოება.

დიდ გარდაქმნას ამ სფეროში ვერავითარი ადმინისტრაციული ზეგავლენით ვერ მოვახდენთ. ამას სჭირდება საზოგადოების საერთო შემოქმედება და თვით ამ ორგანიზაციებში შემოქმედებითი სულის აღორძინება ახალ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სამოქალაქო საზოგადოებაში მეტად აქტუალურია სახელმწიფოს, საზოგადოებისა და რელიგიის ურთიერთმიმართების, თანამშრომლობის საკითხები. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი როლის კონსტიტუციურმა დადასტურებამ, საქართველოსთვის ტრადიციული რელიგიური კონფესიების მიმდევართა უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებამ მტკიცე საფუძველი შეუქმნა ნორმალურ თანამოქმედებას საზოგადოებრივი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი სულიერი მიმართულებით.

დარწმუნებული ვარ, პარლამენტარები გაიზიარებენ ჩემს შეშფოთებას ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გათიშვის ცდებთან დაკავშირებით. უცხო ძალამ დათესა შური და მტრობა ქართველ ხალხში. ახლა ეს ძალა ცდილობს მართლმადიდებელ ეკლესიას, მის სულიერ წინამძღოლს გამოაცალოს დასაყრდენი. მათ შესანიშნავად ესმით, რომ ეკლესიის გათიშვა ხალხის, სახელმწიფოს გათიშვაა. ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს, ქართული სახელმწიფო ვალდებულია ყოველგვარი საფრთხე, რომელიც მის ერთიანობას ემუქრება, თავიდან აიცილოს. იმედი მაქვს, რომ პარლამენტარები ამაში დამეთანხმებიან.

* * *

პრეზიდენტის ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველია საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა საქართველოში. მაგრამ თანამედროვე პოსტინდუსტრიული, პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილება ერთმნიშვნელოვნად გვასწავლის, რომ „ველური კაპიტალიზმის“ ეპოქა უკვე განვლილი ეტაპია. ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკა არ არსებობს სოციალური რეგულირების, სოციალურ ფენათა ინტერესების გათვალისწინების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკონომიკური პროგრესის ინტერესები შეიძლება დაუპირისპირდნენ სამოქალაქო საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების ინტერესებს. ასეთი მაგალითები თანამედროვე მსოფლიოში, იმ ქვეყნებში, სადაც დიდი სოციალური ძვრები მოხდა ამ ბოლო წლებში, ჩვენ უკვე საკმაოდ გვაქვს და საკმაო გაკვეთილებიც არსებობს. ამგვარი წინააღმდეგობის წარმოშობა კი ძალზე საშიშია დემოკრატიული ქვეყნისათვის.

სოციალური პოლიტიკა ჰარმონიზებული უნდა იყოს ეკონომიკურ პროგრესთან. საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა, რადიკალური ეკონომიკური რეფორმა არც ერთი წუთით არ უნდა შეჩერდეს. ამ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ექნება, რა თქმა უნდა სამთავრობო სტრუქტურათა მუშაობის რაციონალიზაციას. ამ თვალსაზრისით უკვე მიიღეს პრეზიდენტის განსაკუთრებული დავალებები მთავრობამ, ეკონომიკურმა საბჭომ, ყველა სამინისტრომ, უწყებამ და რეგიონულმა ადმინისტრაციებმა.

მე უკვე ვთქვი, რომ მზადდება პრეზიდენტის ბრძანებულების ახალი პროექტი, რომელშიც, რეფორმის პროცესის პარალელურად, სათანადოდ იქნება ასახული ჩვენი ამოცანები სოციალურ სფეროში, მოქალაქეთა ცხოვრების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ყველა სამინისტრომ, დეპარტამენტმა და სამთავრობო სტრუქტურამ უნდა შეადგინოს მოქმედების პროგრამა ამ დარგში.

თითოეულმა სამინისტრომ წელს საბაზრო ეკონომიკის მშენებლობაში უნდა შეიტანოს თავისი განსაკუთრებული წვლილი. ახალი ტიპის, ახალი სტრუქტურისა და ფუნქციური დატვირთვის სამინისტროებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიქმნას ახალი სტრუქტურებიც, ისევე როგორც უნდა გაუქმდეს დრომოჭმული, ის, რაც უკვე საჭირო აღარ არის და ზედმეტი ტვირთია.

მადლობელი ვარ მხარდაჭერისათვის, უდავოდ გამართლებულია, რომ მრეწველობის სამინისტრო შეიქმნა სრულიად ახალი ფუნქციით.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ პრეზიდენტის საგანგებო საფინანსო პროგრამას, სოციალური და ეკონომიკური განვითარების ინდიკატურ გეგმას, რომელშიც ასახულია ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები.

* * *

მიმდინარე წელი იქნება სოციალური პოლიტიკის სფეროში გარდატეხის წელი.

საქართველოში ეკონომიკურ რეფორმასთან ერთად მიმდინარეობს სოციალური დაცვის სისტემის რეფორმირებაც.

მიღებულია:

1. მოსახლეობის სოციალური განვითარების 1997-2000 წლების სახელმწიფო პროგრამა;

2. შემოღებულია ოჯახური მიზნობრივი დახმარებები;

3. ხორციელდება ინვალიდთა სოციალური რეაბილიტაციის 1997-2000 წლების სახელმწიფო პროგრამა;

4. ხორციელდება დასაქმების აქტიური პოლიტიკის წარმართვის ღონისძიებები, რამაც სათანადო ასახვა ჰპოვა 1997 წლის ბიუჯეტში. მიმაჩნია, რომ ამ საკითხში საერთო ძალისხმევა უნდა გავაძლიეროთ და დასაქმების პრობლემა კონკრეტული ამოცანების დონეზე გადავწყვიტოთ.

მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „სოციალური (ოჯახური) დახმარების შესახებ”.

აღნიშნული დახმარების შემოღება იმ პირთათვის და ოჯახებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე პირობებში არიან, უზრუნველყოფს მათთვის ელემენტარული სასიცოცხლო პირობების შექმნას. ბრძანებულებით განსაზღვრულია ასეთი ოჯახების სამი ტიპი:

–არამომუშავე მარტოხელა პენსიონერების ოჯახები;

–შრომისუუნარო წევრებისაგან შემდგარი ოჯახები;

–ქალაქად მცხოვრები მხოლოდ უმუშევარი წევრებისაგან შემდგარი ოჯახები.

სოციალური დახმარება და მის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები დაფინანსდება ამ დანიშნულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში. თავისი შინაარსით ეს დიდი მოვლენაა. რაც მთავარია, დახმარება ეწევათ ყველაზე ხელმოკლე ოჯახებს და მათ შორის ბავშვებს.

ეს არის პოსტკომუნისტურ სივრცეში ერთ-ერთი პირველი დიდი და გაბედული ნაბიჯი სახელმწიფოებრივ-სოციალური პოლიტიკის დამკვიდრების გზაზე. მისი განხორციელება რამდენადმე გააუმჯობესებს მოსახლეობის ყველაზე უმწეო ნაწილის, დაახლოებით 120 ათასი ოჯახის, 400 ათასამდე კაცის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

დღეს ქვეყანაში 241 ათასი ინვალიდია, მათ შორის, 86 ათასი 45 წლამდე ასაკისა, ხოლო 26 ათასი 16 წლამდე ასაკის ინვალიდი ბავშვი და ბავშვობიდან ინვალიდია. 300 ათასი ლტოლვილია, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სიღარიბის ზღვარზე დაბლა ცხოვრობს.

სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს, ისევე, როგორც ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სამინისტროთა საქმიანობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სისტემის სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესი, რეგიონული ორგანიზაციების მუშაობის გააქტიურება.

არ არსებობს უფრო მთავარი და საარსებო მნიშვნელობის ამოცანა, ვიდრე ეს პრობლემაა სამინისტროების, რწმუნებულების, გამგებლების, და, ალბათ, დამეთანხმებით, პარლამენტარებისთვისაც. სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს ახალი დებულების შესაბამისად მთლიანად დაიხვეწა სამინისტროს სტრუქტურა. შეიქმნა დასაქმების დეპარტამენტი, ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტი და შრომის სახელმწიფო ინსპექცია. რეგიონებში საქმიანობის კოორდინაციის მიზნით მთელ რიგ სამხარეო ადმინისტრაციებში დაინიშნენ მინისტრის რწმუნებულები. ასევე, რამდენიმე რეგიონში შეიქმნა სოციალური დეპარტამენტები, ქალაქებსა და რაიონებში ჩამოყალიბდა მოქალაქეთა სოციალური დახმარების მოქნილი სტრუქტურა. ქვეყანაში სოციალური დახმარების 52 განყოფილებაა, მათ შორის 35 – იურიდიული პირის სტატუსით.

1996 წელი სოციალური დაცვის სფეროსათვის იყო საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზის მომზადებისა და ორგანიზაციული სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელების წელი. 1997 წელი კი სოციალურ სფეროში სერიოზული გარდატეხისა და რეალური, ხელშესახები შედეგების წელი იქნება.

უკვე გითხარით, რომ პარამეტრებში, რომლებიც წარმოდგენილია 1998 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით, ეს პრობლემა განსაკუთრებით იქნება ასახული. ჩვენი შემოსავლების თითქმის 45 პროცენტი ამ სფეროს უნდა მოხმარდეს.

პრეზიდენტის პოლიტიკურ პროგრამაში ნათქვამია, რომ 2000 წლისათვის შეიქმნება ერთი მილიონი სამუშაო ადგილი და ძირითადად გადაიჭრება დასაქმების პრობლემა. ეს არის სავსებით რეალური ამოცანა. ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს მეტი სისტემური მიდგომა და კონკრეტულობა სჭირდება. დროა, პრეზიდენტის დონეზე შეჯამდეს გაწეული მუშაობა და განისაზღვროს ახალი ამოცანები.

ამასთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი საინტერესო იდეა აქვს ბატონ ზურაბ ჟვანიას და ჩვენ, ალბათ, მოვილაპარაკებთ, როგორ ვიმოქმედოთ ერთობლივად ამ უმწვავესი პრობლემის მოსაგვარებლად. დიდი იმედი მაქვს, რომ შემოგვიერთდებიან მაჟორიტარი დეპუტატები. ყველა რაიონში არსებობს შესაძლებლობები იმისათვის, რომ ეს პროგრამა განხორციელდეს.

სოციალური პოლიტიკა უახლოვდება სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს. ამის საბაზისო ფაქტორია ბიუჯეტი. პრეზიდენტის საგანგებო საფინანსო პროგრამა, წარმოების გამოცოცხლება და მთელი რიგი სხვა მომენტები.

სწრაფად ხორციელდება სიღრმისეული რეფორმები ჯანდაცვისა და განათლების დარგში, გაიზრდება ხელფასები, პენსიები, სტიპენდიები, სხვა შემოსავლები.

უკეთ გადაიჭრება ლტოლვილთა და დევნილთა პრობლემები.

პრეზიდენტმა და მთავრობამ მიმდინარე წელს ამ დარგებში განსაკუთრებული ამოცანები დავუსახეთ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროს, განათლების სამინისტროს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და სხვა უწყებებს.

აქვე უნდა აღინიშნოს: რა სრულყოფილი პროექტებიც უნდა შევიმუშაოთ, როგორი კარგი კანონები და დადგენილებებიც უნდა მივიღოთ, თუ მოქალაქისათვის სიღატაკის გამო ხელმიუწვდომელია ჯანდაცვა, განათლება, თუ იგი უბინაოა, მშიერი და ჩაუცმელია, თუ ვერ ახერხებს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას, მაშინ სახელმწიფო პოლიტიკას ფასი არ აქვს.

როგორც მოგეხსენებათ, პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა შესაძლებლობის გამოყენების ხელოვნება. ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი საკითხია. ასეთი შესაძლებლობები კი არცთუ ცოტაა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით კიდევ ერთ ელემენტს შევეხები.

მთელი სოციალური პოლიტიკის წარმატება ეკონომიკის აღმავლობას უკავშირდება, ხოლო სწრაფი ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია უცხოური ინვესტიციების გაბედული მოზიდვის გარეშე. ეს დღეს ჩვენი ქვეყნისათვის პრობლემათა პრობლემაა. ამგვარად, ამ პრობლემას მკვეთრად გამოხატული სოციალური დატვირთვა აქვს.

ქვეყანაში მიღწეულმა მაკროეკონომიკურმა და ფინანსურმა სტაბილიზაციამ ხელსაყრელი პირობები შექმნა უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის. უფრო სანდო ხალხი გავხდით. არადა, ამ სფეროში დღემდე საქართველოში რამდენიმე მაკოორდინირებელი რგოლი არსებობდა, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევდა საქმიანობის დუბლირებასა და პარალელიზმს. ხელს არ უწყობდა ინვესტორების მოზიდვას.

საქართველოს პრეზიდენტის მეთაურობით შექმნილმა საინვესტიციო საბჭომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვიტოს ერთიანი მაკოორდინირებელი ორგანოს საკითხი, ვინაიდან საბჭო იქნება ის სათათბირო ორგანო, სადაც თავს მოიყრის საგარეო რესურსების მოზიდვასა და კოორდინაციასთან დაკავშირებული ყველა სახელმწიფო მნიშვნელობის საჭირბოროტო საკითხი.

საინვესტიციო საბჭო უზრუნველყოფს საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებას, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციათა მიღებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, საერთაშორისო თანამეგობრობაში საქართველოს, როგორც ინვესტიციათა ხელშემწყობი ქვეყნის იმიჯის განმტკიცებას, საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან და დონორებთან თანამშრომლობის სტრატეგიის განსაზღვრას, კოორდინაციას გაუწევს საერთო-სახელმწიფოებრივ საინვესტიციო პროგრამებში ჩართულ ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობას. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს საინვესტიციო პროგრამების განხორციელებას, ინვესტიციების მოზიდვას ჩვენი რაიონებისა და რეგიონების, ავტონომიების განვითარების თვალსაზრისით. მის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ის, რომ თვალყური ადევნოს: ინვესტიციის მცირე ნაწილიც კი არ უნდა წარიმართოს არადანიშნულებისამებრ. ჩვენ მართალი უნდა ვიყოთ პარტნიორებთანაც და ჩვენს საკუთარ ხალხთანაც.

რა მასშტაბებზე შეიძლება ლაპარაკი? მე მხოლოდ ერთ, ძალიან საინტერესო მაგალითს მოვიტან და გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება. მსოფლიო ბანკის ახალი პროგრამით, ინდიკატური გეგმის, ბიუჯეტის წარმატებული მესრულების, სტაბილურობის განმტკიცების შემთხვევაში საქართველო 1998-2000 წლებში მიიღებს 290 მილიონ ამერიკულ დოლარს, როგორც დახმარებას. აქედან განვითარების საერთაშორისო ასოციაციაზე 209 მილიონი დოლარი მოდის.

პირდაპირ გეტყვით: თუ არ იქნება სათანადო სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა და გარანტიები, რომ გამოყოფილი თანხა წარიმართება დანიშნულებისამებრ, ეს თანხა აორთქლდება ისე, როგორც ბევრი რამ აორთქლდა და დაიკარგა საქართველოში.

სხვათა შორის, როგორც მსოფლიო ბანკმა, ასევე ევროპის ბანკმა, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების შესასრულებლად დაიწყეს კომერციული და პარტნიორული კრედიტების გამოყოფა, ცალკეული პროექტების დაფინანსება. ეს მხოლოდ ერთი ნაწილია მომავალი წლისათვის საქართველოს სხვადასხვა დარგებში, (მედიცინაში, განათლებაში) ინვესტირებული სახსრებისა.

(გაგრძელება მეხუთე გვერდზე)

„ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანას, სადაც ადამიანის უფლებები უზენაესი იმპერატივის რანგშია აყვანილი“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოხსენება საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 27 მაისის სხდომაზე

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა

ამას დაუმატეთ ინვესტიციები „აბრეშუმის გზის" აღორძინებასთან დაკავშირებით, მრავალი სახის და მიმართების სხვა კერძო ინვესტიციები და დარწმუნდებით, თუ რაოდენ საჭიროა პრეზიდენტთან საინვესტიციო საბჭოს შექმნა, რომელშიც პარლამენტის შესაბამისი კომიტეტები არიან წარმოდგენილი.

მსოფლიო ბანკის პროგრამაში გათვალისწინებულია ძალზე სერიოზული დახმარება რეგიონების, რაიონების, ქალაქებისათვის, მათ შორის, კომუნალური სფეროს გაუმჯობესებისათვის.

ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ საინვესტიციო საბჭო არავის ზღუდავს, არავინ არავითარ რეგლამენტირებას არ ახდენს.

ჩვენი მიზანია სახსრები დაიხარჯოს მიზანმიმართულად, ამ საშვილიშვილო საქმეს ჩამოვაცილოთ წურბელები, რომლებიც აფრთხობენ უცხოურ ბიზნესს და ატყავებენ ჩვენს მოსახლეობას.

მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება ჩვენი სოციალური პროგრამების რეალიზაცია, ხალხის კეთილდღეობის ამაღლება.

ამრიგად, საინვესტიციო საბჭო მოწოდებულია ხელშემწყობი პირობები შექმნას ქვეყანაში მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად.

ჩვენ ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ, შესაძლებლობის ფარგლებში, ქართული კულტურის გადასარჩენად. ამ დარბაზში იმყოფება ბატონი ვახტანგ გოგუაძე, რომელთანაც ბევრჯერ გვიმსჯელია იმის თაობაზე, როგორ მოვქცეულიყავით.

ეკონომიკას ეშველება, მაგრამ თუ კულტურა დაიღუპა, თაობები ამას არ გვაპატიებენ და ვერც გამოასწორებენ ამ დანაკლისს. იქნებ ცოტა გადაჭარბებულია, მაგრამ მიმაჩნია, რომ მაინც შეიძლება ითქვას – ქართული კულტურა გადარჩა.

ეს მთელი საზოგადოების ყოველდღიური ზრუნვისა და ძალისხმევის შედეგია.

მართალია, სრულყოფილებისაგან ძალიან შორს ვართ, მაგრამ, პრინციპულად, ძირითადი საკითხები გადაწყვეტილია.

ახლა მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობის ახალ ეტაპზე უნდა ვიზრუნოთ.

საქართველოს კულტურა ერის ყველაზე დიდი მონაპოვარია და უნდა გავუფრთხილდეთ მას. ყველა პირობა უნდა შევქმნათ კულტურის აღორძინებისათვის.

მე შემთხვევით არ ვახსენე შემადგენელი კომპონენტები მომავალი წლის ბიუჯეტის პარამეტრებისა, მათ შორის ის საბიუჯეტო პარამეტრები, რომლებმაც კულტურის შემდგომი აღმავლობა უნდა უზრუნველყონ.

ხელისუფლების დიდი ზრუნვის საგანი უნდა იყოს იმ ხალხთა კულტურული ფენომენი, რომლებიც საქართველოში სახლობენ.

ქართული კულტურის აღორძინებაში გვეხმარებიან იუნესკო, მსოფლიო ბანკი (ის, რომ მსოფლიო ბანკის სისტემაში და მის მიერ გამოყოფილ ფონდებში გაჩნდა სპეციალური მუხლი საქართველოსათვის, მისი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და გადარჩენისათვის, თითქმის უპრეცედენტო შემთხვევაა), სხვა საერთაშორისო ფონდები, მათ შორის სოროსის ფონდი. ბატონ სოროსს განსაკუთრებული მადლობა მინდა მოვახსენო ჩვენი ხალხის სახელით.

იუნესკოს საქმეთა კომისია და იუნესკოსთან საქართველოს წარმომადგენლობა გააგრძელებენ ნაყოფიერ მუშაობას განათლების, კულტურის, მეცნიერების, ინფორმატიკის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის დარგებში.

მიუხედავად იუნესკოს შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობებისა და საქართველოს მიერ საწევროს გადაუხდელობისა, მარტო 1996 წელს იუნესკომ დააფინანსა საქართველოში 20-მდე პროექტი, რომელთა ღირებულებამ 400 ათას დოლარზე მეტი შეადგინა.

ვინც იცნობს იუნესკოს შესაძლებლობებს, დამეთანხმება, რომ ეს მათთვის, ისევე როგორც ჩვენთვის, მნიშვნელოვანი თანხაა.

მნიშვნელოვანი დახმარება გაეწია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

სათანადო პროექტები დამუშავდა საქართველოს პედაგოგიური უნივერსიტეტისათვის, საქართველოს ტექნიკური და აგრარული უნივერსიტეტებისათვის. ამ დაწესებულებებში გაიმართა ძალზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენციები.

საქართველოს პედაგოგიურ უნივერსიტეტში გაიხსნა მშვიდობის, კულტურისა და დემოკრატიის კათედრა. შესანიშნავი წამოწყებაა.

მე გამოვყოფდი ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩვენთან ერთად თბილისში გამართულ კონფერენციას, რომელიც ტოლერანტობასა და კულტურათა დიალოგს მიეძღვნა. იუნესკო დიდ დახმარებას უწევს ჩვენს სკოლებს, მათ შორის, კომპიუტერული ცოდნის ამაღლების თვალსაზრისით.

1996 წლის 22-29 მაისს იუნესკოს შტაბბინაში მოეწყო ქუთაისის კულტურის დღეები.

მცხეთას, გელათსა და ბაგრატს შეემატა ზემო სვანეთი (უშგული), რომელიც შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

ეს საამაყოა, მაგრამ, ამავე დროს, დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს ჩვენს ხალხს.

გამოიყო შესაბამისი თანხა მცხეთის განვითარების გეგმის შესაქმნელად, რომელიც მიზნად ისახავს მცხეთის, როგორც კულტურული და ტურისტული ცენტრის კომპლექსურ განვითარებას.

ყოველ ღონეს ვხმარობთ ძეგლთა დაცვის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებისათვის ანაზღაურების გასაზრდელად. უეჭველად გამოვძებნით სახსრებს მათთვის საერთაშორისო ორგანიზაციათა ეგიდით სასწავლო-სამეცნიერო სემინარების მოსაწყობადაც.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ მიღწეულია შეთანხმება იუნესკოს ექსპერტთა ჯგუფის აფხაზეთში გამგზავრების თაობაზე. მათი ჩამოსვლის მიზანია აფხაზეთში არსებული კულტურის ძეგლებისათვის მიყენებული ზიანის დადგენა.

გაგრძელება. იხ. მეოთხე გვერდი.

ექსპერტთა ჯგუფს უნდა შეექმნას მუშაობის საუკეთესო პირობები, მათ შორის უშიშროების გარანტიაც.

დიდი რეფორმები ხორციელდება განათლებისა და კულტურის სფეროში.

* * *

ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანია საგარეო პოლიტიკა.

საგარეო პოლიტიკას საქართველოს ხელისუფლება მიიჩნევს ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად.

1997 წელს უნდა სრულვყოთ საგარეო პოლიტიკის თეორიული საფუძვლები, საგარეო პოლიტიკური კონცეფცია და შევუსაბამოთ ისინი პრაქტიკას, ცვალებად რეალობას.

საქართველოს, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს, საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის უშიშროებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა. მაგრამ ამ მიზნის მიღწევის თვალსაზრისით დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტირები და ტაქტიკური ნაბიჯები გარკვეულწილად იცვლებოდა დროისა და ცვალებადი რეალობის შესაბამისად. ასე, მაგალითად, 1992 წელს საგარეო პოლიტიკის სფეროში უმთავრესი ამოცანა პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაციიდან თავის დაღწევა და საერთაშორისო აღიარება, უცხოეთის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება იყო. ეს მიჯნა საქართველომ, შეიძლება ითქვას, წარმატებით გადალახა.

დღეს საქართველო გაეროსა და 37 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობა 102 ქვეყანასთან აქვს დამყარებული.

1992 წლიდანვე ერთ-ერთ უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ ამოცანად იქნა მიჩნეული სამაჩაბლოსა და აფხაზეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება საქართველოს სასარგებლოდ.

გახსოვთ, რამდენს ვლაპარაკობდით იმის შესახებ, რომ ინფორმაციული ომის წაგებით საზოგადოებრივი აზრი არ ყალიბდება საქართველოს სასარგებლოდ და ა.შ. ბევრი ეს შენიშვნა, რა თქმა უნდა, სამართლიანი იყო. ამ თვალსაზრისით, მიუხედავად სეპარატისტთა და მათ ძლიერ მხარდამჭერთა პროპაგანდისტული ძალისხმევისა, საქართველომ სერიოზულ წარმატებას მიაღწია. უკლებლივ ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, განვითარებული დემოკრატიული ქვეყნები, ისევე როგორც ამ ქვეყანათა საზოგადოებრიობა, აღიარებს საქართველოს სიმართლეს, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მთლიანობას და გმობს აგრესიულ სეპარატიზმს, რომელმაც ეთნოწმენდა და, ფაქტობრივად, მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდი მოაწყო.

პარალელურად საქართველოს ხელისუფლება გეგმაზომიერად და მიზანსწრაფულად აძლიერებდა ძალისხმევას 1994 წლიდან ქვეყანაში დაწყებული რადიკალური ეკონომიკური რეფორმის უზრუნველსაყოფად საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერით.

ყველაფერი კეთდებოდა და კეთდება ევროპის სტრუქტურებში – ევროკავშირში, ევროპის საბჭოში, სხვა ორგანიზაციებში საქართველოს ინტეგრაციის დაჩქარებისათვის. სულ უფრო ფართოვდება საქართველოს თანამშრომლობა ჩრდილოატლანტიკის სამხედრო კავშირთან „სამშვიდობო პარტნიორობის" პროგრამის ფორმატით გათვალისწინებულ ჩარჩოებში.

საქართველო არა მარტო იბრუნებს, არამედ იძენს უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ ფუნქციას ევრაზიის ახალ საკომუნიკაციო სისტემაში ჩართვით, „ევრაზიის ხიდის", „ევრაზიის დერეფნის" რეგიონულ და ტრანსრეგიონულ პროგრამებში აქტიური მონაწილეობით. საქართველოს საგარეო პოლიტიკური დოქტრინა ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის, როგორც საიმედო და სანდო პარტნიორის, ხატის შექმნას.

დღეს ჩვენი რეგიონი საერთაშორისო გაერთიანების, ყველაზე განვითარებული ქვეყნების, მეზობელი სახელმწიფოებისა და უდიდესი ტრანსეროვნული კორპორაციების ყურადღების ცენტრშია.

შარშან განსაკუთრებით გააქტიურდა კონტაქტები უცხოელ პარტნიორებთან.

საქართველო სულ უფრო მეტად და აქტიურად ხდება გლობალური თუ რეგიონული მასშტაბის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინიციატივების ავტორი, რაც ჩვენი ქვეყნის საგარეოპოლიტიკური რესურსის ზრდას მოწმობს.

ზემოთ შევეხე კონფლიქტებს, მათი მოგვარების პერსპექტივებს. ამასთან დაკავშირებით, მე არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა იმ მოძრაობის მნიშვნელობას, რომელსაც „მშვიდობიანი კავკასია" ჰქვია. კომპლექსურად მშვიდობიანი კავკასიის პრობლემები თბილისისა და კისლოვოდსკის დეკლარაციებში აისახა. მოსკოვში შეხვედრისას, 27 მარტს, მე წამოვაყენე ინიციატივა ოთხი პრეზიდენტის (რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) ახალი შეხვედრის ორგანიზაციის შესახებ. რეაქცია დადებითი იყო. **მე კვლავაც შევახსენებ ჩემს კოლეგებს, რომ მოხარული ვიქნები, თუ ასეთი შეხვედრა თბილისში მოეწყობა.**

მაგრამ კავკასიის პრობლემების ამოწურვა შეუძლებელია მარტო უმაღლესი დონის შეხვედრებით, საქართველოში დაიწყო ფართო საზოგადოებრივი მოძრაობა კავკასიის ხალხთა დაახლოებისა და დამეგობრებისათვის. პრეზიდენტთან მუშაობს სპეციალური კომისია, რომლის მხედველობის არეშია კულტურული, მეცნიერული, ეკონომიკური კავშირების განვითარების კონკრეტული საკითხები.

ბევრს და სასარგებლოდ მუშაობენ პარლამენტის კომიტეტები, ცალკეული პარლამენტარები. ამასთან დაკავშირებით ყველა თქვენგანის ინიციატივას მივესალმები. მაგრამ ყველაფერი ეს საქმის მხოლოდ დასაწყისია. საჭიროა ამ პროცესში სამინისტროების, დეპარტამენტების, მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლესი სასწავლებლებისა და რეგიონების ჩართვა. უნდა გაძლიერდეს, ინტენსიური უნდა გახდეს ჩვენი კონსულტაციები აზერბაიჯანთან და სომხეთთან, ჩრდილოკავკასიის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

ყველაფერი, რასაც ახლა მოგახსენებთ, არის საქართველოს ეროვნული, სახელმწიფოებრივი უშიშროების ერთ-ერთი უმთავრესი პირობათაგანი.

ეუთოს ლისაბონის სამიტზე საქართველომ მნიშვნელოვანი განაცხადი გააკეთა და ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ეფექტიანობის ამაღლების, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება-განვითარების მიზნით ევროპის გაერთიანებას შესთავაზა ევროპაში ახალი წესრიგის განმსაზღვრელი ძირითადი კანონის – „ევროპის კონსტიტუციის" შემუშავება.

ეს წინადადება დიდი ყურადღებით იქნა აღქმული და უნდა მოგახსენოთ, რომ მისი რეალიზაცია, შესაძლოა, უახლოეს მომავალში დაიწყოს. დარწმუნებული ვარ, საქართველო ამ პროცესში თავის ადგილს დაიკავებს.

არანაკლებ სწრაფად ვითარდება და შემდგომშიც უნდა განვითარდეს ორმხრივი ურთიერთობები როგორც მსოფლიო გაერთიანების წევრ სახელმწიფოებთან, ისე ჩვენს უშუალო მეზობლებთან. ამ ურთიერთობათა განვითარება ჰარმონიზებული უნდა იყოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობითაც. 1997 წელს დაიხვეწა და უფრო სრულყოფილი ხასიათი ურთიერთობები ევროკავშირთან, რომელთანაც უკვე მოეწერა ხელი უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, აგრეთვე ნატოსთან, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, ევროპის საბჭოსთან, ევროპარლამენტთან, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, რომლის საქმიანობა თანდათანობით უფრო დინამიკური და ინტენსიური ხდება. ახალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ და ყოველმხრივ განვავითაროთ თანამშრომლობა საქართველოსა და რუსეთს, საქართველოსა და უკრაინას, საქართველოსა და აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს შორის.

ჩვენთვის პრიორიტეტულია ურთიერთობა აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, ჩვენს უახლოეს დიდ მეზობელთან თურქეთთან, ირანთან და სხვებთან.

მინდა მოკლედ გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება ევროპის ორგანიზაციებში და ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის შესახებ.

ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, ცალკეულ პოლიტიკოსთა შორისაც კი, ასეთი ინტეგრაციის მიზანშეწონილობა კითხვის ქვეშ დგება. ან რუსეთი და თანამეგობრობა, ან ევროპა – ასეთია, თუ მარტივად ვიტყვით, მათი რადიკალურად გამოკვეთილი პოზიცია.

უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი ადამიანი საქართველოში და არა მარტო იმდენად ჩვენში, რამდენადაც დიდ სახელმწიფოებში, ვერ გათავისუფლდა ძველი მენტალიტეტისაგან, უმნიშვნელოვანესი მსოფლიო პროცესების მიმართ იდეოლოგიზირებული მიდგომებისაგან. ეს მძიმე მემკვიდრეობა ტვირთად აწევს თაობებს.

მტრის ხატი, რომელიც ტოტალიტარიზმის წლებში დასავლეთთან იყო ასოცირებული, კვლავ ძალაშია.

საქართველო ყველა ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია. როგორც ვთქვი, ჩვენ გავერთიანდით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, ხელი მოვაწერეთ ფუნდამენტურ შეთანხმებათა მთელ პაკეტს რუსეთთან, რაიც, საბოლოო ჯამში, ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის პრინციპებზე მიუთითებს. თანამეგობრობის თითქმის ყველა ქვეყანასთან შევქმენით მტკიცე სამართლებრივი ბაზა. ბევრ მათგანთან საქართველო განსაკუთრებულ ორმხრივ ურთიერთობას აშენებს. თქვენ კარგად მოგეხსენებათ ჩვენი ძმობა და მეგობრობა სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ჩვენი განსაკუთრებული ურთიერთობა უკრაინასთან, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან. ამ ცოტა ხნის წინათ განხორციელებული ვიზიტები ყაზახეთის, უზბეკეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის პრეზიდენტებისა და ა. შ., არ არის მარტო ვიზიტები ვიზიტების გულისთვის. ეს ახალი, დიდი ურთიერთობების დასაწყისია.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია ვიცხოვროთ მეგობრულად ყველა ქვეყანასთან და ყველა ხალხთან.

ჩვენ მივესალმეთ, როცა რუსეთმა, ჩვენზე დიდი ხნით ადრე, ხელი მოაწერა პარტნიორობის ხელშეკრულებას ევროკავშირთან, გახდა ევროსაბჭოს წევრი, როცა მან დაძლია ცნობილი წინააღმდეგობები ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით.

მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ რუსეთის ინტეგრირება ევროპულ და მსოფლიო სტრუქტურებში ის სასიკეთო მოვლენაა, რომელიც „ცივი ომის" დამთავრებამ მოიტანა და რომელიც დიდ სიკეთეს მოუტანს რუსეთსაც და მთელ მსოფლიოსაც.

მაშ რატომ უნდა აეკრძალოს საქართველოს გაიაროს იმ გზაზე, რომლითაც რუსეთი და სხვა ქვეყნები მიდიან? რატომ ვერ უნდა მოერგოს საქართველო იმ ერთიან ეკონომიკურ, სამართლებრივ თუ მსოფლმხედველობრივ სივრცეს, რომელიც ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე გადაჭიმულა?

პირიქით, მე მიმაჩნია, რომ ჩვენს და ჩვენი მეგობრების ინტერესებს შეესაბამება დაჩქარდეს საქართველოს ევროპასთან ინტეგრირება. ეს ჩვენი დიდი წინაპრების საუკუნეობრივი ოცნება იყო. ჩვენ დღეს სიამაყით დავაბიჯებთ მათ ნაკვალევზე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. გაკვირვებს „ქართველი დონ კიხოტების" (კარგი გაგებით!) მაშინდელი შემართება, მიზანსწრაფულობა და რწმენა, რწმენა მომავალისა.

ჩვენი ამოცანაა, დავაჩქაროთ ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება. ეს განსაკუთრებით ეხება მთელ ჩვენს კანონშემოქმედებით საქმიანობას, სხვადასხვა ფუძემდებელ კონვენციებთან მიერთებას. ევროპის და საქართველოს კანონმდებლობათა ჰარმონიზაცია ჩვენი პარლამენტის, პრეზიდენტის, საგარეო პოლიტიკის აქტუალური ამოცანაა.

ამას წინათ გაიმართა ჩემი და ბატონ ზურაბ ჟვანიას სპეციალური შეხვედრა და საუბარი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემებთან დაკავშირებით. ჩვენ, რა თქმა უნდა, ერთნაირად გვესმის ჩვენი ამოცანა.

სხვათა შორის, აქაც ბევრი რამის სწავლა შეიძლება ჩვენი რუსი და სხვა კოლეგებისაგან, რომლებმაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შთამბეჭდავი ნაბიჯები გადადგეს ევროპული ინტეგრაციის სულისკვეთებით, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების გათვალისწინით.

როგორც ვთქვი, რუსეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და ჩვენ ყველა იმ ვალდებულებას, რომელიც ვიკისრეთ ხელშეკრულებებით, ვასრულებთ და მომავალშიც უფრო ნაყოფიერად და პატიოსნად შევასრულებთ.

მაგრამ არ შეიძლება სახელმწიფოსთან გქონდეს სტრატეგიული ურთიერთობა და თვლიდე მას, ასე ვთქვათ, უმცროს პარტნიორად, რომელსაც შეგიძლია მოუსმინო ან არ მოუსმინო, გაითვალისწინო ან არ გაითვალისწინო მისი ტკივილი, უგულებელყოფდე მის სამართლიან მოთხოვნებს. ასეთი დიდი ტრიბუნიდან პირველად ვამბობ ამის შესახებ. ასე მოხდა საქართველოდან სამხედრო ტექნიკის, მათ შორის თვითმფრინავების, საჰაერო თავდაცვის საშუალებათა გატანის დროს.

ეს იყო უზარმაზარი მოცულობის სიმდიდრე.

სამწუხაროდ, მაშინ ამ საქმეს პატრონი არ ჰყავდა. ასე ხდება დღესაც, როცა საქართველოს არ თვლიან პარტნიორად შავი ზღვის სამხედრო ფლოტის განაწილების პროცესში, თუნდაც იმ გემების დაბრუნების პერსპექტივით, რომელთა ბაზირების ადგილი ქალაქი ფოთი გახლდათ.

ნახევრად პარტიზანულად, ნახევრად ყაჩაღურად, უკვე ჩემს დროს, გაიყვანეს ეს გემები ღამით, ჩუმად, ქალაქ ფოთიდან.

მიმაჩნია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო მთელი სერიოზულობით არ იბრძვიან შავი ზღვის ფლოტის ნაწილზე საქართველოს, როგორც საზღვაო სახელმწიფოს უფლების აღსადგენად.

შავი ზღვის ფლოტი, რომლის გაყოფაზეც ახლა მხოლოდ ორი სახელმწიფო აწარმოებს მოლაპარაკებას, – იქმნებოდა მაშინდელი კავშირის ყველა რესპუბლიკის, მათ შორის, საქართველოს მონაწილეობით, ღირსეული მონაწილეობით. მხედველობაში მაქვს ფინანსური და მატერიალური მხარე. რა თქმა უნდა, უსამართლობაა, რომ საქართველო ამ პროცესს გამოეთიშოს.

საგარეო საქმეთა სამინისტრო, გარდა იმ გამონაკლისისა, რომელზეც ვილაპარაკე, სერიოზულ მუშაობას ეწევა საერთაშორისო არენაზე საქართველოს ინტერესების დასაცავად.

სამინისტროს საქმიანობაში აშკარად იგრძნობა გარდატეხა.

მიმდინარე წელს მთლიანად საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში უნდა მოხდეს ძირფესვიანი გარდაქმნა. საგარეო საქმეთა სამინისტროს მეტი დახმარება უნდა გაუწიონ პრეზიდენტმა, მთავრობამ, პარლამენტმა, სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებმა.

მე სამინისტრო წარმომიდგენია, როგორც საგარეო პოლიტიკის ჭეშმარიტი აკადემია, იდეებისა და ინიციატივების გენერატორი, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის ორგანიზატორი.

არ შემიძლია არ მივესალმო პარლამენტის აქტიურ საგარეო პოლიტიკურ საქმიანობას, რის მშვენიერ მაგალითს პარლამენტის თავმჯდომარე იძლევა.

საქართველოს პარლამენტარებმა მაღალი ინტელექტის, ურთიერთობათა კულტურის წყალობით საიმედო პარტნიორის რეპუტაცია დაიმკვიდრეს ევროპაში, ამერიკაში, აზიის ქვეყნებში და ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებთან.

რასაც ვამბობ, თანაბრად ეხება უმრავლესობასაც და ოპონენტებსაც; **საერთაშორისო არენაზე მოღვაწეობისას არ არიან კურსის დამცველნი და მოწინააღმდეგენი, არიან კურსის გამტარებელნი.** რადგანაც ჩვენ პარლამენტის ფარგლებში სახელმწიფო დონეზე შევათანხმეთ პოლიტიკური კურსი, ჩვენ ყველანი ერთად უნდა ვახორციელებდეთ მას.

მე ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი დელეგაციები სწორედ ამ დონეზე დგანან. ჩემთვის ძალიან ბევრ მეგობარს უთქვამს, რომ საქართველოს ჰყავს შესანიშნავი პარლამენტი, ეზრდება საუცხოო პარლამენტარები, რომლებმაც დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭეს საერთაშორისო არენაზე.

1996 წელს საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა 83 ქვეყანასთან ნაცვლად 70 ქვეყნისა 1995 წელს და 54 ქვეყნისა 1994 წელს.

მსოფლიოს 36 ქვეყნის ინვესტორებმა უკვე მოახდინეს საქართველოს ეკონომიკაში 98 მლნ ამერიკული დოლარის ინვესტიცია როგორც ფულადი სახით, ისე მასალებით, ნედლეულით, ტექნოლოგიით და ა.შ.

საგარეოეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით კვლავაც პრიორიტეტული ამოცანაა ექსპორტისა და იმპორტის ოპტიმალური შეწონასწორება, საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფა, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, ევრობანკთან და სხვა საერთაშორისო ეკონომიკურ და საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განვითარება, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ბისეკის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის სრულყოფა. ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა თანამეგობრობის ქვეყნების ბაზრებზე დაბრუნება, ჩვენი კუთვნილი ადგილის დაკავება და იმ ტრადიციების აღდგენა, რომლებიც გვქონდა, ოღონდ ახალ პირობებში და ახალი პროდუქციით.

საქართველოს ხელისუფლების ყოველდღიური ზრუნვის საგანია საგარეო ვალისა და მისი რესტრუქტურიზაციის პრობლემების გადაჭრა, საგარეოეკონომიკური ურთიერთობების დარგში სამომავლო პროგრამის შემუშავება 2000 წლამდე და უფრო შორეული პერსპექტივისათვის. საჭიროა ამ სფეროში საერთაშორისო არენაზე საქართველოს პოზიციის კონცეპტუალური გააზრება.

არაფერი არ უნდა იყოს დამალული.

ფინანსთა მინისტრი ამ დღეებში წარმოადგენს სრულ სურათს საგარეო და საშინაო ვალების შესახებ და წინადადებებს, როგორ უნდა მივუდგეთ მათ ჩვენი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. რა თქმა უნდა, არის დარღვევებიც, დანაშაულობანიც, რის შესახებაც ბევრი რამ თქვა ხელისუფლებამ, მათ შორის, პარლამენტის საგანგებო კომისიამაც.

ყველას თავისი უნდა მიეზღოს, მაგრამ თუ სადმე ობიექტური გარემოებებია, მათაც ანგარიში უნდა გავუწიოთ.

ყოველივე ეს მხოლოდ ერთი რომელიმე სამთავრობო სტრუქტურის ფუნქცია როდია. ამ საკითხების გადაწყვეტაში მთელმა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს მონაწილეობა: პრეზიდენტმაც, პარლამენტმაც, სამთავრობო სტრუქტურებმაც.

1996 წელს აღმასრულებელი ხელისუფლების კანონშემოქმედებითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის გასული წლის 13 იანვრის განკარგულებით, რომლითაც დამტკიცდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში 1996 წელს მოსამზადებელი კანონპროექტების ნუსხა, მათი მომზადებისათვის პასუხისმგებელი უწყებები და შესრულების ვადები.

განკარგულების თანახმად, კანონშემოქმედებითი მუშაობა ჩაითვალა სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად. ამასთანავე, კანონშემოქმედებითი საქმიანობის მიზანმიმართულობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტის წერილს პარლამენტისადმი, რომელშიც ლაპარაკი იყო კანონშემოქმედებით საქმიანობაში აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობის საკითხზე.

საქართველოს პრეზიდენტის ზემოთ აღნიშნული განკარგულებით მთლიანად 1996 წელს აღმასრულებელ ხელისუფლებაში გათვალისწინებული იყო 87 კანონპროექტის მომზადება. მომზადდა და საქართველოს პარლამენტს განსახილველად გადაეცა 92 კანონპროექტი. აქედან პარლამენტმა მიიღო 60 კანონი. და აქ საკვირველი არაფერია, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ კიდევ უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს კანონშემოქმედების ინტერესებისათვის.

* * *

სახელმწიფო წყობილების საფუძვლების განმტკიცებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ კანონების მიღებას, რომლებიც ადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ცალკეული შტოების ფორმირებისა და საქმიანობის წესს, მათ ურთიერთმიმართებასა და ურთიერთკონტროლის მექანიზმებს.

ამ სფეროში მიღებული აქტებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია კანონი „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ". ამ კანონის მიღებით, მართალია, შესაძლებელი გახდა მთავრობის ფორმირებისათვის სათანადო სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, მაგრამ, ამავე დროს, უპასუხოდ დარჩა მთელი რიგი კითხვები, რომელთა უმრავლესობა ეხებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციონირების წესს, რომლებმაც აშკარად იჩინეს თავი აღმასრულებელი ხელისუფლების პრაქტიკული საქმიანობის პროცესში. ამიტომ ანალოგიური ახალი კანონის შემუშავების აუცილებლობამ იმთავითვე იჩინა თავი. თითქმის მთელი წელი დასჭირდა „აღმასრულებელი სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონპროექტზე

(დასასრული მეექვსე გვერდზე)

„ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანას, სადაც ადამიანის უფლებები უზენაესი იმპერატივის რანგშია აყვანილი“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოხსენება საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 27 მაისის სხდომაზე

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა

მუშაობას. სამინისტროების, სხვა სახელმწიფო უწყებების, მთავრობის სხდომაზე რამდენჯერმე განხილვისა და პარლამენტის კომიტეტებთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ იგი საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით გადაეცა პარლამენტს განსახილველად.

ხანგრძლივი დებატების შემდეგ პარლამენტმა მიიღო ეს კანონი. იგი უკვე გამოქვეყნდა და მოქმედებს.

არანაკლები ენერგია და დრო დასჭირდა „სახელმწიფო სამსახურის შესახებ“ კანონის განახლებაზე მუშაობას, მაგრამ, იუსტიციის სამინისტროს მონდომების მიუხედავად, სამწუხაროდ, ეს ცდა ჯერჯერობით მაინც უშედეგოა, 1997 წლის გეგმით უნდა დამთავრდეს ეს მუშაობა.

„სახელმწიფო სამსახურის შესახებ“ კანონის მიღება უაღრესად საშური საქმეა, რადგან მან უნდა მოაწესრიგოს სახელმწიფო მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული მრავალსახოვანი ურთიერთობები და დაადგინოს სახელმწიფო სამსახურთან სხვა საქმიანობის (მათ შორის, მეწარმეობის) შეთავსების პრინციპები, ხელი შეუწყოს სახელმწიფო ხელისუფლების აპარატში წესრიგის განმტკიცებასა და კორუფციის წარმომშობი პირობების აღმოფხვრას.

აღმასრულებელი სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურის, ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიმართულების მიხედვით მმართველობის სისტემის შემდგომი სრულყოფის მიზნით მივიღეთ კანონები ტრანსპორტისა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროების შექმნის თაობაზე.

უზრუნველვყავით ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუციას შეესაბამებოდეს უშუალო დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმის — რეფერენდუმის კანონის ნორმები. ამ კანონის შესაბამისად ჩავატარეთ პლებისციტი, რომელსაც ძალიან დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის და ჩვენთვის დადებითი საერთაშორისო აზრის ფორმირებისათვის აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. ამასთან, მისმა რეალურად ამოქმედებამ საშუალება მისცა საქართველოს ხელისუფლებას გაერკვია აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეთა დამოკიდებულება სეპარატისტული რეჟიმის მიერ მოწყობილი უკანონო არჩევნებისადმი და მიეღო პრინციპული პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათის გადაწყვეტილებები.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს პარლამენტის მიერ „საჰაერო კოდექსის“ მიღებას, რომელიც კომპლექსურად აწესრიგებს საჰაერო სივრცის დაცვასთან და საავიაციო ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებს.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების სახელმწიფო კონტროლისაგან განთავისუფლების, ცენზურის გაუქმებისა და სიტყვის თავისუფლების პირობებში სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით მიღებულია კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით წარმოებს მუშაობა კანონპროექტების „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ“ და „საქართველოს დედაქალაქის — თბილისის სტატუსის შესახებ“ მოსამზადებლად. ეს განსაკუთრებით პასუხსაგები მოვლენაა ჩვენი ცხოვრებისა და განვითარების დღევანდელ ეტაპზე. შესრულდა ძალიან დიდი მოცულობის სამუშაო.

„საქართველოს დედაქალაქის — თბილისის სტატუსის შესახებ“ კანონპროექტი უკვე გადაეცა პარლამენტს განსახილველად. ამასთან, მიმდინარეობს მძაფრი დისკუსია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონპროექტის ძირითად დებულებებზე. კანონპროექტი წინასწარი განხილვისათვის გაეგზავნა პარლამენტის კომიტეტებს, რომელთა შენიშვნებსა და წინადადებებს ამუშავებენ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები.

კანონპროექტებზე მუშაობა უეჭველად უნდა დაჩქარდეს. თუ საგაზაფხულო სესიაზე მოვასწარით მათი მიღება, შემოდგომისათვის შესაძლებელი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების მოწყობა და ამ ორგანოთა რეალური ამოქმედება. სასურველია, ძალიან სასურველია, რომ არჩევნები ჩავატაროთ მიმდინარე წელს. ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება დემოკრატიული განვითარების გზაზე.

სამწუხაროდ, შარშან ასევე ვერ მოესწრო „სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“ და „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონპროექტების სათანადოდ მომზადება და პარლამენტში წარდგენა. იქნებ აჩქარებაც არ ღირდეს ამ საკითხში. ბევრი რამის აპრობირებაა საჭირო. მოსახლეობა, საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფო სიმბოლოების შენარჩუნების თუ ახლის შერჩევის პროცესში.

გუშინდელ ზეიმზე ზოგიერთი სიახლე ამ თვალსაზრისით უკვე იყო.

* * *

გასულ წელს მნიშვნელოვანი კანონები შემუშავდა, და ეს განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, სამხედრო აღმშენებლობის, თავდაცვის, ეროვნული უშიშროების დარგში.

პრეზიდენტის ინიციატივით პარლამენტმა მიიღო კანონი „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“. ეს ახალი ინსტიტუტი უკვე წარმატებით ფუნქციონირებს და მნიშვნელოვანი წვლილიც შეაქვს სამხედრო აღმშენებლობისა და თავდაცვის ორგანიზაციის, ქვეყნის უშიშროებასთან დაკავშირებული პოლიტიკის, სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებაში.

ეროვნული უშიშროების საბჭო დიდ როლს ასრულებს თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, დამნაშავეობასთან ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურების საქმიანობის კოორდინაციის თვალსაზრისით. მისასალმებელია, რომ უშიშროების საბჭოს სტრუქტურაში გაჩნდა ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული რგოლი. ხაზი ესმება იმ ჭეშმარიტებას, რომ პიროვნების უფლებათა დაცვა ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორც ქვეყნის უშიშროების ერთ-ერთი მთავარი პირობა.

დასასრული. იხ. მეხუთე გვერდი.

თავდაცვის სამინისტრომ მოამზადა და ეროვნული უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს წარუდგინა სამხედრო და სახელმწიფო უშიშროების კანონმდებლობის პროექტების პაკეტი, რომელიც მოიცავს კანონპროექტებს „საქართველოს თავდაცვის შესახებ“, „საყოველთაო სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახების წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“, „სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ“, „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“.

მე იძულებული გავხდი გამომეყენებინა კონსტიტუციური უფლება და ვეტო დამედო გასული წლის 26 ივნისს პარლამენტის ინიციატივით მიღებული კანონისათვის „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონში ცვლილებების თაობაზე“, ვინაიდან მისი ზოგიერთი დებულება არღვევდა ადამიანის უფლებებს. ამჟამად კანონი კვლავ პარლამენტის კომიტეტებში მუშავდება. იმედი მაქვს, რომ თანხმობა ამ საკითხში უმოკლეს ხანში იქნება მიღწეული.

დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით გასულ წელს მიღებულ იქნა კანონები, რითაც 70-მდე ცვლილება და დამატება შევიდა სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში.

თქვენ რომ ეს შესწორებები არ მიგეღოთ, ძალიან დიდი სიძნელეები შეიქმნებოდა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ცვლილებები და დამატებები ძირითადად ეხებოდა მეწარმეობის კანონმდებლობის, ვაჭრობის, ფინანსების, გარემოს დაცვის, საგზაო მოძრაობის წესების, სახელმწიფო დაწესებულებათა ფუნქციონირების, ადამიანის უფლებათა სფეროში ჩადენილი დანაშაულისა და ადმინისტრაციული გადაცდომისათვის იურიდიული პასუხისმგებლობის შემდგომი სრულყოფის საკითხებს.

პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტს გადაეცა სხვა რამდენიმე კანონპროექტი, რომლებიც ითვალისწინებენ ცვლილებებს ზემოთ ჩამოთვლილ კოდიფიცირებულ აქტებში. კარგი იქნება, თუ პარლამენტი დააჩქარებს ამ საკითხების განხილვას.

ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება, ვინაიდან სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსები მიღებულია სულ სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში და საჭიროებენ არსებით გადამუშავებას, უფრო სწორად, ახალი კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტების მიღებას.

ამდენად, საჭიროა იუსტიციის სამინისტრომ და სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიამ წელს დაასრულონ ამ კანონპროექტებზე მუშაობა.

* * *

ლიბერალური რეფორმების განხორციელება, ახალი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრება ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა ეროვნულ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში. „ქართული რეფორმაციის“ საკანონმდებლო უზრუნველყოფის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნის მიზნით საპარლამენტო და საპრეზიდენტო სტრუქტურები აქტიურად თანამშრომლობენ.

შარშან მიღებული 108 კანონიდან 45 კანონი უშუალოდ ეხება ეკონომიკური რეფორმების, ფულად-საკრედიტო სისტემისა და საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელი მექანიზმის ძირითად საკითხებს. ამ კანონპროექტთა აბსოლუტური უმრავლესობა მომზადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ და წარდგენილია პარლამენტში პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და შესრულების სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხი. ქვეყანაში სტაბილიზაციის მიღწევის შემდეგ შარშან, პირველად ბოლო წლების განმავლობაში, შესაძლებელი გახდა რეალური სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა და დამტკიცება. მართალია, დაგვიანებით, წვალებით, დიდი შეფერხებებით, მაგრამ მაინც საერთაშორისო სტანდარტების დონეზე.

ამასთან დაკავშირებით გარდაუვალი იყო მოქმედ კანონმდებლობაში რეალობის შესაბამისი ცვლილებების შეტანაც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცვლილებებმა მხოლოდ ნაწილობრივ თუ გადაწყვიტეს წარმოშობილი კოლიზია. ამდენად, საბიუჯეტო პროცესის საკანონმდებლო უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პარლამენტმა გასული წლის 29 მაისს მიიღო კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“. სწორედ ამ კანონის შესაბამისად მიმდინარეობდა 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა და განხილვა.

სამწუხაროდ, შარშან, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო დაეცვა პარლამენტში ბიუჯეტის წარდგენის კონსტიტუციური ვადები. და მე ერთხელ კიდევ ვუხდი ბოდიშს პარლამენტს ამ სერიოზული შეცდომისათვის.

შარშან, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო საგადასახადო პოლიტიკა და მისი საკანონმდებლო უზრუნველყოფის საკითხები. ეს სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან საგადასახადო პოლიტიკა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთლიანად ეკონომიკური პოლიტიკის გულანჩა, ის წნულია, რომელშიც ყველა მარეგულირებელი ძაფი იყრის თავს. ამ სფეროში ერთიანი კოდიფიცირებული საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად პრეზიდენტის ინიციატივით პარლამენტს განსახილველად გადაეცა საგადასახადო კოდექსის პროექტი, აგრეთვე საბაჟო კოდექსის პროექტი და კანონპროექტი „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტებია ჩვენი ქვეყნისათვის.

პარლამენტის მიერ მიღებულია რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი კანონპროექტი, რომლებიც არეგულირებენ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების სხვადასხვა (მათ შორის სოციალურ), ასპექტს. მათ შორის არის კანონები „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“.

განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა კანონებს მიწისა და მიწათსარგებლობის შესახებ, რითაც არსებითი ცვლილება იქნა შეტანილი სააღგილმამულო ურთიერთობათა დღემდე არსებულ სისტემაში, შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა მიწის რეფორმის გატარებისათვის, რომლის შედეგადაც საქართველოს მილიონამდე მოქალაქე (ოჯახი) ყველაზე უფრო ფასეული უძრავი ქონების — მიწის მესაკუთრე გახდა. ეს ფაქტი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც ერთ მილიონ სამუშაო ადგილზე ვლაპარაკობთ.

ცვლილებები განიცადა, აგრეთვე ბანკებისა და საბანკო საქმიანობის მომწესრიგებელმა კანონმდებლობამ. აქვე მინდა დავადასტურო ჩემი შეხედულება ეროვნული ბანკის შესახებ. რა თქმა უნდა, იმ წარდგინებას ხელს არ მოვაწერდი, რომ არ ვყოფილიყავი დარწმუნებული იმაში, რომ ეროვნულმა ბანკმა და მისმა პრეზიდენტმა ძალიან დიდი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის, ეროვნული ვალუტის შემოღებისა და მისი კურსის განმტკიცების საქმეში.

საბაზრო და სოციალური ურთიერთობების სრულყოფილი სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებას.

მოგეხსენებათ, რა მნიშვნელობა აქვს ამ კანონპროექტს. ეს იქნება ერთ-ერთი ფუძემდებელი კანონი ქვეყნისათვის.

ამასთანავე, გასულ წელს სათანადოდ ვერ მომზადდა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 იანვრის განკარგულებით გათვალისწინებული ზოგიერთი კანონის პროექტი ეკონომიკურ საკითხებზე. მეორე მხრივ, ამ სფეროში კანონშემოქმედებისას იყო ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევებიც, როდესაც წინასწარ არ იყო გააზრებული კანონის ამოქმედების სოციალურ-ეკონომიკური და იურიდიული შედეგები, კონსტიტუციის მოთხოვნები. ამის გამო პრეზიდენტი იძულებული გახდა ვეტოს უფლება გამოეყენებინა.

გასულ წელს მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო აქტები, რომელთა საფუძველზეც საქართველოს პარლამენტმა, უზენაესმა სასამართლომ და საქართველოს პრეზიდენტმა დანიშნეს და აირჩიეს საკონსტიტუციო სასამართლოს სრული შემადგენლობა, რამაც საფუძველი შექმნა სასამართლო ხელისუფლების ამ სრულიად ახალი ინსტიტუტის რეალური ამოქმედებისათვის.

რაც შეეხება სასამართლოს რეფორმის ძირეულ საკითხებს, ამის შესახებ მე ზემოთ ვილაპარაკე, აქ მხოლოდ იმას დავამატებდი, რომ ესოდენ რთული ისტორიული მნიშვნელობის რეფორმის განხორციელება დროს მოითხოვს. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ სასამართლო ხელისუფლებისა და სამართალწარმოების შესახებ საქართველოს კონსტიტუციის დებულებათა საკანონმდებლო რეგლამენტაცია უნდა დასრულდეს არა უგვიანეს 1997 წლის ნოემბრისა. ეს არის კონსტიტუციის ურყევი მოთხოვნა და იგი აუცილებლად უნდა შესრულდეს.

* * *

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად პირველად ჩვენს ქვეყანაში უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი ადამიანის უფლებადამცველი ორგანო სახალხო დამცველის ინსტიტუტის სახით.

საკანონმდებლო ბაზა ამ ინსტიტუტის ამოქმედებისათვის უკვე მომზადებულია. კერძოდ, პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტმა გასული წლის 16 მაისს მიიღო ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“. კანონის შესაბამისად შეტანილ იქნა ცვლილებები სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში. სახალხო დამცველის ინსტიტუტის რეალური ამოქმედებისათვის დარჩა მხოლოდ იმ პიროვნების შერჩევა, რომელსაც პარლამენტის გადაწყვეტილებით დაეკისრება ამ მოვალეობის შესრულება.

საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის კონსტიტუციური უფლების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“, რომლითაც გაუქმდა ჩაწერის ინსტიტუტი. ამასთან დაკავშირებით ცვლილებები იქნა შეტანილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და საბინაო კოდექსებში.

აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ დევნილი მოსახლეობის უფლებათა საკანონმდებლო მოწესრიგების მიზნით მიღებულია კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა შესახებ“. მომზადდა კანონპროექტი ლტოლვილთა შესახებ. მისი მიღება მეტად საშური საქმეა.

ამასთან დაკავშირებით პარლამენტს შემდეგი ცნობა შემიძლია წარმოვუდგინო: დღეისათვის ქვეყანაში 288 ათასი ლტოლვილი და ადგილნაცვალი პირია. აქედან 124 ათასი კაცი ორგანიზებულადაა ჩასახლებული და მათი მომსახურების თანხებს (თვეში 7 ლარი) სახელმწიფო იხდის.

კერძო ბინებში ჩასახლებულთა კომუნალური გადასახადის 50 პროცენტზე სახელმწიფოა პასუხისმგებელი.

ძალიან ვთხოვ ფინანსთა მინისტრს, ბიუჯეტის პროექტზე მუშაობისას გაითვალისწინოს და იზრუნოს დანარჩენ 50 პროცენტზე.

1997 წლიდან დევნილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურსაც სახელმწიფო იხდის. სამწუხაროდ, უმნიშვნელოა სახელმწიფო შემწეობა, რომელიც 8,5 ლარს შეადგენს.

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის ივლისიდან ბიუჯეტი, თუ შევასრულეთ მისი საშემოსავლო ნაწილის პარამეტრები, ითვალისწინებს შემწეობებისა და პენსიების 20-პროცენტიან ზრდას. რა თქმა უნდა, ეს, უწინარეს ყოვლისა, უნდა შეეხოს პენსიონერებს და ლტოლვილებს.

აღსანიშნავია, რომ სოფლად ჩასახლებულმა 8 ათასმა ოჯახმა მიიღო მიწის ნაკვეთი და შეიძლება ვიფიქროთ მთელი მასის დაკმაყოფილებაზეც.

შარშან 30 ათასმა დევნილმა მიიღო სამედიცინო დახმარების ინდივიდუალური სადაზღვევო პოლისი, ხოლო მიმდინარე წელს ამ ციფრმა 57 ათასი შეადგინა.

მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულია 50 ათასი კაცი.

განსაკუთრებული კატეგორიაა მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა დედები, ინვალიდები, ობოლი ბავშვები.

გვეხმარებიან უცხოელები. უცხოელთა დახმარებასთან დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენც და მომავალი თაობებიც, ალბათ, სამუდამო ვალში ვართ ჩვენი უცხოელი მეგობრების წინაშე. პირდაპირ მინდა გითხრათ: რომ არ ყოფილიყო ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი გულუხვი დახმარება, შიმშილის, სიცივისა და უბედურების წლებში ჩვენ ამოვწყდებოდით. აშშ ახლაც აგრძელებს დახმარებას. წლეულს 20 მლნ დოლარზე მეტი ღირებულების 100 ათას ტონა ხორბალს მივიღებთ.

იგივე შეიძლება ითქვას გერმანიაზე, საფრანგეთზე, ჰოლანდიაზე, დიდ ბრიტანეთზე, თურქეთზე და ზოგიერთ სხვა ქვეყანაზე.

რა თქმა უნდა, გვეხმარება ჩვენი დიდი მეზობელი რუსეთი, რომელმაც თავისი შესაძლებლობის ფარგლებში თავისი დამოკიდებულება გამოხატა.

მაგრამ ახლა კვლავ ლტოლვილებთან დაკავშირებით: 1995-96 წლებში ლტოლვილებისათვის ჩვენმა უცხოელმა მეგობრებმა შემოიტანეს 20 ათასი ტონა სურსათი, ცალკეულ ჯგუფებს გაეწიათ დახმარება პრეზიდენტის ფონდიდან.

აქვე აღსანიშნავია ღონისძიებები ლტოლვილთა მხარდასაჭერად სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში.

სამწუხაროდ, ჩვენმა ღარიბმა სახელმწიფომ მეტი ვერ შეძლო. დახმარება უფრო ინტენსიური იქნება გაისად, განსაკუთრებული პროგრამები დგება დაბრუნებულთა მხარდასაჭერად და დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროცესი დაიწყება.

შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვის უფლების — ადამიანის ერთ-ერთი კონსტიტუციური უფლების დაცვისათვის მომზადდა და პარლამენტს განსახილველად წარედგინა კანონპროექტი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“.

ადამიანის შრომითი და სოციალური უფლებების საკანონმდებლო უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „პროფესიული კავშირების შესახებ“, „სამედიცინო დაზღვევის შესახებ“, „საარსებო მინიმუმის შესახებ“, „შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებების შესახებ“, „შრომითი ხელშეკრულების კონტრაქტის შესახებ“ კანონპროექტების მომზადებას.

ადამიანის უპირველესი უფლების — სიცოცხლის უფლების თაობაზე კონსტიტუციურ დებულებებს ახლა უკვე შეესაბამება სისხლის სამართლის სასჯელის განსაკუთრებული ზომის — სიკვდილით დასჯის გამოყენების ფარგლები. ცნობილია, რომ სასჯელის აღსრულებაზე დაწესებულია მორატორიუმი.

შემოღებულ იქნა სასჯელის ახალი სახეობა — სამუდამოდ თავისუფლების აღკვეთა.

ჩვენ კვლავ და კვლავ უნდა დავუბრუნდეთ ამ პრობლემას.

მინდა გაცნობოთ, რომ ამ დღეებში პრეზიდენტმა გამოიყენა თავისი შეწყალების უფლება. შეწყალება გავრცელდა 400-მდე პიროვნებაზე, მათ შორის, 250 პიროვნება, რომელთაც დადებითი დახასიათება ჰქონდათ შინაგან საქმეთა სამინისტროდან, მთლიანად გათავისუფლდა საპატიმრო ადგილებიდან. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი პატიოსან ცხოვრებას შეუდგებიან ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

* * *

შარშან კანონშემოქმედება სულიერი ცხოვრების, კულტურის განვითარებისათვის საკანონმდებლო საფუძვლების შესაქმნელად შედარებით ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა. თუმცა, პარლამენტმა მაინც მიიღო რამდენიმე ფუძემდებელი საკანონმდებლო აქტი. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კანონებს „კულტურის შესახებ“, „სპორტის შესახებ“, „უცხოეთის სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურის ცენტრებთან, დაწესებულებებთან, ინვესტორებთან პარტნიორული ურთიერთობის სახელმწიფოებრივი რეგულირების შესახებ“.

მიმდინარე წელს კულტურის საკითხებზე რამდენიმე კანონპროექტი მომზადდება.

განათლების სამინისტრომ გასული წლის მიწურულს დაასრულა მუშაობა „განათლების შესახებ“ კანონპროექტზე და წარმოადგინა განსახილველად.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომზადდა და პარლამენტს წარედგინა კანონპროექტები „სამედიცინო დაზღვევის შესახებ“ და „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, რომლებიც პარლამენტმა უკვე მიიღო.

ასეთია დღეისათვის სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის, ახალი საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის დარგში საკანონმდებლო ბაზის ზოგადი მახასიათებლები.

* * *

პოლიტიკური პროგრამის შესრულების მიმდინარეობა, შედეგების შეჯამება და სამომავლო ამოცანების დასახვა პრეზიდენტის მიმართვის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია.

რამდენად შეიძლება, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, კმაყოფილი ვიყო საპრეზიდენტო პროგრამის განხორციელებით? ამ კითხვაზე პირუთვნელი და სამართლიანი პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ ობიექტური ვითარებაც და ისიც, თუ რამდენი რამ გაკეთდა ურთულეს პირობებში ხელშემშლელ ფაქტორთა მიუხედავად.

ობიექტური მიზეზების გამო ჯერ კიდევ ვერ შევუქმენით (მე კვლავაც დავუბრუნდები ამ თემას) ხალხს ცხოვრების ღირსეული პირობები, დაკმაყოფილებული არ არის თითოეული მოქალაქე საარსებო მინიმუმით, დაბალია ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების, სხვა შემოსავლების დონე.

მე დღეს აქ არ მილაპარაკია ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის პრობლემებზე. დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტი მოძებნის დროს და ამ საკითხებზე სპეციალური დისკუსია გაიმართება აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობით.

მიუხედავად ამისა, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი ის არის, რომ თანაბარი საწყისი პირობები შეუქმნას ყველა ადამიანს საკუთარი ინიციატივის, ნიჭისა და უნარის გამოსავლენად. ამავე დროს, სახელმწიფომ სოციალურად უნდა დაიცვას უპოვარნი, შრომისუუნარონი, დავრდომილნი, მცირეწლოვანნი. წლეულს ჩვენ პირველი ნაბიჯები გადავდგით ამ მიმართულებით. გაისად მეტი უნდა გაკეთდეს. ეს ჩვენი მოვალეობაა, ვინაიდან ვაშენებთ არა „ველურ კაპიტალიზმს“, „ველურ საბაზრო ეკონომიკას“, არამედ ცივილიზებულ სამართლებრივ სახელმწიფოსა და სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას.

* * *

ბატონო პარლამენტარებო!

ნება მიბოძეთ, ამით დავამთავრო ჩემი მოხსენება პარლამენტისადმი. იმედს გამოვთქვამ, რომ მიმდინარე წელს საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება ერთობლივი ძალისხმევით შეძლებენ ენერგია შემატონ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესს. ეს პროცესი უკვე შეუქცევადია.

ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ 21-ე საუკუნის ევროპის კონსტიტუციის შექმნაში. ვმონაწილეობთ გაეროს რეფორმასა და ახალი მსოფლიო წესრიგის დამკვიდრებაში. ჩვენ ვაშენებთ სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებას, საბაზრო ეკონომიკას, ახალ კულტურას და ცივილიზაციას.

მიმდინარე წელს საქართველო კიდევ ერთ მძლავრ და გაბედულ ნაბიჯს გადადგამს ეროვნულ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე. ჩვენმა ქვეყანამ იპოვა უმთავრესი ორიენტირი, რომელიც უეჭველად მიგვიყვანს მძლავრი, დემოკრატიული, ერთიანი, ბედნიერი და აყვავებული ქვეყნის შექმნამდე. ვფიქრობ, ძალზე სიმბოლური იყო ის, რომ დღევანდელმა საქართველომ გუშინ ძეგლი დაუდგა ჩვენს უდიდეს და უკვდავ მეფეს, დიდ მოაზროვნეს, საქართველოს ერთიანობის, მთლიანობის და მისი სიძლიერის სიმბოლოს დავით აღმაშენებელს.

მადლობას მოგახსენებთ.

ალექსანდრე ლებედი:

რუსეთი მოატყუეს

რუსეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ალექსანდრე ლებედი „იზვესტიაში“ (№97) გამოქვეყნებულ წერილში აცხადებს, რომ პარიზში ხელმოწერილი რუსეთ-ნატოს შეთანხმება ელცინის დამარცხებაა და რუსეთის იზოლაციას მოასწავებს. „ეს არის მეორე იალტა, — წერს იგი, — ოღონდ ურუსეთოდ, რომელიც აფიქსირებს გამარჯვებულების — შეერთებული შტატებისა და ნატოს გავლენას ევროპაში ცივი ომის შედეგების მიხედვით. რუსეთი წაგებული მხარეა, რომელმაც ხელი მოაწერა თავისი კაპიტულაციის აქტს.

ექიმთა დაუდევრობის მსხვერპლნი

ოცდაერთი ბავშვი დაიღუპა იემენში საყოველთაო ვაქცინაციის დროს დაშვებული შეცდომის შედეგად, იუწყება ეგვიპტის საინფორმაციო სააგენტო მენა, რომელიც იმოწმებს ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს. ტრაგედია მოხდა მასვარის პროვინციაში, ქვეყნის დედაქალაქ სანადან 100 კილომეტრზე. ექიმები ბავშვებს უტარებდნენ ვაქცინაციას ინფექციურ დაავადებათაგან, მაგრამ შეცდომით შეუშხაპუნეს ინსულინი, რომელიც დიაბეტის დროს გამოიყენება. როგორც კი შეცდომა გამოვლინდა, ხელისუფლებმა შეწყვიტეს აცრა და დაიწყეს გამოძიება.

კლიტე-სიმბოლო იმპიჩმენტისა

26 მაისს „ფიბესის“ გალერეის აუქციონზე 13.000 დოლარად გაიყიდა კარის კლიტე, რომელმაც აშშ პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის გადადგომა გამოიწვია, წერს „ჩიკაგო ტრიბუნი“. 1972 წლის ივნისში დამნაშავეებმა შეამტვრიეს ვაშინგტონის სასტუმრო „უოტერგეიტში“ დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის შტაბის ორკილოგრამიანი სპილენძის კლიტე, რამაც დასაბამი მისცა სკანდალს, ორი წლის შემდეგ პრეზიდენტ ნიქსონის გადადგომით რომ დამთავრდა. აუქციონის ორგანიზატორის გეილ უოლპინის აზრით, კლიტე წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ნივთიერ საბუთს თანამედროვე ამერიკის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ. „უოლტერგეიტის“ კლიტის მფლობელი იყო სასტუმროს ყოფილი კომენდანტი ჯიმ ჰერალდი, რომელმაც იგი სუვენირად მიიღო ხელოსნისაგან, დემოკრატთა შტაბის გატეხილი კარი რომ შეაკეთა. ისტორიული კლიტის ახალი მფლობელი გახდა ბოსტონის მცხოვრები, რომელმაც არ ისურვა გაემხილა თავისი ვინაობა.

ჯარიმა — მილიონი დოლარი!

ნიუ-ჯერსის შტატის სასამართლომ „ელექტროდაინ სისტემზის“ კომპანია ერთი მილიონი დოლარით დააჯარიმა იმის გამო, რომ უკანონოდ გადასცა ამერიკული სამხედრო ტექნოლოგია თავის სუბმოიჯარეებს რუსეთსა და უკრაინაში. კომპანიას დაევალა აგრეთვე აანაზღაუროს სასამართლო ხარჯები ნახევარი მილიონი დოლარის ოდენობით. გარდა ამისა, კომპანიას ორი წლის განმავლობაში აეკრძალა მთავრობის შეკვეთების შესრულება. „ელექტროდაინ სისტემზის“ ბრალი იმაში მდგომარეობს, რომ გასული წლის ოქტომბერში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებს მიაწოდა მოწყობილობა, რომელიც ერთ-ერთ უკრაინულ ფირმაში იყო დამზადებული. შეიარაღების ექსპორტისადმი კონტროლის კანონის თანახმად, ამგვარი მოწყობილობა მხოლოდ ამერიკული უნდა იყოს.

უკუღმართებს შთაგონების წყაროს უხშობენ

ამერიკის ჯორჯიას შტატის ხელისუფალთ განზრახული აქვთ აუკრძალონ „ინტერნეტის“ კომპიუტერულ ქსელში შესვლა ყველა იმ პირს, რომელსაც ოდესმე მსჯავრი დასდებია სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულისათვის. ღპა სააგენტოს ინფორმაციით, ხელისუფლებმა ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანეს მეცნიერთა ოფიციალური დასკვნის შემდეგ, რომლის თანახმადაც „ინტერნეტის“ პორნოგრაფიული და ეროტიკული სერვერები დამღუპველ გავლენას ახდენენ სექსუალურ უკუღმართობათა მიდრეკილების მქონე ადამიანთა ფსიქიკაზე. სააგენტო აგრეთვე აღნიშნავს, რომ შტატის სამართალდამცველი ორგანოები მეცნიერებთან ერთად დიდ იმედებს ამყარებენ იმაზე, რომ ეს ღონისძიება ოდნავ მაინც დააშოშმინებს სექსუალურად გაუწონასწორებელ მოქალაქეებს.



„კრისტი“ იხურება — ჯენტლმენები აღარ არიან

უდიდესი და უძველესი ინგლისის ფაბრიკა, რომელიც ცილინდრებს უშვებდა, ალბათ, მალე დაიხურება. იგი ცვალებადი მოდის მსხვერპლი გახდა. „ეს ეპოქის დასასრულია“, — დაიჩივლა ამ ფაბრიკის მმართველმა. საწარმო 1773 წლიდან ამარაგებდა ბრიტანელ ჯენტლმენებს ოფიციალური ღონისძიებებისათვის განკუთვნილი ცილინდრებით. ახალგაზრდობა ბეისბოლის კეპის ამჯობინებს, და უფროსი თაობის მამაკაცებს შორისაც თანდათან ქრება ოდინდელი ერთგულება ცილინდრებისადმი.

განიარაღება — ნახმარი იარაღის გაყიდვას არ ნიშნავს

გაზეთი „მაინპოსტი“ აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება გერმანიის განიარაღების პრობლემებს. გაზეთი იუწყება, რომ აქტიურად მიმდინარე განიარაღების პროცესის შედეგად, იმისათვის, რომ თავიდან მოიშოროს უამრავი დაგროვილი იარაღი, გერმანია იძულებული გახდა გადაქცეულიყო მსოფლიოში ნახმარი შეიარაღების ყველაზე დიდ მიმწოდებლად. გაზეთის ინფორმაციით, გასულ წელს იარაღის გაყიდვის მოცულობამ ისეთი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებსაც კი გადააჭარბა, როგორიც არის რუსეთი და აშშ. „მაინპოსტი“ აღნიშნავს, რომ ქვეყნის ბევრ პოლიტიკურ მოღვაწეს სერიოზულად აფიქრებს ის გარემოება, რომ მესამე სამყაროს ქვეყნებისათვის სხვადასხვა სახელმწიფოების, მათ შორის გერმანიის შეიარაღების მიწოდების შედეგად იქ არ წყდება შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებსაც მოსდევს მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. გაზეთი აგრეთვე იუწყება, რომ გერმანიის ოფიციალურ წრეებში სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მოთხოვნები, დროებით შეჩერდეს განიარაღება, სანამ ქვეყანაში არ შემუშავდება ნახმარი იარაღის განადგურების ეფექტიანი სისტემა.

იტალია უჩრდილოეთოდ რჩება?

მოძრაობამ „ჩრდილოეთის ლიგა“, რომელიც იტალიის ინდუსტრიულად განვითარებულ ჩრდილოეთში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას მოითხოვს, მოაწყო არაოფიციალური რეფერენდუმი, იუწყება ბრიტანული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“. მოძრაობის წარმომადგენელთა შეფასებით, შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ვითომდა, კენჭისყრის მონაწილე ექვს მილიონთაგან 99 პროცენტმა მხარი დაუჭირა ქვეყნის შემადგენლობიდან გასვლას. გაზეთი იუწყება, რომ ხელისუფალნი ჯერჯერობით სჯერდებიან მოწოდებებს სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნების შესახებ, მაგრამ ამავე დროს, ბიზნესის წარმომადგენლებმა მთავრობისადმი მიმართვაში განაცხადეს, რომ „სეპარატისტული ისტერიის დაუფასებლობა უაღრესად საშიში შეცდომაა“.

შტეპსელიანი ზარბაზანი

სულ მალე დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები შეიარაღდებიან ახალი სუპერთანამედროვე ზარბაზნით. ეპ სააგენტოს ინფორმაციით, ბრიტანეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება შეიძინოს ევროპელ მეცნიერთა ერთ-ერთი უკანასკნელი ნამუშევარი, რომელიც, მათი აზრით, მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს ტერორიზმთან ბრძოლის ამოცანის შესრულებას. ახალი იარაღი წარმოადგენს ელექტრონულ-სხივურ ზარბაზანს, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვან მანძილზე გამოიყვანოს მწყობრიდან არა მარტო ყველა ელექტრონული ხელსაწყო და კომპიუტერი, არამედ მთლიანადაც მოახდინოს ავტომობილის თუ თვითმფრინავის ბლოკირება და მწყობრიდან გამოიყვანოს მათი ელექტრონიკა. სააგენტო აგრეთვე იუწყება: ერთ-ერთი უპირატესობა, რომელმაც სახტად დატოვა ექსპერტები, გახდა ის, რომ ახალ იარაღს არ სჭირდება საბრძოლო მასალა — იგი მუშაობს ჩვეულებრივ ელექტროროზეტში ჩართვის შემდეგ.

ავღანეთში თალიბები გახელისუფლდნენ

თალიბები დარწმუნებული არიან, რომ სულ მალე მთელ ქვეყანას დაიპყრობენ. ქვეყნის ჩრდილოეთში ქალაქ მაზარი-შარიფის აღების შემდეგ ავღანეთში საბჭოთა ჯარების გამოსვლიდან პირველად დამყარდა ერთიანი იდეოლოგიური წყობა — ისლამური. და აი, „გაერთიანების“ პირველი შედეგი: ასობით ლტოლვილი ყველაფერს ტოვებს და სასწრაფოდ გარბის თავისი კარ-მიდამოდან.



განვითარებადნი განვითარებულებს ეწევიან

ჩინეთი შეიძლება მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკური სახელმწიფო გახდეს 2020 წლისათვის, წერს „ფაინენშლ ტაიმსი“, რომელიც იმოწმებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გამოკვლევას. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბაზრო რეფორმების განგრძობის შემთხვევაში, მეოთხედი საუკუნის შემდეგ მთელი მსოფლიო პროდუქციის მესამედს გამოიმუშავებენ ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, ინდონეზია და ბრაზილია. განვითარებადი ქვეყნები მსოფლიოს მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცევიან და მათი წილი მსოფლიო ეკონომიკაში 2020 წლისათვის 40-დან 60 პროცენტამდე გაიზრდება. აზიის რამდენიმე სწრაფად განვითარებად ქვეყანას, აგრეთვე არგენტინასა და ჩინეთს აქვთ შანსი, რომ უკვე ახლო მომავალში გაუტოლდნენ განვითარებულ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე მიღებული შემოსავლის დონით. გაზეთის დასკვნა ასეთია — ახლანდელმა განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა განახორციელონ რეფორმები და გაალიბერალურონ ეკონომიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი განზე დარჩებიან.

გზის ინსპექტორს თავგზა აუბნიეს

ფრანგი ავტომოყვარული სასამართლოს მეშვეობით გამოდის საგზაო პოლიციის წინააღმდეგ, რომელმაც იგი სიჩქარის გადამეტებისათვის დააჯარიმა. თუ ჯარიმის შეტყობინებას დავუჯერებთ, მძღოლი გზატკეცილზე მიჰქროდა საათში 980 კილომეტრი სიჩქარით — რეაქტიულ თვითმფრინავზე უფრო ჩქარა. მოგვიანებით დამრღვევმა მძღოლმა მიიღო მეორე შეტყობინება, სადაც მისი ავტომობილის სიჩქარე გადასწორებული იყო 98 კმ/სთ-ზე, მაგრამ ამჯერად პოლიციელებს შემლიათ ავტომობილის მოძრაობის მიმართულება, რამაც მძღოლსა და მის ადვოკატებს საშუალება მისცა განეცხადებინათ, რომ ეს არის შეცდომა და, მაშასადამე, არავითარი დარღვევა არ ყოფილაო.

ქარბორბალა ტეხასში

სულ ცოტა 32 კაცი დაიღუპა სამშაბათ საღამოს ტორნადოს შედეგად, რომელიც თავს დაატყდა ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჯარელს, იუწყება როიტერი. ტორნადომ მთლიანად დაანგრია 50 სახლი და დაამსხვრია რამდენიმე ათეული ავტომობილი ჯარელში. ქარბორბალამ დიდად დააზარალა შტატის ბევრი დასახლებული პუნქტი. წყლისა და სინათლის მიწოდება შეუწყდა ოთხი საგრაფოს 50 ათას სახლს. როიტერი აღნიშნავს, რომ ჯარელს უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში ქარბორბალამ უკვე მეორედ გადაუარა.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ და „პლანეტა-ფორტეს“ მასალების მიხედვით

უძღვება

არჩილ მანჯგალაძე.

სპორტი

საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატი ცხენოსნობაში

ფოთის განახლებულ იპოდრომზე

როგორც ვიუწყებოდით, 26-28 მაისს ქალაქმა ფოთმა უმასპინძლა საქართველოს მიმდინარე წლის აბსოლუტური ჩემპიონატის მონაწილეებს ცხენოსნობაში. შეჯიბრება ჩატარდა დაბრკოლებათა გადალახვაში — ცხენოსნობის ურთულეს კლასიკურ სახეობაში.

ფოთის განახლებულ იპოდრომზე უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი. სამი დღის განმავლობაში თავიანთი ოსტატობა უჩვენეს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თბილისის სპორტული ბაზის, განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლის, ფოთის საცხენოსნო-სპორტული კლუბისა და რესპუბლიკის შინაგანი ჯარების მხედრებმა.

პირველ დღეს, 26 მაისს, დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა ასპარეზობამ დაბრკოლებათა გადალახვაში გახსნის პრიზზე. პირველი ადგილი აქ წილად ხვდა განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლის მხედარს როინ მარგიანს, მეორე ადგილი დაისაკუთრა ამავე სპორტსკოლის მხედარმა დავით დუნდუამ, მესამეზეა ქალაქ ფოთის წარმომადგენელი გოჩა ჯალაღონია.

დიდი ინტერესი გამოიწვია დოღმა 2 კილომეტრზე, სადაც ვეტერანი მხედრის გრიგოლ მირცხულავას ხსოვნის თასი გათამაშდა. დოღი ჩატარდა საკმაოდ ფიცხი ადგილობრივი (მეგრული) ჯიშის ბედაურებით. თასი ერგო ფოთელ ვეტერან სპორტის ოსტატს ზაურ ტოტიკოვს.

სამონადირეო პარკურში (ესეც დაბრკოლებათა გადალახვის ერთ-ერთი სახეა) ტოლი არ ჰყავდა მხედარ როინ მარგიანს, მეორე ადგილზე ამ სახეობაში კვლავ დავით დუნდუა გავიდა, მესამეზე — შინაგანი ჯარების წარმომადგენელი გელა აფციაური.

ახალგაზრდა ასაკის ბედაურით ამ სახეობაში დიდებულად იასპარეზა ფოთელმა მხედარმა გოჩა ჯალაღონიამ, რომელსაც პირველი ადგილი ხვდა წილად.

28 მაისს, შეჯიბრების დასკვნით დღეს, გათამაშდა მთავარი პრიზი — საქართველოს თასი. განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სპორტული სკოლის მხედარმა დავით დუნდუამ აქაც გამოიჩინა თავი — საუკეთესო შედეგი აჩვენა და საქართველოს თასი დაისაკუთრა. მეორე და მესამე ადგილებზე მისი თანაგუნდელები როინ მარგიანი და რევაზ მიტიჩაშვილი გავიდნენ.

სამი სახეობის მიხედვით საქართველოს 1997 წლის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სპორტსკოლის მხედარი, ეკონომიკურ ურთიერთობათა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი დავით დუნდუა. ფოთის იპოდრომზე ახალგაზრდა მხედარს გადაეცა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიერ დაწესებული პრიზი — ხმალი.

მეორე და მესამე ადგილები წილად ხვდათ როინ მარგიანსა და რევაზ მიტიჩაშვილს.

შეჯიბრების დასკვნით დღეს 5 კმ-იან მარულაში საკუთარი ადგილობრივი ჯიშის ცხენით თავი ისახელა ფოთელმა ვეტერანმა მხედარმა ზაურ ტოტიკოვმა — მას პირველი ადგილი ხვდა წილად. ფოთელ მხედარს ამ სახეობაში გამარჯვებისათვის ჯილდო გადასცა ძველმა მხედარმა ზორბეგ ტულუშმა.

შეჯიბრება, მიუხედავად ამინდის ჭირვეულობისა, მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა. დასანანია, რომ ამ საინტერესო ღონისძიებას არ დაესწრნენ ზუგდიდელი და სენაკელი მხედრები.

— ფოთი მომავალშიც შეძლებს ჩვენი ეროვნული, მამა-პაპური სპორტის განვითარებისათვის თავისი წვლილის შეტანას და ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც არა ერთ საინტერესო ასპარეზობას ჩავატარებთ — გვითხრა საუბარში ფოთის იპოდრომის დირექტორმა ვალიკო მაქაცარიამ.

სურათებზე: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პრიზის მფლობელი, საქართველოს 1997 წლის აბსოლუტური ჩემპიონი, მხედარი დავით დუნდუა (განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტსკოლა); ორკილომეტრიან დოღში გამარჯვებული გრიგოლ მირცხულავას სახელობის პრიზის მფლობელი, ფოთელი სპორტის ოსტატი ზაურ ტოტიკოვი.

თამაზ ძიძავა.
ფოთი-თბილისი.
ავტორის ფოტოები.

ფეხბურთი

ადგილები განაწილდა

გუშინ საქართველოს სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთელთა მერვე ეროვნული ჩემპიონატის უკანასკნელი, XXX ტურის შეხვედრები. გაგაცნობთ მათ შედეგებს:

„დინამო“ — „მერანი“ 3:2,
„სამტრედია“ — „შევარდენი“ 2:2,
„გორდა“ — „ოდიში“ 4:2,
„კოლხეთი“ — „გურია“ 7:0,
„სამგურალი“ — „დილა“ 2:1,
„ტორპედო“ — „სიონი“ 1:1,
„ბათუმი“ — „ივერია“ 4:0,
„მარგვეთი“ — „კახეთი“ 3:0 (გამოუცხადებლობა).

ამრიგად, საპრიზო და ევროპის საკლუბო ტურნირებზე გამსვლელი ადგილები ასე განაწილდა: თბილისის „დინამო“ (ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირი), ფოთის „კოლხეთი“ (უეფას თასი), „ბათუმი“ (თასების მფლობელთა თასი) და თბილისის „მერანი“ („ინტერტოტოს“ თასი).

პირველი ჯგუფი დატოვეს „სამტრედიამ“, თელავის „კახეთმა“ და ხაშურის „ივერიამ“.

კარს მოგვადგა „ოთხთა ტურნირი“

3 ივნისს საფრანგეთში იწყება მეტად საინტერესო „ოთხთა ტურნირი“ ბრაზილიის, ინგლისის, იტალიისა და საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდების მონაწილეობით. ახლა, როცა მსოფლიო პირველობის შესარჩევი თამაშები გადამწყვეტ ფაზაში შედის, რა თქმა უნდა, საინტერესოა იმ ნაკრებთა შემოწმება, რომლებიც გაისად საფრანგეთში უდავო ფავორიტები იქნებიან. იტალიისა და ინგლისის გუნდები შესარჩევ შეჯიბრებებში საკმაო წარმატებით გამოდიან, ფინალში მიწვეული ბრაზილიელები და ფრანგები კი ამხანაგურ მატჩებში ცდიან თავიანთ ძალებს და კარგ შედეგებსაც აღწევენ.

გულშემატკივრების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მსოფლიო ჩემპიონების — ბრაზილიელების ყველა მატჩი. მარშან მათ რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს როგორც ევროპაში, ისე საკუთარ მინდორზე. ამას დაემატა 3 წლევანდელი მატჩიც, და უკვე გამოჩნდა იმ ნაკრების ბირთვი, რომელიც ჯერ „კოპა ამერიკას“ გათამაშებაში იასპარეზებს, გაისად კი — მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში.

ამხანაგური მატჩების წლევანდელი სერია დაიწყო ბრაზილიაში, ქალაქ გოიანიის სტადიონ „სერა დოურადაზე“ პოლონეთის ძლიერ ნაკრებთან შეხვედრით. ამ მატჩში მარიო ზაგალომ სტუმრების მრავალნაცად მწვრთნელ ანტონი პეხნიჩეკს დიდი სიურპრიზი მოუმზადა. ნაკრებიდან ორწლიანი განდევნის შემდეგ ზაგალომ დააბრუნა საკმაოდ მოთვინიერებული რომარიო, რომელსაც მკაცრად ექცევა და „დისტანციაზე“ ჰყავს. ყოველ შემთხვევაში, ნაკრებში სრულიად წარმოუდგენელია ის, რასაც რომარიო ადრე აკეთებდა კლუბებში, გოგონების თანხლებით რომ მოგზაურობდა. ტაქტიკური თვალსაზრისით, სიურპრიზი იყო ის, რომ რომარიო თამაშობდა არა წინა ხაზზე, როგორც ყოველთვის, არამედ უკან იყო დახეული და დიდებული გადაცემებით ამარაგებდა მეტოქის კართან რონალდოსა და ჯოვანის (მათ ორ-ორი ბურთი გაიტანეს). რომარიოს, რაც მისთვის იშვიათია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ, საყოველთაო აზრით, მისმა თამაშმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მატჩში 85-ე წუთამდე ანგარიში იყო 4:0 და პოლონელებმა ორი საპასუხო გოლი მხოლოდ მას შემდეგ გაიტანეს, რაც მასპინძლებმა თავისი ამოცანა შესრულებულად ჩათვალეს — 4:2.

მეორე მატჩში ჩილელებთან ბრაზილიელებს ასევე დიდი უპირატესობა ჰქონდათ (4:0) რომარიო ამჯერად წინ წაწიეს და რონალდოსთან წყვილში პირდაპირ შეუჩერებელი იყო. თითოეულმა ორ-ორი გოლი გაიტანა.

კიდევ ერთი მატჩი მსოფლიო ჩემპიონებმა მაიამიში გამართეს, ამჟამად კონკაკაფის ზონაში პირველ ადგილზე მყოფ მექსიკელებთან. ბრაზილიელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ტაფარელი, კაფუ, ანდრე კრუზი, მარსიუ სანტუში (სელიო სილვა, 70), მაურო სილვა (სეზარ სამპაიო, 84), რობერტო კარლუში (ანდრე ლუისი, 82), ჯალმინია (დონიზეტი, 82), დუნგა, რონალდო, ლეონარდო, რომარიო (ედმუნდო, 79). აქ ყურადღება მიიპყრო იმ ამბავმა, რომ ნაკრებში აღდგენილია ამჟამად იაპონიაში მოთამაშე დუნგა და იმანაც, რომ ზაგალომ, რომელსაც ახასიათებს ფეხბურთელების ამორჩევა, კვლავ არ მოიწვია ნახევარმცველი ჟუნინიო, რომლის თამაშმა ინგლისში, თუმცა საკმაოდ სუსტ „მიდლსბროს“ შემადგენლობაში, ნამდვილი ფურორი მოახდინა. იგი პელეს საყვარელ ფეხბურთელად ითვლება. ზაგალო პელესთან განსაკუთრებით ახლოს არასდროს ყოფილა და, როგორც ჩანს, მის აზრს ანგარიშს არ უწევს. მწვრთნელმა გამოცადა კიდევ ერთი შედეგიანი თავდამსხმელი ედმუნდო, რომელსაც თავემეუკავებლობის გამო ბრაზილიელი გულშემატკივრები „მხეცს“ უწოდებენ.

„ორანჟ ბოულის“ სტადიონზე მექსიკელებმა მრისხანე მეტოქეს სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. მათმა მწვრთნელმა, იუგოსლაველმა ბორა მილუტინოვიჩმა აღიარა ბრაზილიელების დიდი უპირატესობა. ამ მატჩში ბრაზილიელთაგან სამი გოლი გაიტანა რომარიომ, ერთი — „პარი სენ-ჟერმენის“ ნახევარმცველმა ლეონარდომ.

„ოთხთა ტურნირი“ ოთხ ფრანგულ ქალაქში ჩატარდება: პარიზში, ლიონში, ნანტსა და მონპელიეში. იგი 11 ივნისამდე გასტანს. ამის შემდეგ ბრაზილიელები ბოლივიაში გაემგზავრებიან „კოპა ამერიკაში“ სასპარეზოდ. ზაგალომ დაასახელა მსოფლიო ჩემპიონების შემადგენლობა: მეკარეები ტაფარელი („ატლეტიკო მინეირო“), კარლოს ჟერმანო (რიო-დე-ჟანეიროს „ვასკო და გამა“), მცველები — კაფუ (სან-პაულუს „პალმეირასი“), ზე მარია („პარმა“), რობერტო კარლუში (მადრიდის „რეალი“), ზე რობერტო (მადრიდის „რეალი“), ალდაირი („რომა“), გონსალესი (რიო-დე-ჟანეიროს „ბოტაფოგო“), მარსიო სანტუში, („ატლეტიკ-მინეირო“), სელიო სილვა (სან-პაულუს „კორინტიანსი“), შუა ხაზის მოთამაშეები — მაურო სილვა („ლა კორუნია“), ფლავიო კონსეისაო („ლა კორუნია“), დუნგა („ჯუბილო ივატა“), ჯალმინია („პალმეირასი“), ლეონარდო („პარი სენ-ჟერმენი“), ჯოვანი („ბარსელონა“), დენილსონი („სან-პაულუ“), სეზარ სამპაიო („იოკოჰამა ფლაგელში“); თავდასხმა — რონალდო („ბარსელონა“), რომარიო („ფლამენგო“), პაულო ნუნიესი („გრემიო“) და ედმუნდო („ვასკო და გამა“).

ზაგალოს გუნდს გაცილებით უფრო სერიოზულ მეტოქეებთან ექნება საქმე, ვიდრე უწინ. ჩეზარე მალდინი და გლენ ჰოდლი ამ ტურნირზე რამდენიმე დებიუტანტის გამოცდას აპირებენ. ჰოდლს იტალიელებთან თავისი ანგარიშიც აქვს ლონდონში მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში წაგების შემდეგ.

საფრანგეთის ნაკრები, რომელიც შესარჩევ შეჯიბრებაში არ მონაწილეობს, სათამაშო პრაქტიკას მოკლებულია, ამდენად, მისთვის „ოთხთა ტურნირს“ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მწვრთნელ ემე ჟაკეს ახლა ისეთი ავტორიტეტი აქვს, როგორიც კარგა ხანია არც ერთ ფრანგ სპეციალისტს არ ჰქონია. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის დაუმარცხებლად წარმართვამ (სტატისტიკოსები წაგებად არ თვლიან წაგებას 11-მეტრიანი დარტყმების შედეგად).

ემე ჟაკემ გამოაცხადა თავისი ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ლიონელ მარბონიე („ოსერი“), ფაბიენ ბარტეზი („მონაკო“), დაცვა — ლორან ბლანი („ბარსელონა“), ვენსან კანდელა („რომა“), მარსელ დესაიი („მილანი“), ფრანკ ლებეფი („ჩელსი“), ბიქსან ლიზარაზიუ (ბილბაოს „ატლეტიკი“), ბრუნო ნგოტი („პარი სენ-ჟერმენი“), ლილიან ტიურამი („პარმა“), შუა ხაზი — დიდიე დეშამი („იუვენტუსი“), იური ჯორკაეფი („ინტერი“) კრისტიან კარამბე („სამპდორია“), პიერ ლეილი („სამპდორია“), პატრიკ ვიეირა („არსენალი“), ზინედინ ზიდანი („იუვენტუსი“), თავდასხმა — იბრაჰიმ ბა („ბორდო“), კრისტოფ დიუგარი („მილანი“), მარკ კელერი („კარლსრუე“), პატრის ლოკო („პარი სენ-ჟერმენი“), ფლორიან მორისი („ლიონი“), ნიკოლა უედეკი („ესპანიოლი“) და რობერ პირე („მეცი“).

იმის მიუხედავად, რომ საფრანგეთის ნაკრებში არ ითამაშებს ძირითადი მეკარე ბერნარ ლამა, რომელიც დაისაჯა ჰაშიშის მოწევის გამო, დაცვითი ხაზი სავსებით საიმედოდ ითვლება. შედეგიან ცენტრალურ თავდამსხმელს, როგორიც „სამფეროვნებს“ ეკადრებათ, ემე ჟაკემ ჯერჯერობით ვერ მიაგნო. ამიტომ წინა ხაზზე იგი ექსპერიმენტებს გააგრძელებს.

გივი თორელი.

სხვისი თვალით

აფხაზეთი „პეპსის“ ირჩევს

„მოსკოვსკიე ნოვოსტის“ სპეციალური კორესპონდენტი **არა თათევოსიანი** იყო რესპუბლიკაში, რომელსაც მისი მოქალაქენი „გეტოს“ უწოდებენ

საქართველოს ქალაქი ზუგდიდი, საიდანაც სასაზღვრო მდინარე ენგურამდე მანქანით 15 წუთის სავალია, აბსოლუტურად არ ტოვებს ფრონტისპირა ქალაქის შთაბეჭდილებას. ერთადერთი, რაც გადაუწყვეტელ კონფლიქტს შეგვახსენებს, — ეს არის რუს მშვიდობისმყოფელთა საგუშაგო ქალაქის შესასვლელში.

გზა

გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისარიატის სამმართველოს საველე ოფიცერი ეთიოპი მაურისეუ მამო თითქმის ორ დღეს აწარმოებდა მოლაპარაკებას ჩემი მივლინების გამო სოხუმის ოფისთან, ის კი, თავის მხრივ, აფხაზეთის ხელისუფლებთან. ვიზიტის მიზნის, ჩემი ეროვნების, საპასპორტო მონაცემების გამოწვლილვით შესწავლის შემდეგ, სოხუმმა როგორც იქნა, ნება დამრთო. მამომ თქვა, რომ ვერავინ ვერ იქნება აფხაზეთის დედაქალაქისაკენ მიმავალ გზაზე ჩემი უსაფრთხოების გარანტი, ვინაიდან გალში ხოცავენ, ძარცვავენ და ატყვევებენ ხალხს. „აპრილის ბოლოს გალში ჩვენი ოფისი გაძარცვეს, წაიღეს 15 ათასი დოლარი, იქ ნაღმების ომია, ასე, რომ მხოლოდ იღბლის იმედად შეგიძლია იყო“. მამომ მთხოვა, ხელი მომეწერა ქაღალდზე, რომ, თუ ვინიცობაა რაიმე შემემთხვა, კომისარიატის სამმართველოს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება ჩემი სიცოცხლისათვის, და ენგურის ხიდამდე მიმიყვანა. იქიდან 12-კილომეტრიან უსაფრთხოების ზონას გადამატარა ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისარიატის სამმართველოს გალის ოფისის მძღოლმა, და მხოლოდ მესამე მანქანამ მიმიყვანა სოხუმამდე. გზაში არავითარი ექსცესი არ მომხდარა, თუმცა, როგორც მძღოლმა თქვა, დღესაც გააჩნიაო. „აქ ანარქიაა. თავ-ყბას დაგამტვრევენ, თუ ფული არა გაქვს, თუ გაქვს, მაშინაც“.

გზა ნაკლებად გიტოვებს ოპტიმიზმის საბაბს, დანგრეული და გადაბუგული სახლები, პროფესიულად აფეთქებული ხიდები. აქ ყოველი 10 სახლიდან ერთში ცხოვრობენ. გზის გაყოლებით დახეთქილი მაგისტრალებიდან მოჩქეფს წყლის შადრევნები. ომმა კორექტივები შეიტანა ადგილობრივ ფაუნაშიც: აქა-იქ ხეებზე მაიმუნები დაძვრებოდნენ. აღმოჩნდა, რომ გალის ზოოსადგური დაუბომბავთ, და მას შემდეგ მაიმუნები ბუნებრივ პირობებში ბინადრობენ და მრავლდებიან. მათი სოხუმელი თანამოძმენი კიდევ უფრო მძიმე დღეში არიან: ნახევარ წელიწადზე მეტია, რუსი მესაზღვრეები მდინარე ფსოუზე არ ატარებენ სპეციფიკურ პროდუქტებს სოხუმის მაიმუნსაშენისათვის და ამას იმით ასაბუთებენ, რომ ჰუმანიტარული დახმარება მაიმუნებისათვის არ არის გათვალისწინებული.

დედაქალაქი

სოხუმში დამაბინავეს სასტუმრო „აითარში“, სადაც გაეროს სამხედრო მეთვალყურეები ცხოვრობენ. „ერთადერთი უსაფრთხო ადგილია“, — ამიხსნა მძღოლმა. ნომერი, რომელიც ზღვას გადაჰყურებს და ცხელი წყალი აქვს, 6 დოლარი ღირს, კაფეში სადილი – 6-დან 8 ათას რუბლამდე. „ეს თქვენთვის არის ქრისტიანული ფასი, ჩვენთვის კი მიუწვდომელია, — მითხრა რუსმა ქალმა, სასტუმროს ადმინისტრატორმა, — ჩვენ პენსია 2,5 ათასი გვაქვს, ხოლო ჩემი ქმარი, რომელმაც მთელი სიცოცხლე იმუშავა ელექტრიკოსად, 60 ათასს იღებს, ისიც, ხან აძლევენ, ხან არა“. ოლღამ მომცა, მისი თქმით, მთელი რიგი სავალდებულო მითითებები: ვალუტა გადამეცვალა მხოლოდ სასტუმროში, ქართული ლარები კი სადმე დამემალა, საღამოს ქალაქში არ გავსულიყავი“. ხომ გესმით, სამუშაო არ არის, ხოდა, ბიჭები გიჟებს ჰგვანან, თან ნარკომანებიც მომრავლდნენ“.

სოხუმში არ ხდება არაფრის აღდგენა, რაც ომმა დაანგრია: დაუზიანებელი შენობები სულ თითზე ჩამოსათვლელია, ხოლო მთლიანად დანგრეულსა და გადამწვარზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ქუჩები სავსეა შარშანდელი, თუ უფრო ძველი არა, ჩამოცვენილი ფოთლებით. ორ-სამ სახლს ამშვენებს წარწერა: „სახლი გაფორმებულია, კაზაკი ცხოვრობს“. ხალხი ცოტაა, მანქანები კიდევ უფრო ნაკლები.

სასტუმროს კაფეს ოფიციანტ ქალს თავისი უბედურება აქვს: „მე ლიტველი ვარ, ქმარმა ჯერ კიდევ ომამდე ჩამომიყვანა. როდესაც შეტევა დაიწყო, სწორედ მაშინ მოვილოგინე. ქმარი გაიქცა. ასე დავრჩი პატარა ბავშვით ხელში, ვერც მე მივდივარ, ვერც ქმარი ჩამოსულა. თქვენ პირველი ხართ, ვინც დღეს კაფეში შემოვიდა, არავინ დადის. ანდა, ზოგჯერ შემოეხეტებიან ხოლმე მაგარი ბიჭები, მუქთად ჩახეთქავენ 200 ათასისას და წავლენ. კაფეს შეფი ჩვენს გენშტაბში მუშაობს, მაგრამ ვის ეშინია“.

არც მშვიდობა...

აფხაზეთის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგი შამბა ამბობს, რომ მოლაპარაკებას ალტერნატივა არა აქვს, მაგრამ იგი უსათუოდ განახლდება მას შემდეგ, რაც რუსეთი და საქართველო უარს იტყვიან აფხაზეთის მიმართ ეკონომიკურ ზემოქმედებაზე. „რუსეთს ჯერაც არ დაუკარგავს იმედი, რომ ხელში ჩაიგდებს საქართველოს აფხაზეთიანად. აი, რა არის მისი გაორებული პოლიტიკის მიზეზი. სავსებით შესაძლებელია, რომ სულ მალე რუსეთი ჩვენ გაგვიღებს მსხვერპლად, ოღონდ ქართველების გული მოიგოს“. ამ პოსტზე მის წინამორბედს კონსტანტინე ოზგანს მიაჩნია, რომ რუსეთის მოქმედება აფხაზებს აიძულებს დაუფიქრდნენ დასავლეთის წინადადებებს მოლაპარაკების მონაწილეთა წრის გაფართოების შესახებ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთის უმაღლეს ხელმძღვანელობაში არ არის ერთსულოვნება მომავალი სტატუსის გამო. აყენებენ სხვადასხვა ვარიანტებს, სრული სუვერენიტეტიდან ფედერაციამდე და კონფედერაციამდე. სამაგიეროდ, ყველანი ერთსულოვანნი არიან ლტოლვილთა საკითხში — „ჯერ ერთი, ქართველები რეალურ ციფრებს ხელოვნურად უმატებენ, და მეორე, ლტოლვილებს მიიღებენ მხოლოდ ინდივიდუალური წესით და მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი აფხაზეთის დამოუკიდებლობას ცნობენო“.

აფხაზებს ყველაზე მეტად ის აღაშფოთებთ, რომ საქართველოს არათუ არ სურს, მოინანიოს ეს ომი, არამედ გამუდმებითაც ამძაფრებს ატმოსფეროს. სოხუმში არ სჯერათ ის სიტყვები, რომ გამუდმებული დივერსიები გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში უმართავი მოთარეშეების ჩადენილია. აფხაზები „თეთრი ლეგიონის“ დივერსიული რაზმის შექმნას აბრალებენ პირადად საქართველოს უშიშროების მინისტრს შოთა კვირაიას და ხელთ აქვთ ამ ფორმირების წევრებისა და მეთაურების სრული სია. აფხაზეთის სპეცსამსახურები ამტკიცებენ, რომ „თეთრი ლეგიონის“ მებრძოლებს ამზადებენ ბალაშიხის სპეცსკოლაში, აგრეთვე ზუგდიდის რაიონში. რაც გინდა თქვი, ნაღმების ომი გალსა და მიმდებარე რაიონებში ლამის ყოველდღე იწირავს ადგილობრივ მცხოვრებთა და რუს მშვიდობისმყოფელთა სიცოცხლეს, სხვათა შორის, სამი წლის განმავლობაში 40-ზე მეტი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა.

მშვიდობისმყოფელი ძალების სარდლის, გენერალ-მაიორ ბაბენკოვის თქმით, უკანასკნელად ნამდვილი ომის სუნი დატრიალდა 5 მაისს, როდესაც საქართველომ აფხაზეთის საზღვრისპირა ზონაში მძიმე ტექნიკა შეიყვანა. საბრძოლო განგაში ტყუილი გამოდგა. 14-დან 22 აპრილამდე მიმდინარეობდა მშვიდობისმყოფელი ძალების კონტინგენტის მორიგი როტაცია, რომლის რიცხოვნობა იგივე დარჩა – 1700 კაცი.

... არც ომი

აფხაზეთში თავისიანებიც ხოცავენ: დღეს იმალება 180 განსასჯელი, მათგან 40 იძებნება მკვლელობისათვის, 25 – ყაჩაღური თავდასხმისათვის, დაახლოებით ამდენივე გაუპატიურებისა და ადამიანთა მოტაცებისათვის. ეს ძალიან ბევრია პატარა აფხაზეთისათვის. დამნაშავეობის ასეთი პარპაშის ერთ-ერთი ფაქტორი გახდა ის, რომ მთავრობის საგანგებო დადგენილებით მოსახლეობას ნება დართო შინ იქონიოს იარაღი. სოხუმში ყოფნისას შემაძრწუნა 18 წლის მოცეკვავის ინალ კვარციას მკვლელობამ, რომელიც 14 წლისა წავიდა ფრონტზე, იქ გადარჩა და დაიღუპა განთავისუფლებულ სამშობლოში. მკვლელებმა სახლი დაუწვეს, თვითონ კი იმალებიან.

აფხაზეთის ეკონომიკურ მდგომარეობას ომისა და ბლოკადის შედეგად სახარბიელო არ ეთქმის. წლევანდელი ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილმა შეადგინა 42 მილიარდი რუბლი, გასავლისამ – 49,5, დეფიციტმა – 15 პროცენტი. ყველაზე მეტი იხარჯება თავდაცვაზე, ყველაზე ნაკლები – მეცნიერებაზე. აპრილში დაწესდა ნავთობისა და ხორბლის იმპორტის მონოპოლია. იმ დროს, როდესაც მუშავდება სოფლის მეურნეობის 2000 წლამდე განვითარების კონცეფცია, შემოდგომაზე მანდარინები გზისპირებში ლპება და კარტოფილზე იაფი ღირს, ხოლო ჩაის პლანტაციებს ჩეხავენ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი მეთაური, ამჟამად ეკონომიკის მინისტრი და პირველი ვიცე-პრემიერი კონსტანტინე ოზგანი წელს ორჯერ შეხვდა თბილისში საქართველოს პრეზიდენტს (ისინი დიდი ხანია იცნობენ ერთმანეთს: როდესაც შევარდნაძე რესპუბლიკის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო, ოზგანი ჩაის ფაბრიკას ხელმძღვანელობდა, მერე კი გუდაუთის პარტიული ლიდერი გახდა). როცა კაბინეტში შევედი, ოზგანი ვიღაცას ტელეფონით აძლევდა მითითებას, პასუხისგებაში მიეცა პირები, რომლებიც თავს არიდებენ ინვენტარიზაციას. ვიცე-პრემიერმა, უწინარეს ყოვლისა, იმედიანად მითხრა, რომ აფხაზეთის მრეწველობაში ყველაფერი რიგზეა, „ჩვენ მეცნიერებატევადი მრეწველობის საქონელს ვუგზავნით აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებს; ხოლო ჩვენს კომერსანტებს, ბლოკადის მიუხედავად, ყველაფერი გააქვთ და შემოაქვთ მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან“. ოზგანს არ უპასუხია ჩემს კითხვაზე, რას აწარმოებს კონკრეტულად აფხაზეთი; ღიმილით მითხრა: „რას კითხულობთ, საქონელი მოდისო“.

* * *

სოხუმში ყოფნისას უცნაური გრძნობა გეუფლება, გგონია, რომ აქ დრო საბჭოთა კავშირში გაჩერდა. ეს იგრძნობა ყველაფერში, თუნდაც, საბჭოთა ნიმუშის ჩამოსხმის „პეპსის“ ბოთლებში. „კოკა-კოლას“ ექსპანსიას აქამდე ჯერ არ მოუღწევია... ადამიანებს, რომლებმაც თითქოს გაიმარჯვეს, დღეს წვავთ გამოუვალი უიმედობის გრძნობა და ღალატს აბრალებენ რუსეთს, და კიდევ ომისათვის ემზადებიან იმიტომ, რომ არ სჯერათ მშვიდობისა. ვეებერთელა ლოზუნგი „მშვიდობა გვინდა, ომი – არა!“, რომელიც სოხუმის შესასვლელში დგას, ალბათ, ვერ განხორციელდება: აფხაზები არ მოისურვებენ დიდხანს იცხოვრონ გეტოში, როგორც ისინი დღეს უწოდებენ თავიანთ სამშობლოს.

სურათებზე: ომის კვალი სოხუმში ყველგან მოჩანს.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი“,
25 მაისი-1 ივნისი.

ძვირფასო ბავშვებო!

ბავშვთა საერთაშორისო დღე

ქალთა საერთაშორისო საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, თბილისის ზოოპარკში გამართავს ბავშვთა ზეიმს. მასში მონაწილეობას მიიღებენ ბავშვთა ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები, თოჯინებისა და ზღაპრის თეატრის, ცირკის მსახიობები. მოეწყობა ბავშვთა ნახატების გამოფენა, ასფალტზე ხატვის კონკურსი, სპორტული შეჯიბრება... ამ დღეს თქვენთვის უფასოდ იმუშავებენ ატრაქციონები.

ბავშვებო! თქვენ გელით უამრავი სიურპრიზი.
მობრძანდით, დაისვენეთ, გახალისდით!
დასაწყისი 11 სთ-ზე.

სკოლა

გამოსაშვები გამოცდები დაიწყო

გუშინ, 30 მაისს საქართველოს ყველა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში გაიმართა საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი ტრადიციული პირველი გამოცდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში.

ტელევიზიით გამოცხადდა თემები ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლებისათვის.

ქართული სკოლების მოსწავლეებს წელს ასეთი თემები შესთავაზეს: „ლუხუმი და ზეზვა“, „ტიციან ტაბიძის ლირიკა“ და თავისუფალი თემა „გვახსოვდეს აფხაზეთი!“

თბილისის მესამე ქართულ გიმნაზიას 3 მეთერთმეტე კლასის 57 მოსწავლე ამთავრებს. მოსწავლეებმა სამივე თემა დაწერეს.

სურათზე: მესამე გიმნაზიის დირექტორი ოთარ თეთვაძე კმაყოფილია — კურსდამამთავრებლები კარგ ცოდნას ამჟღავნებენ.

გენადი სანაიას ფოტო.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

მორიელის ეფექტი სეპარატისტთა კლანში

ჩვენს ხელთ არსებული ოპერატიული და უცხოეთის საინფორმაციო მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ აფხაზეთში მძაფრად ვითარდება მოვლენები, არ ცხრება შიდაკლანური ბრძოლა დაპირისპირებულ მხარეთა შორის ძალაუფლებისა და გავლენის სფეროების გაზრდისათვის. უმართავია კრიმინოგენური ვითარება, უმძიმესია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. ე.წ. ეკონომიკურმა რეფორმებმა, რომელთა ავტორი სეპარატისტთა ლიდერი ვ. არძინბა არის, სრული კრახი განიცადა, რეგიონში თითქმის არ მუშაობს არცერთი საწარმო, არ გაიცემა პენსიები და ხელფასები.

ასეთ ურთულეს ვითარებაში ვ. არძინბას ბოლო დროს განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს, რომელთა წყალობით ფიქრობს შეინარჩუნოს ხელისუფლება და ელემენტარულად მაინც მოაწესრიგოს და გააკონტროლოს მდგომარეობა, სრულიად საპირისპირო შედეგი მოჰყვა. უკიდურესად დაიძაბა ურთიერთდაპირისპირება გუდაუთელ და ოჩამჩირელ ლიდერებს შორის, მოხდა მათი დაქვემდებარებული ბანდების სისხლიანი მეტაკებები, ბოლო პერიოდში ცალკეულმა ბანდიტურმა დაჯგუფებებმა განახორციელეს დივერსიული აქტები, აფეთქებები აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, გალში, ტყვარჩელში, ოჩამჩირეში, სოხუმსა და გუდაუთაში. არის ადამიანთა მსხვერპლი, მწყობრიდან გამოვიდა სასიცოცხლო ობიექტები.

ამ დღეებში სოხუმში მოკლეს ქალაქის მეორე საავადმყოფოს ექიმი, აფხაზეთში სომხეთა საზოგადოებრივი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ჩანდრე ჩეჩელიანი, რასაც მოჰყვა სომეხი მოსახლეობისა და ინტელიგენციის მასობრივი საპროტესტო აქციები. სოხუმში, მშვიდობის პროსპექტზე ასევე დაუდგენელმა პირებმა მოკლეს თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, ეროვნებით აფხაზი ბიზნესმენი აკიბა, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება. ცნობილი გახდა ისიც, რომ ვ. არძინბას ყველაზე საიმედო დასაყრდენში, გუდაუთის კლანშიც ადგილი აქვს სერიოზულ დაპირისპირებას, რაც სავსებით შესაძლებელია, გადაიზარდოს შეიარაღებულ შეტაკებებში. მოვლენათა ტრაგიკულმა განვითარებამ საბოლოოდ დასცა და არარაობად აქცია არძინბას ავტორიტეტი საზოგადოებაში, დღეს მისი მმართველობის ერთადერთი საშუალებაა უხეში ძალა, რომელსაც სერიოზულად შეუტიეს მისმა მოწინააღმდეგეებმა.

სწორედ ამის შედეგად, ამ დღეებში ახალმა აფეთქებებმა შესძრა აფხაზეთი. 22-23 მაისს აფეთქებების სერიალმა მოიცვა გუდაუთა და მისი რაიონი. კერძოდ: გუდაუთაში, სოფლტექნიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სატანკო სარემონტო ქარხანაში მძიმე საბრძოლო ტექნიკასთან ერთად აფეთქდა გრადისა და ნურსის ჭურვები. გუდაუთის რაიონში სოფელ ბაკლანოვკაში აფეთქების შედეგად მწყობრიდან გამოვიდა სტრატეგიული დანიშნულების ხიდი მდინარე აცზე. აფეთქებათა სერიალი განხორციელდა პრიმორსკში, ლიხნში და სხვაგან.

იტარ-ტასის ცნობით, რომელიც აფხაზ სეპარატისტთა განცხადებას ეყრდნობა, 29 მაისს სოხუმში მოხდა რამდენიმე მძლავრი აფეთქება, რასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი ნგრევა და ადამიანთა მსხვერპლი.

ძალისმიერი მეთოდებით ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით შეპყრობილმა ვლადისლავ არძინბამ სამშვიდობო ძალების იქ ყოფნის მიუხედავად, აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე 24 მაისიდან გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. 23 საათიდან დილის 6 საათამდე აიკრძალა მოქალაქეთა და ავტოტრანსპორტის ყოველგვარი გადაადგილება, გასცა განკარგულება 29 მაისიდან ყველა სამხედრო ობიექტის დაცვის გაძლიერებულ რეჟიმზე გადაყვანის შესახებ.

არძინბა და მისი კლანი ცდილობენ ყოველივე ამას უპოვონ რაიმე ახსნა და მომხდარი ფაქტები საქართველოს მხარეს, კერძოდ, საქართველოს უშიშროების სამინისტროს გადააბრალონ. უფრო მეტიც, ე.წ. არძინბას ხელისუფლება ვიცე-პრემიერის ოზგანის, უშიშროების მინისტრის ტარბას და შინაგან საქმეთა მინისტრის კჩაჩის სახით გაზეთების „სეგოდნია“, „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ და სხვა საინფორმაციო წყაროების მეშვეობით აცხადებს, თითქოს საქართველოს უშიშროების სამინისტრო დივერსიულ ჯგუფებს ამზადებს ქ. მოსკოვთან მდებარე ბალაშიხის სპეციალურ სკოლაში. ამით ფაქტობრივად ბრალს სდებენ რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურებს, რაც მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, რომელიც კონსტიტუციისა და დემოკრატიის პრინციპებით ხელმძღვანელობს, აცხადებს, რომ არ დაუშვებს, რაიმე მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად კანონს. საქართველოს ხელისუფლების, მისი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური ნება და მიზანი არის მშვიდობიანი გზით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მშვიდობისა და კეთილდღეობის დამყარება ყველა მის კუთხეში, რომლის ერთგულიც არის საქართველოს უშიშროების სამინისტრო.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინიტრო თავს მოვალედ თვლის, კიდევ ერთხელ საყოველთაოდ განაცხადოს, რომ ჩვენს მიერ განხორციელდება ყველა საჭირო ღონისძიება, რათა მშვიდობიანი გზით აღდგეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, განმტკიცდეს წესრიგი და შეიქმნას დემოკრატიული საზოგადოების შეუქცევადი გარანტიები.

საქართველოს სახელმწიფო
უშიშროების სამინისტროს
პრეს-სამსახური.

ამინდი
31 მაისს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ზოგან ხანმოკლე წვიმა ელჭექით, იქროლებს წამში 9-14, ალაგ-ალაგ 17-22 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 13-18, დღისით 23-28, მთაში — ღამით 9-14, დღისით 19-14, მაღალმთაში — ღამით 5-10, დღისით 15-20 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება ხანმოკლე წვიმა ელჭექით, შესაძლებელია სეტყვა, ტემპერატურა ბარში — ღამით 12-17, დღისით 22-27, მთაში — ღამით 8-13, დღისით 18-23, მაღალმთაში — ღამით 4-9, დღისით 14-19 გრადუსი სითბო.

თბილისში ხანმოკლე წვიმაა მოსალოდნელი, ელჭექით, ტემპერატურა ღამით 15-17, დღისით 25-27 გრადუსი სითბო.

შპს „იკორთა“-ს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ვთხოვთ წარმოადგინონ თავიანთი პრეტენზიები 1997 წლის 15 ივნისამდე. მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 29.

ტელეფონი: 22-54-85; 22-30-06.

ხსოვნა

მერაბ (კიტა) გელაშვილი

კაცები იშვიათად ტირიან, ამდენი მოქვითინე კაცი კი, ალბათ, არავის უნახავს – ცრემლებით გამოვხატეთ ჩვენი უძლურება კიტას სიკვდილის წინაშე.

კიტას თბილისი უყვარდა და ეს მარტო ხმამაღალი სიტყვები არ იყო, კიტას მთელი თბილისი იცნობდა, კიტას იმედი ყოველთვის გვქონდა – ერთგული კაცის, კიტას იუმორი ყველაფერს გვიადვილებდა, კიტას გმირობაზე ლეგენდები დადიოდა და მაინც აფხაზეთის, სამაჩაბლოს, თბილისის ომებიდან ჯანსალამათად დაბრუნებული, გვეგონა, ეხლაც გადარჩებოდა – კიტას ვერაფერი მოერევაო, – გვეგონა. დღეს კი უკანასკნელად გემშვიდობებით. შენ თვითონ სიკვდილის არც გეშინოდა, ჩვენ გვეშინია უშენობის, ჩვენ გაგვიჭირდება უშენოდ, ჩვენ მოგვაკლდება შენი სიყვარული და სითბო.

მეგობრები.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

შპს „საქართველოს ელექტროკავშირი“ აცნობებს თავის აბონენტებს, რომ თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან გარკვეული პერიოდით გასვლის ან ტელეფონიანი ბინების დაკეტვის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობოს შესაბამის სატელეფონო რაიონულ განყოფილებას, რომელიც განცხადების საფუძველზე დროებით გათიშავს ტელეფონს, რათა უცხო პირის მიერ არ მოხდეს აღნიშნული ტელეფონით სარგებლობა. (აღნიშნული პერიოდი ექვემდებარება ტელეფონის სააბონენტო გადასახადს).

წინააღმდეგ შემთხვევაში შპს „საქართველოს ელექტროკავშირი“ იხსნის პასუხისმგებლობას ტელეფონებიდან განხორციელებულ საქალაქთაშორისო და საერთაშორისო ლაპარაკებზე.

შპს „საქართველოს ელექტროკავშირი“.

ბრალი ედებათ

ბორჯომელი ბრაკონიერები დაისჯებიან

უკანასკნელ წლებში, სამწუხაროდ, ბრაკონიერობას დიდი გასაქანი მიეცა. აბა, ვინ დაინდობდა ცხოველსა თუ თევზს, ფრინველსა თუ მცენარეს, როდესაც ბანდიტური ფორმირებებისა და „საძმოების“ ხანაში ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა ლამის ჩვეულებად იქცა. განსაკუთრებით გულსატკენი კი ის იყო, რომ ბრაკონიერებმა ე.წ. დაცულ ტერიტორიებშიც (სახელმწიფო ნაკრძალებშიც) შეაღწიეს...

ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციამ ეფექტიანი ღონისძიებები განახორციელა ბრაკონიერთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებს მაინც აქვს ადგილი. საწყენია, რომ ბუნების მტრები არ ცხრებიან, მათ ჩირადაც არ უღირთ ბუნება.

მიმდინარე წლის 2 მაისს ბორჯომელთა მიერ ორგანიზებული მოულოდნელი რეიდის დროს ზორეთის ხეობაში დააკავეს სანადირო თოფებით შეიარაღებული 7 ბრაკონიერი. მათგან ორი – რუსლან პაპიძე და სერიოჟა ხეროფიანი სოფელ დვირში ცხოვრობენ და შპს „ზორეთში“ მუშაობენ, ხოლო ხუთი ბრაკონიერი – დავით მოდებაძე, ზურაბ მოდებაძე, დიმიტრი მელაძე, კახა ბოჟაძე და რომან გორგაძე აწყურში ცხოვრობენ.

მათ ჩამოართვეს სანადირო თოფები და ბრალდების საქმე მკაცრი ზომების მისაღებად ადმინისტრაციულ ორგანოებს გადასცეს.

ბრაკონიერთა წინააღმდეგ ბრძოლაში ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ხელმძღვანელებს პრაქტიკული დახმარება გაუწიეს შინაგან საქმეთა ბორჯომის განყოფილების ეკოპოლიციის მუშაკებმა მათი უფროსის ნუგზარ კალანდაძის ხელმძღვანელობით.

ბრაკონიერთა წინააღმდეგ ბრძოლა გაგრძელდება.

სოფიკო ოხანაშვილი.

გახსენება

ვალიკო ქავთარაძე



ერთი წელი გავიდა, რაც **ვალიკო ქავთარაძე** გადავიდა ცხოვრებისეული ურთიერთობიდან მარადისობაში. ადამიანის დაკარგვა ყოველთვის დასანანია, მაგრამ ასეთის დასანანია ვინც მთელ სიცოცხლეს სიყვარულში ატარებდა, ვინც ყოველდღე ბოლომდე იხარჯებოდა, გასცემდა ყველაფერს, რაც გააჩნდა და ამიტომაც მუდამ ყოველ წუთს სჭირდებოდა ყველას, ასეთი იყო ვალიკო ქავთარაძე.

სადაც კი უმუშავია, ყველგან დიდი ავტორიტეტი და სიყვარული ჰქონდა. ადამიანის ავტორიტეტსა და სიყვარულს უფრთხილდებოდა, ყოველთვის დადებითს ეძებდა მასში, ამასთან ერთად გახლდათ დახვეწილი ბუნების მქონე, რაფინირებული ინტელიგენტი, დიდბუნებოვანი კაცი.

ცხოვრებისეულ სიძნელეებს არასოდეს შეუშინებია, პირიქით, ყოველთვის იმედიანი და თავის შესაძლებლობებში დარწმუნებული კაცური პასუხისმგებლობით უძღვებოდა მინდობილ სამუშაო უბანს.

ულალატო მეგობარი და ამხანაგი, საინტერესო მოსაუბრე, ყველა გაჭირვებულის გულშემატკივარი – აი როგორი დარჩა იგი ჩვენში და ჩვენც გვემახსოვრება სიკეთით, კაცობით, თავმდაბლობით, გულისხმიერებით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, ჩვენო ვალიკო.

მეგობრები: მიშა დულარიძე, ზურა ბასიშვილი,
ოთარ კანდელაკი, ვასიკო მაისურაძე,
ამირან ივანიძე, ვანო აფციაური, ალეკო კანდელაკი.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორები:
სპარტაკ ქობულია,
ანზორ ბასილაია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“
სტამბაში, ხოშარაულის 29.